საქართველოს რესპუბლიკა

შაბათი, 27 ნოემბერი, 2004 წელი. №275 (5004) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, * ფასი 50 თეთრი

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

◎ კანონმდებლები

მღელვარე პლენარული სხდომა

პარლამენტის პლენარულმა სხდომამ, კვორუმის უქონლობის გამო, დანიშნულ დროს მუშაობა გუშინაც ვერ დაიწყო. პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის ხელმძღვანელობას პარლამენტის რეგლამენტში შესაგან ცვლილებათა პროექტის მომზადება დაავალა. მისი თქმით, პლენარული სხდომების არასაპატიო მიზეზით გამცდენი დეპუტატების მიმართ შესაბამისი ღონისძიებები აუცილებლად უნდა განხორციელდეს.

ნინო ბურჯანაძემ საგადასახადო კოდექსის პროექტის II მოსმენით განხილვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მისი განხილვა, სავარაუდოდ, მომავალ კვირას, პარლამენტის რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე მოხდება.

კანონმდებლებმა „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონპროექტის წინა სხდომაზე დაწყებული განხილვა კვლავ გააგრძელეს. კოლეგებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორების პარმენ მარგველაშვილისა და ანზორ ხელაშვილის პარლამენტისადმი მიმართვისა და განცხადების შინაარსი დეპუტატმა ზურაბ ტყემალაძემ გააცნო. როგორც აღმოჩნდა, უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოსა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის გუშინ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განსახილველად შეტანილი კანონპროექტის ძირითადი პრინციპები მიუღებელია.

პროექტთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციები პარლამენტის ფრაქციათა წარმომადგენლებმა გამოხატეს. მომხსენებელმა, განათლების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ განხილვის შედეგები შეაჯამა და დეპუტატთა კითხვებთან დაკავშირებით განმარტებები გააკეთა. პარლამენტის წევრებს მეორჯერ ოპოზიციამ პლენარულ სხდომაზე „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონპროექტის რამდენიმე პრინციპის ალტერნატივა წარუდგინა, რომელსაც კენჭისყრისას მხოლოდ 19 მხარდამჭერი აღმოაჩნდა.

ამის შემდეგ, პარლამენტის თავმჯდომარემ „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონპროექტის ძირითადი ვარიანტი კენჭისყრისთვის წარადგინა. პარლამენტმა კანონპროექტი 143 ხმით 10-ის წინააღმდეგ, 1 მოსმენით მიიღო.

დეპუტატებმა განიხილეს და საბოლოო – III მოსმენით 136 ხმით, ერთხმად მიიღეს კანონპროექტი „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში დამატებების შეტანის შესახებ“, რომელიც საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკის შესახებ ორგანული კანონპროექტების განხილვასა და მათი ერთი მოსმენით მიღებას შეეხება.

კანონმდებლებმა საბოლოო – III მოსმენით კენჭი უყარეს და მიიღეს კანონპროექტები: „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“, „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე“. ასევე მიიღეს პარლამენტის დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს ტელევიზია და რადიომაუწყებლობა“ ფინანსური საქმიანობისა და მასზე გადაცემული სახელმწიფო ქონების შემოწმების თაობაზე“. ამ დადგენილების თანახმად საქართველოს კონტროლის პალატას საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს ტელევიზია და რადიომაუწყებლობა“ ფინანსური საქმიანობისა და მასზე გადაცემული სახელმწიფო ქონების შესწავლის მიზნით არაგეგმიური რევიზიისა და შემოწმების ჩატარება და შემოწმების მასალების პარლამენტის პლენარულ სხდომაზე 2005 წლის 15 თებერვლამდე წარმოდგენა დაევალა.

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ დავით თოდრაძემ I მოსმენით „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ კანონპროექტი განიხილა და მისი ძირითადი პრინციპები და მოკლე დებულებები ჩამოაყალიბა.

იხ. მე-2 გვ.

◎ პარლამენტის თავმჯდომარე

მხარს დაუჭერს ქალის დაწინაურებას საზოგადოებაში

საქართველოს პარლამენტის მოთა რუსთაველის სახელობის დარბაზში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული გენდერული თანასწორობის საკითხების საკონსულტაციო საბჭოს პრეზენტაცია შედგა.

პრეზენტაციას პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენელი ლანს კლარკი, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საკორდინაციო ოფისის დირექტორი სამხრეთ კავკასიაში ერიქ ჯონსონი, საკონსულტაციო საბჭოს წევრები და საპატიო სტუმრები დაესწრნენ.

„საბჭო არის პირველი სახელმწიფო ინსტიტუციონალური მექანიზმი, რომელიც გაეროს განვითარების პროგრამისა და შვედეთის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით დაარსდა. მასში გაერთიანებული სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები, გენდერულ საკითხებს განიხილავენ და რეკომენდაციებს შეიმუშავებენ, რათა საზოგადოებრივი პოლიტიკის განსაზღვრასა და სახელმწიფო დონეზე გადაწყვეტილების მიღებაში მამაკაცების თანასწორად მონაწილეობა ქალებმაც მიიღონ“, – განაცხადა პრეზენტაციაზე ნინო ბურჯანაძემ. პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, საკონსულტაციო საბჭოს კარი ღიაა, ყველა იმ დონორი და განმახორციელებელი ორგანიზაციისთვის, რომელიც გენდერული თანასწორობის საკითხებზე ერთობლივი მუშაობის სურვილს გამოთქვამს.

იხ. მე-2 გვ.

◎ ინფორმაცია

28 ნოემბრიდან შობის მარხვა იწყება

მართლმადიდებლურ სამყაროში 28 ნოემბრიდან შობის მარხვა იწყება. როგორც ინტერ-პრესს საქართველოს საპატრიარქოს პრეს-სამსახურის უფროსმა მამა დავით შარაშენიძემ განუცხადა, მარხვა 40 დღეს გასტანს და 7 იანვარს, იესო ქრისტეს შობის დღეს დასრულდება.

მამა დავითის თქმით, მარხვა 25 დეკემბრის ჩათვლით, ოთხშაბათის და პარასკევის გარდა, თევზით იქნება ხსნილი. საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით ხსნილი იქნება 1 იანვარიც.

მისივე თქმით, კვირას, სიონის საკათედრო გაძარში წირვის დასრულების შემდეგ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე თავის ქადაგებაში განმარტავს, როგორ უნდა დაიცვას ერმა შობის მარხვა.

კონკურსი იურისტთათვის

განვითარებისა და რეფორმების ფონდი დააფინანსებს ახალგაზრდა იურისტებს, რომლებიც 2005-2006 აკადემიური წლის განმავლობაში სწავლას ან სამეცნიერო მუშაობას ევროკავშირის ქვეყნების და ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტებში გაიაგრძელებენ.

როგორც გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ფონდის ხელმძღვანელმა კოტე კუბლაშვილმა განაცხადა, ახალგაზრდა იურისტები, რომლებსაც ფონდი დააფინანსებს, კონკურსის წესით შეირჩევიან. კონკურსანტს მოეთხოვება, იყოს საქართველოს მოქალაქე, რომლის ასაკი არ აღემატება 30 წელს.

რეკონსტრუქცია – რეფორმათა კურსის გაგრძელება

საქართველოს მინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში გუშინ სასწავლებლის კუთვნილი შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის პროექტის გახსნის ცერემონიალი გაიმართა.

როგორც ცერემონიალზე ლევან იმორაიამ განაცხადა, აღნიშნული პროექტი რეფორმების იმ კურსის გაგრძელებაა, რომელიც აკადემიაში ქვეყნის ახალი ხელისუფლების მოსვლის დროიდან ხორციელდება. მისივე თქმით, აკადემიის კუთვნილი შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის გარდა, პროექტი ახალი სასწავლო პროგრამების დაფინანსებას და მათ ქართულ გარემოსთან ადაპტაციას ისახავს მიზნად.

აშშ-ის ელჩმა რიჩარდ მაიერსმა აღნიშნა, რომ ამერიკა შენობების რეკონსტრუქციისთვის 1 მლნ. დოლარს გაიღებს, ხოლო ახალი პროგრამების შედგენა-განხორციელებისთვის – 500 000 აშშ დოლარს.

ინტერ-პრესი.

◎ ჟურადღება!

არ დაგავიწყდეთ ხელმოწერა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაზე“

იპითხეთ განახლებული, ყოველდღიური გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ და თქვენ დარწმუნდებით, რომ ეს არის ყველაზე სანდო, მართალი, ჯანსაღი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა, რომელსაც რეკლამა არ სჭირდება!

ხელმოწერას გაგიფორმებთ: „საქპრესი“ – 99-30-54; „მაცნე“ – 37-47-49; „უწყებანი“ – 93-64-72; „ექსპრესი“ – 96-23-11; „პლანეტა-ფორტე“ – 93-38-73; „ინფოსერვისი“ – 34-09-35; „თბილისის მიმომხილველი“ – 98-74-95.

ხელმოწერის ფასები:
1 თვით – 13 ლარი;
3 თვით – 39 ლარი;
6 თვით – 78 ლარი;
ერთი წლით – 156 ლარი.

გაზეთის გამოწერა და ხელშეკრულების გაფორმება, ექსპედირების ხარჯის გამოკლებით – ოცი პროცენტის ფასდაკლებით, შეგიძლიათ, აგრეთვე რედაქციაში, კოსტავას ქ. №14, 93-26-99, 99-73-24; ინდექსი – 66434.

ნომერში წაიკითხავთ:

რკინის მკვნეტელი უნდა იყო...

რატომ? იმიტომ, რომ ისეთ თონეში გამომცხვარი პური შეჭამო, სადაც ფქვილს ხელით ცრიან, ლაბორატორიულად არც ფქვილი მოწმდება და არც პური, ნედლეული კი იმ ბეტონის იატაკზეა დაყრილი, რომელიც არ სუფთავდება.

ერთი სიტყვით, წაიკითხეთ წერილი რუბრიკით „პური“ და თქვენ დედაქალაქის რამდენიმე პურის საცხობში შეიხედავთ.

მე-4 გვ.

იაპონელი მეცნიერი ჩვენი ქვეყნის წარსულს იკვლევს

ახალგაზრდა კაცია იაპონელი მეცნიერი, საპორობი პოკაიდოს უნივერსიტეტის ლექტორი პიროტაკე გაედა, რომელიც ჩინებულად მეტყველებს ქართულად. რას ახმარს იგი ამ ცოდნას? ამას თქვენ ვაჟა დანელიას წერილიდან შეიტყობთ.

მე-5 გვ.

19 წელი საიქიოში

„მისმინე, ყმაწვილო, შენთვის რომ პისტოლეტი მოეცათ და ეთქვათ, რომ უგონოდ მყოფი საკუთარი შვილისთვის გესროლა, ესროდი?“ – ასე უპასუხა ერთ აბეზარ ჟურნალისტს იმ ადამიანის მამამ, რომელმაც 6950 დღეღამე საიქიოში დაჰყო და ვერავინ ახსნა, რა ძალამ გამოიხმო იგი უკან, სააქაოში.

მე-6 გვ.

◎ სენსაციური გამოფენა

„სატანისტური პორნოგრაფია“ ჩვეულებრივი, დახვეწილი ხელოვნებაა

– გთხოვთ, გვეწვიოთ მე და ჩემს მეგობრებს, ამერიკისა და პოლონეთის საელჩოებიდან და თბილისის სამხატვრო აკადემიიდან, ჩემი პლაკატების გამოფენის გახსნაზე. – ასეთი წარწერა აქვს საქართველოს პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართულ პოლონური წარმოშობის ამერიკელი პლაკატისტის რაფალ ოლბინსკის ნამუშევართა ექსპოზიციის მოსაწვევს, რომელსაც საქართველოზე შექმნილი, ვარდების რევოლუციისადმი მიძღვნილი ულამაზესი პლაკატის რეპროდუქცია ამშვენებს.

შეგახსენებთ, რომ რაფალ ოლბინსკი ნიუ-იორკში ცხოვრობს და ერთერთ საუკეთესო პლაკატისტად, ცნობილ შემოქმედად ითვლება. როგორც ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ემშარ ჯგუფრანაია აღნიშნავს, მისი ვიზიტი საქართველოში და ეროვნულ ბიბლიოთეკაში დიდი პატივია, მით უფრო, რომ ეს გამოფენა საქველმოქმედოა, გაყიდული ნამუშევრებიდან შემოსული თანხა სამხატვრო აკადემიის განვითარების პროექტს უნდა მოხმარდეს (თითოეული ექსპონატის საწყისი ღირებულება 50 დოლარია). ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ ოლბინსკიმ, სრულიად უსასყიდლოდ სამხატვრო აკადემიის სტუდენტებისთვის მასტერკლასები ჩაატარა.

იხ. მე-2 გვ.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ჯენ აღელმანი,
Tech Central Station.com ინტერაქტიული ანალიტიკური ცენტრის უფროსი.
„ვაშინგტონ ტაიმსი“, 26 ნოემბერი.

The Washington Times

რეფორმა საქართველოში

ღირსეული და წარმატებული ქართული სახელმწიფო დანარჩენებისთვის განვითარების მოდელი უნდა გახდეს

ღემოკრატიას გაუჭირდა დამკვიდრება ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. ზოგიერთ ამ ქვეყანაში, სახლოო ანგარიშით დაადგნენ ტოტალიტარიზმის გზას, ზოგან დამყარდა დიქტატურა, ზოგან – კლეპტოკრატია კი. მაგრამ ყველა ამ რეჟიმმა ხალხს მხოლოდ იმედის გაცრუება თუ მოუტანა.

თუმცა, არის ერთი ადგილი, სადაც სიტუაცია ასეთი სავალალო არაა, და პირიქით, ფრიად ოპტიმისტურიცაა. ეს გახლავთ საქართველო.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნის მოსახლეობა მცირეა – ხუთ მილიონზე ნაკლები, საქართველო რჩება ერთადერთ ჭეშმარიტად დემოკრატიულ ქვეყნად ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის.

ერთი წლის წინათ ედუარდ შევარდნაძე, როგორც იქნა ბოლომდე ჩაწვდა საქმის ვითარებას. მე ამ ადამიანს საკმაოდ კარგად ვიცნობდი, ჯერ კიდევ მაშინ, როცა იგი იყო საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი გორბაჩოვის დროს და ნაკისრ მოვალეობას ძალზე პატიოსნად და კეთილშობილურად ართმევდა თავს.

ამ ისტორიული როლის შემდეგ, ბატონი შევარდნაძე უკვე ასევე ღირსეულად და პატიოსნად ვეღარ ასრულებდა პრეზიდენტის ფუნქციებს. ერთი წლის წინათ სიტუაცია იმდენად გართულდა, რომ საქართველოს ასი ათასობით მოქალაქე გამოვიდა ქუჩებში – ისევე როგორც ეს გააკეთეს 1989 წელს აღმოსავლეთი ევროპის მცხოვრებლებმა – ერთი მარტივი მოთხოვნით: „დროა გადადგე!“. ბატონი შევარდნაძე, რომელიც მოსკოვში თავგამოდებული რეფორმატორის სახელით სარგებლობდა, ეწინააღმდეგებოდა რეფორმების განხორციელებას თბილისში. შევარდნაძის მმართველობის რვა წლის განმავლობაში საქართველომ შეწყვიტა განვითარება, ქვეყანაში კორუფციამ მიაღწია შემაძრწუნებელი მასშტაბი, ეკონომიკა კი წინანდელ დონეზე დარჩა. ყოველივე ეს დაპირება თავისუფლების შესახებ ლიტონ სიტყვებად იქცა. შევარდნაძემ უბრალოდ ვეღარ შეძლო დაეღწია თავი კომუნისტური წარსულის ანრდილისგან, როგორც ეს მან თავის დროზე შეძლო მოსკოვში.

და აი გამოჩნდა მიხეილ სააკაშვილი. ამ ახალგაზრდა იურისტმა, რომელმაც განათლება მიიღო კოლუმბიის უნივერსიტეტში, ახალი ფურცელი გადაშალა საქართველოს ისტორიაში. კრიტიკულ მომენტებში იგი რაღაცით მოგვაგონებდა ვაცლავ ჰაველს – ადამიანს, რომელიც მუდამ მტკიცედ უჭერდა მხარს კონფლიქტების მშვიდობიანი, არაძალისმიერი გზით მოგვარებას, მოუწოდებდა თანამემამულეებს ხელში აეღოთ ვარდები და არა იარაღი.

„ვარდების რევოლუციამ“ თავისი ნაყოფი გამოიღო, როგორც ეს მოხდა 1989 წელს ჩეხოსლოვაკიაში. მან დაუღო სათავე ახალ ეპოქას და ყველაფერი დაასრულა ისე, რომ ქვეყანას აიცილა სისხლისღვრა.

გავიდა კიდევ ორი თვე და მიხეილ სააკაშვილმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა პრეზიდენტის არჩევნებში. ამის შემდეგ იგი დაუღალავად ებრძვის კორუფციას და ცდილობს აღადგინოს ურთიერთობა დასავლეთთან, განსაკუთრებით შეერთებულ შტატებთან.

იხ. მე-2 გვ.

ინტერპანორამა

უპრაინელ სოციალისტთა ლიდერმა ალექსანდრ მოროზმა რუსეთის მოძმე ხალხს მოედანზე მიმართა. უკრაინაში მიგინგობენ არა ნაციონალისტები, არამედ ხალხი. დაურეკეთ ნაცნობებს უკრაინაში, გაიგეთ სიმართლე. ჩვენ არ დავუშვებთ განხეთქილებას ძმურ სლავურ ოჯახში. ჩამოდით ჩვენთან, ძმებივით დაგხვდებით, – ნათქვამია მიმართვაში.

პრეზიდენტის ჯანდაცვის მინისტრი, ამ ქვეყნის ერთადერთი ქალი მინისტრი კონსტანტინა აკელდე დამნაშავედ ცნეს მართლმსაჯულებაზე ზემოქმედებაში. გამომიების მონაცემებით იგი ცდილობდა გავლენა მოეხდინა ნარკოტიკების უკანონო შენახვისა და გამოყენების სისხლის სამართლის საქმეზე. ქალბატონ მინისტრს სამ წლამდე ციხე ემუქრება.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 275. შაბათი. 27 ნოემბერი. 2004 წელი.

კანონმდებლები

მღელვარე პლენარული სხდომა

(პირველი გვერდიდან)

პლენარული სხდომის მეორე ნაწილში „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ პროექტების განხილვით დაიწყო, რომლებიც დეპუტატმა ირინე ქურდაძემ I მოსმენით გამოიტანა.

კანონმდებლებმა განიხილეს, ასევე, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ კანონპროექტი, რომელიც პარლამენტარებს აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი ხეთაშვილმა II მოსმენით წარუდგინა. მოგვიანებით, ეს კანონპროექტი პარლამენტმა II და III მოსმენით მიიღო. დეპუტატმა ქეთევან მახარაშვილმა „მაუწყებლობის შესახებ“ კანონპროექტიდან გამომდინარე კანონპროექტთა პაკეტზე ისაუბრა, რომელიც კავშირგაბმულობისა და ფოსტის, ასევე, მავნე ზეგავლენისგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ კანონებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას ითვალისწინებს.

ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ზურაბ ანთელიძემ „საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონპროექტის თანმდევ კანონპროექტთა პაკეტი განიხილა. განხილვისას დარბაზში მხოლოდ რამდენიმე დეპუტატი იჯდა, რამაც სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია. პარლამენტის თავმჯდომარემ აღშფოთება ვერ დამალა იმის გამო, რომ წარმოდგენილი კანონპროექტები პარლამენტის კომიტეტებში განხილული არ იყო და შესაბამისად, მათ თან წამყვანი კომიტეტების დასკვნა არ ახლდა. ნინო ბურჯანაძემ ამ მხრივ, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის საქმიანობა უარყოფითად შეაფასა და პლენარულ სხდომაზე კანონპროექტებზე მსჯელობა შეწყვიტა. შემდეგ, დეპუტატებმა განხილულ საკითხებს კენჭი უყარა.

სხდომის დასასრულს, პარლამენტის თავმჯდომარის მოთხოვნით, მანდატურის სამსახურის წარმომადგენელმა საჯაროდ წაიკითხა იმ დეპუტატთა სია, რომლებიც სხდომის გახსნისას, 11.00 საათზე არ გამოცხადნენ. გახმოვანდა იმ დეპუტატთა გვარებიც, რომლებიც სხდომაზე არ იყვნენ და მათი ხმის მიცემის ბარათები გამოიყენეს. პარლამენტის თავმჯდომარემ საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტისა და მანდატურის სამსახურის ხელმძღვანელობას დაავალა, პარლამენტის ბიუროს იმ დეპუტატთა გვარები წარუდგინოს, რომელთა ხმის მიცემის ბარათებიც მათ გარეშე გამოიყენეს. ნინო ბურჯანაძის თქმით, საკითხის გარკვევის შემდეგ, საჯარიმო სანქციებიც არ გამორიცხება.

ამით, პარლამენტის 24-26 ნოემბრის პარლამენტის პლენარულმა სხდომამ მუშაობა დაასრულა.

პარლამენტის პრესსამსახური

მედმორიალური დაფა

იგი ცხოვრებისგან არაფერს იღებდა, უხვად კი გასცემდა

„ამ სახლში 1961-2001 წლებში ცხოვრობდა ფილოსოფოსი თამაზ ბუაჩიძე“ – ასეთი სადა წარწერა ამშვენებს მემორიალურ დაფას, რომელიც გახსნა დიდმის მასივის VI კვარტალს, V კორპუსის ფასადზე.

თამაზ ბუაჩიძე 2001 წლის 24 ნოემბერს 71 წლის ასაკში გარდაიცვალა – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოხსენების კითხვისას! მან მეგობრების, ახლობლების, კოლეგების ხსოვნაში წარუშლელი კვალი დატოვა.

წლების განმავლობაში, ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ მუშაობდა, ხოლო 1997-2001 წლებში დირექტორის თანამდებობა ეკავა, 1961 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტზე მოღვაწეობდა. იყო ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

მისი ნაშრომები: „ბურჟუაზიული ფილოსოფიის სათავეებთან“, „სიცოცხლის ფილოსოფია“, „ჰეგელის ფილოსოფია“, აგრეთვე, უამრავი პუბლიცისტური თხზულება ქართული ფილოსოფიური აზროვნების შენაძენია.

მემორიალის გახსნაზე, თამაზ ბუაჩიძის პიროვნებასა და შემოქმედებაზე ისაუბრეს: ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა **მიხეილ ბექანიშვილმა,** აკადემიკოსმა **გურამ თევზაძემ,** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა **მიხეილ მახარაძემ,** უნივერსიტეტის ლოგიკის კათედრის გამგემ, ღოცნებამ **ლერი მჭედლიშვილმა.**

გავესაუბრეთ გამომსვლელებს.

მიხეილ ბექანიშვილი: – თამაზ ბუაჩიძის მემორიალური დაფის გახსნა მისი გარდაცვალებიდან სამი წლისთავზე, მისასალმებელი ფაქტია. არ მეგულება საქართველოში ადამიანი, ვინც არ იცოდეს თამაზ ბუაჩიძის სახელი, არ იცნობდეს მის ნაშრომებსა და პუბლიცისტურ წერილებს და არ დასწრებოდეს მის საჯარო ლექციებს.

მაღალი ფილოსოფიური კულტურა, მახვილი კრიტიკული თვალი და დიდი ნიჭიერება, რომელიც შერწყმული იყო დახვეწილ ინტელიგენტობასთან, განუმეორებელ ინდივიდუალობას ანიჭებდა მის პიროვნებას.

თამაზ ბუაჩიძე ჭეშმარიტი ფილოსოფოსი იყო ცხოვრების წესითაც, არაჩვეულებრივად მომხიბლავი და საღა პიროვნება ახალგაზრდებს ჭეშმარიტებისა და მწეობის პრინციპებით ცხოვრების მისაბაძ მაგალითს აძლევდა. იგი ხშირად ამბობდა, ცხოვრებისგან უნდა მიიღო უფრო ნაკლები, ვიდრე გეკუთვნის და იმაზე მეტი გასცე, რაც შეგიძლიაო. მართლაც, ცხოვრებისგან არაფერს იღებდა, უხვად კი გასცემდა.

ლერი მჭედლიშვილი: – იგი ურთულეს ფილოსოფიურ პრობლემებს მარტივად და ნათლად გადმოსცემდა. მისი გამოკვლევები ნიცშეზე, შპენგლერზე, შოპენჰაუერზე, კირკეგორზე ქართული ფილოსოფიის კლასიკური ნიმუშებია. ფილოსოფოსი და შემოქმედი სისადავით გამოირჩეოდა. თბილი და მეგობრული ურთიერთობაში, კოლეგების სიხარულსა და დარდს გულით იზიარებდა. მან უდიდესი ტრავმა მიიღო, მისი ოჯახი 1937-იანი წლების რეპრესიებმა იმსხვერპლა. მამა დაუხვრიტეს, დედა და 14 წლის ძმა გადაუსახლეს. ბიძამ შეიფარა და გაზარდა. ამის მიუხედავად, არ გაბოროტებულა და კეთილგანწყობა სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა.

...თამაზ ბუაჩიძის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა მისი წიგნი „ფილოსოფოსი ანთროპოლოგია“. მალე გამოიცემა, აგრეთვე, ფილოსოფოსის თხზულებების ორგომეული.

ზამთრის სიცივისა და ქარის მიუხედავად, კოლეგები მაინც არ იშლებოდნენ, მემორიალური დაფა კი უბრალოდ გვამცნობდა, რომ ცხოვრობდა ფილოსოფოსი თამაზ ბუაჩიძე. „ფილოსოფოსი“ და სხვა არანაირი რეგალია – შესამკობად. ჭეშმარიტების არსი ხომ სისადავეშია.

თამარ შაიშმელაშვილი.

ინფორმაცია

როცა სიტყვა იზღუდება

„თავისუფლების ინსტიტუტი“ კიდევ ერთხელ აკეთებს განცხადებას საქართველოში პრესის თავისუფლების შეზღუდვის შესახებ და საქართველოს იუსტიციის საბჭოს გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლის გოჩა გოჩიგაშვილის დისციპლინური დევნის მოთხოვნით მიმართავს.

საქმე გორში მოქმედ პერიოდულ გამოცემებს – „თრიალეთს“ და „ხალხის გაზეთს“ ეხება. როგორც გუშინ „თავისუფლების ინსტიტუტში“ გამართულ პრესკონფერენციაზე აღინიშნა, ლიახვის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისთვის მამუკა ნოშაძისთვის პრესკონფერენციის დროს ფოგოს გადაღების გამო გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ გოჩა გოჩიგაშვილმა გაზეთ „თრიალეთს“ ფოტოსურათის გამოქვეყნებით მიყენებული მორალური ზარალის ანაზღაურება – 300 ლარის გადახდა, ნოშაძისთვის ბოდიშის მოხდა და 30 ლარის ოდენობის სახელმწიფო ბაჟის გადახდა დააკისრა.

მეორე შემთხვევაში „ხალხის გაზეთის“ ჟურნალისტმა ქეთევან გაკაშვილმა შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის მხეილ ქარელის ავტობიოგრაფია და ჯანმრთელობის ცნობა მოითხოვა, რაზეც მას უარი ეთქვა. აღნიშნულ ფაქტზე ჟურნალისტმა გორის რაიონულ სასამართლოს მიმართა. საქმე კელავ გოჩიგაშვილმა განიხილა, თუმცა, ინსტიტუტის წარმომადგენელთა თქმით, მოსარჩელის მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა.

„თავისუფლების ინსტიტუტის“ დირექტორის ლევან რამიშვილის განცხადებით, აღნიშნული ფაქტები კანონის უხეშ დარღვევას წარმოადგენს. – გოჩა გოჩიგაშვილი აღგილობრივი ხელისუფლების დაკვეთით მოქმედებს და მის მეწოლას განიცდის. ხდება სიტყვის თავისუფლების სრული შეზღუდვა“ – აღნიშნა მან.

ინტერ-პრესი.

ინფორმაცია

პროგრამა მიწისძვრით დაზარალებულთათვის

მომავალი წლიდან თბილისის ხელმძღვანელობა მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა პრობლემის სრულმასშტაბიან მოგვარებას გეგმავს. ამ მიზნით, საკრებულოს გუშინდელი გადაწყვეტილებით, სპეციალური კომისია შეიქმნა.

კომისიას, აღნიშნული პროგრამის წარმოსადგენად ორკვირიანი ვადა მიეცა.

აღსანიშნავია, რომ საკითხის საკრებულოს სხდომაზე განხილვა სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს ოპოზიციური ფრაქციების წევრებმა. „ლეიბორისტებმა“ საკრებულოს გადაწყვეტილებას „ძველი სიმღერის რემიქსული ვარიანტი“ უწოდეს და განმარტეს, რომ მიწისძვრით დაზარალებულთა პრობლემის მოსაგვარებლად საკრებულოს არაერთი დადგენილება მიუღია, თუმცა ჯერ არც ერთი მათგანი არ შესრულებულა.

ინტერ-პრესი.

პარლამენტის თავმჯდომარე

მხარს დაუჭერს ქალის დაწინაურებას საზოგადოებაში

(პირველი გვერდიდან)

ნინო ბურჯანაძის განცხადებით, სააჭო პარლამენტის წევრებს დაეხმარება, მიიღონ გენდერულად მგრძნობიარე კანონმდებლობა, ასევე, მხარს დაუჭერს ქალის დაწინაურებას საზოგადოებაში, მისი როლის გაზრდას სახელმწიფოს განვითარების საქმეში, დაეხმარება ჩვენში გენდერული თანასწორობის პრინციპების დამკვიდრებას. ხელს შეუწყობს ამ თემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომლობასა და დიალოგს.

გაეროს განვითარების პროგრამის უფროსი წარმომადგენლის ლანს კლარკის თქმით, პროექტი სამწლიანია და ერთობლივი ინიციატივის - სამხრეთ კავკასიის გენდერისა და პოლიტიკის რეგიონალური პროგრამის ფარგლებში განხორციელდება. სააჭოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე უხელმძღვანელებს. სააჭოს შემადგენლობაში შედიან:პარლამენტის შვიდი წევრი, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან ექვსი წარმომადგენელი და აღმასრულებელი ხელისუფლების ოთხი წევრი.

სააჭოს ძირითადი პრინციპებია:პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში გენდერული მიმართულების დანერგვა; გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის თვალსაზრისითა და საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნით კანონმდებლობის დახვეწა. მჭიდრო თანამშრომლობა პარლამენტის კომიტეტებთან, კომისიებსა და პარლამენტის სხვა სუბიექტებთან; თავისი კომპეტენციის ფარგლებში გენდერული თანასწორობის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმებების გაანალიზება და სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის თაობაზე შემუშავებული რეკომენდაციების პარლამენტის თავმჯდომარეთათვის შემდგომი რეაგირებისათვის წარდგენა.

სააჭოს წარმატებული მუშაობის ტექნიკურ უზრუნველყოფას შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო და გაეროს განვითარების პროგრამა უწევს. შვედეთის მთავრობა პროექტის განსახორციელებლად 900 ათას დოლარიან გრანტს გამოყოფს.

პარლამენტის პრესსამსახური

დღის შეკითხვა

რას მოუტანს ერს წმიდა სამების საკათედრო ტაძრის გახსნა?

გიორგობის დღეს საზეიმოდ შეგვემატა დიდი სულიერი საგანძური. როგორ აღიქვამს ხალხი და რა მნიშვნელობას ანიჭებს წმიდა სამების საკათედრო ტაძრის გახსნასა და ამოქმედებას? აი, რას ამბობენ თბილისელები.

მაია ჯაჯანიძე, ექიმი: – სამების ტაძარი აქამდე ნანახი არ მქონდა. 23-ში მოვხვდი ელიას მთაზე. აღფრთოვანებას ვერ ვფარავ. ასე მოკლე ხანში ასეთი ტაძრის აგება შეუძლებელია უფლის დაუხმარებლად. უფალი ყოველსშემძლეა. მე მჯერა მისი, მჯერა, რომ არც სამომავლოდ მიტოვებენ.

ირაკლი ბოლქვაძე, ფილოლოგი: – წმიდა სამების ტაძარი ჩვენი ქვეყნის ერთობლივი გვირგვინია. მან უნდა შეკრას ქართველობა, სულიერად განამტკიცოს და მწეობრივად აღამაღლოს. ჩემი აზრით, ესაა მისი უპირველესი დანიშნულება.

ნათია აფციაური, სტუდენტი: – სამების ტაძარზე რა უნდა ვთქვა. იგი თვითონ ლაპარაკობს თავისი სიღიადით, თავისი მშვენიერებით. მწამს, ეს ქმნილება ყოველდღე ჩვენი სიწმინდისთვის ილოცებს და თითოეულ ქართველში, თითოეულ მორწმუნეში ღვთისა და მოყვასის სიყვარულს გაასკეცებს.

მერაბ ბერიკაშვილი, ბიზნესმენი: – ავლაბარში ვცხოვრობ. რომ გითხრათ, თავდაღებული მორწმუნე ვარმეთქი, მოგატყუებთ, მაგრამ ყოველდღე მისი წარეთის ხმა რაღაც-ნაირ ამოუხსნელ სიამოვნებას მანიჭებს. ახლახან წავიკითხე, სამების ტაძრის წარეთი კი არ რეკენ, ვალობენო. სწორედ ასეა. როცა ერი ასეთ ტაძარს ააგებს, ის ყველაფერს მიაღწევს.

გიორგი ლომაშვილი, იურისტი: – წმიდა სამების ტაძარში ძალიან დიდი სიწმინდე და მადლი გრიალებს. მას თითოეული ქართველისთვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს. ახლა მთავარია ვილოცოთ, რწმენა განვიმტკიცოთ და საქართველო გავაბრწყინოთ. სამების მადლი აუცილებლად შეგვეწევა.

ნატო გუჩაშვილი, იზა გადრიძე.

სენსაციური გამოფენა

„სატანისტური პორნოგრაფია“ ჩვეულებრივი, დახვეწილი ხელოვნებაა

(პირველი გვერდიდან)

საგამოფენო დარბაზი 67-მა ექსპონატმა დაამშვენა. წარმოდგენილი პლაკატები, კონცეპტუალური, ძირითადად სხვადასხვა საოპერო, კლასიკური ნაწარმოების თემებზეა შექმნილი. თითოეულ ნამუშევარში მხოლოდ და მხოლოდ რეალურ შინაარსზე დაყრდნობილი ავტორისეული ფანტაზია და ხელვაა ოსტატურად გამოხატული.

ამ გამოფენა-გაყიდვაზე დამთვალიერებელთა ინტერესი კიდევ უფრო გამძაფრდა მას შემდეგ, რაც პროფესორმა გურამ შარაძემ წარმოდგენილი პლაკატებიდან ექვსი ჩამოხსნა, გაანადგურა და ექსპოზიციას „საგანისტური პორნოგრაფია“ უწოდა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ ორიგინალურ გამოფენას, არც ერთი სხვა დამთვალიერებლის აღშფოთება არ გამოუწვევია, პირიქით, ისინი მოხიბლული არიან ამერიკელი პლაკატისტის შემოქმედებით და მხოლოდ მოწონებას და აღფრთოვანებას გამოხატავენ.

– შარაძის პრინციპით, ყველა ხელოვნების ნიმუში, სადაც კი, შიშველი სხეული ფიგურირებს, უნდა გაანადგუროთო... ნებისმიერმა მოქალაქემ, რომელიც მსგავს ქმედებას ჩაიდენს, რასაკვირველია, პასუხი უნდა აგოს კანონის წინაშე, – ამბობს ემშარ ჯგერნაია.

სამწუხაროდ, დახეული ექსპონატები პროკურატურაში და ამდენად, მათ ფოტოებს ვერ გთავაზობთ. თუმცა, მკითხველს გარკვეული შთაბეჭდილება გადარჩენილი პლაკატების ფოტოებიდანაც შეექმნება.

ლელა დონაძე.

სურათებზე: ექსპონატები საგამოფენო დარბაზიდან.



კენ აღელმანი,
Tech Central Station.com ინტერაქტიული ანალიტიკური ცენტრის უფროსი.
„ვაშინგტონ ტაიმს“, 26 ნოემბერი.

The Washington Times

რეფორმა საქართველოში

(პირველი გვერდიდან)

მაშინ, როცა სხვა ქვეყნები, რომლებსაც პრეზიდენტი ბუში უწოდებს „კეთილი ნების კოალიციას“ მიღიან ერაყიდან, ბაგონი სააკაშვილი ხუთჯერ მრდის ქართველ სამხედროთა ყოფნას ამ ქვეყანაში. გარდა ამისა, ქართული ჯარები ჩინებულად ასრულებენ დაკისრებულ ამოცანებს ავღანეთსა და კოსოვოში. რა თქმა უნდა, ქართველ ჯარისკაცთა რიცხვი მსოფლიოს ასეთ ცხელ წერტილებში ძალზე დიდი არ არის, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ თვით ამ ქვეყნის მოსახლეობაც არ არის მრავალრიცხოვანი.

ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს ყოველმხრივ წაახალისოს საქართველოს ასეთი მცდელობა და ეხმარება ქართულ ჯარებს მომზადებისა და შეიარაღების თვალსაზრისით, რათა მათ შეძლონ კიდევ უფრო აქტიურად მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. უფრო მეტიც, საქართველო გამოცხადებულია ერთერთ პირველ რეციპიენტად, ამერიკის შეერთებული შტატების ახალ პროგრამაში, რომელიც მიზნად ისახავს სხვა სახელმწიფოებისთვის დახმარებას, და რომელსაც ეწოდება „ამერიკის შეერთებული შტატების ათასწლეული“. საქართველო აღმოჩნდა იმ მცირერიცხოვან განვითარებად ქვეყნებს შორის, რომელმაც ეფექტიანი მართვის წყალობით შეძლო დაეკმაყოფილებინა პროგრამის რთული მოთხოვნები.

ბაგონი სააკაშვილი განაგრძობს ბრძოლას კორუფციის წინააღმდეგ, იმის მიუხედავად, რომ ამის შესახებ ლაპარაკი გაცილებით უფრო ადვილია საპრეზიდენტო კამპანიის დროს, ვიდრე მისი პრაქტიკულად განხორციელება პრეზიდენტის პოსტზე ყოფნისას. წლის განმავლობაში დაითხოვეს კორუმპირებული პოლიციელები, მათ აღგილზე მოვიდნენ მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალები, რომლებსაც ახლა გაცილებით უფრო დიდი ხელფასები დაუნიშნეს.

დაბოლოს, საქართველო როგორც იქნა დაიძრა გაყინული წერტილიდან. ამჟამად ქვეყანაში მიმდინარეობს საგადასახადო სისტემის გადასინჯვა, რომელიც საქართველოს მემკვიდრეობით ერგო საბჭოური დროიდან (იგივე უნდა გაკეთდეს შერეთებულ შტატებშიც ბაგონ ბუშის საპრეზიდენტო ვადის დროს). გარდა ამისა, ქვეყანაში აღდგენენ საშემოსავლო გადასახადის ერთიან განაკვეთს. გრძელდება პრივატიზაციის პროცესი – სახელმწიფო საკუთრების უმარმაზარი სეგმენტების შესყიდვა შეუძლიათ დაინტერესებულ პირებს.

ასეთ რეფორმებს მოწონებით ხვდებიან არა მარტო ამერიკელები, არამედ ქართული დიასპორის წარმომადგენლებიც. ათასობით ქართველი ემიგრანტი უბრუნდება წინაპართა სამშობლოს, რითაც მხარს უჭერს ერის მორალური სულის ამაღლებას და მრდის მის ინტელექტუალურ პოტენციალს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიმდინარეობს ინტელექტუალური ძალების მოღინების პროცესი, რაღგან სამშობლოში დაბრუნებულთა შორის საკმაოდ მრავლად არიან ჩინებული განათლების მქონე ადამიანები.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ქართულმა ექსპერიმენტმა გაამართლოს. იგი შეიძლება გახდეს მაგალითი სხვა ქვეყნებისთვისაც, რომლებიც ოღესღაც ასევე შედიოდნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ღირსეული და წარმატებული ქართული სახელმწიფო იქცეს განვითარების მოდელად დანარჩენთათვის.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

Hamburger Abendblatt

რაინერ ტიტელბახი,
„ჰამბურგერ აბენდბლატი“ (გერმანია), 26 ნოემბერი.

ბებია და პუტინი

ერთ-ერთი მოხუცი ქალი საქართველოში ამტკიცებს, რომ პრეზიდენტი პუტინი არის მისი ვაჟი, რომელმაც დედასთან კავშირი მრავალი წლის წინათ დაკარგა.

ეს მოხუცი ქალი საქართველოს ერთ-ერთი პატარა სოფლის მკვიდრია. მძიმე ცხოვრებას ღრმა ნაოჭები დაეჩნია მის სახეზე. ვაჟის დაკარგვის გამო უდიდეს მწუხარებას იგი არაერთი ათწლეულის განმავლობაში მალავდა, ახლაც კი ვერ ბედავს ეს ქალი თავისი გრძნობების საჯაროდ გამოთქმას. რაში სჭირდება ვერა პუტინას, რომ მთელ მსოფლიოს უამბოს სიცრუე? რისთვის სჭირდება მას ამტკიცოს, რომ ოღესღაც მისი დაკარგული ვაჟი ვლადიმერ ვლადიმერის ძე პუტინი წაადგას რუსეთის ამჟამინდელ პრეზიდენტს? ეს ქალი სულიერად ავადმყოფი არ გეგონოთ. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ყურადღების მიპყრობა – მხოლოდ ეს აინტერესებს მას. ამ ქალს არც ფული სჭირდება.

კითხვებს, რომლებსაც დოკუმენტური ფილმი „პუტინის დედა“ უსვამს მაყურებლებს, პირველი კადრებიდანვე, რამდენიმე წუთის შემდეგ გვავიწყდება. არა აქვს მნიშვნელობა იმას, შეესაბამება თუ არა სინამდვილეს ის ამბავი, რომელსაც მოხუცი ქალი მოგვითხრობს კამერის წინ: პუტინის მამა დანიშნული ყოფილა სხვა ქალზე, და ამიტომაც ვერა ვერ გაჰყვა მას ცოლად. მას დღესაც ესიზმრება „ვოვა“, რომელიც ათი წლისა იყო, თავის დედასთან რომ დატოვა, რადგან მეორე ქმარმა ვერა ათასგვარი დაპირებებით ჩამოიყვანა საქართველოში, თუმცა ეს დაპირებები შეუსრულებელი დარჩა.

ფილმის ავტორი ინეკე სმიგსი არ ეძებს დამამტკიცებელ საბუთებს. თანაც, რაიმეს დამტკიცება, ალბათ, ახლა უკვე შეუძლებელია. ამის ნაცვლად ფილმი „პუტინის დედა“ ხლება სიცოცხლის მოყვარე, ძლიერი ხასიათის მქონე ქალის პორტრეტი, რომელმაც ბედის მრავალ დარტყმას გაუძლო. ეს მოხუცი ქალი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე.

ფილმის ბოლო კადრებში უკვე აღარ აქვს მაყურებლისთვის მნიშვნელობა, არის თუ არა ეს ქალი რუსეთის პრეზიდენტის დედა. იქნებ, ეს მოხუცი ადამიანი ეძებს დიდი სტალინის შემცველს, რომლის სიყვარულიც მისი მშობლიური სოფლის მცხოვრებლებს ჯერ კიდევ არ განელებიათ. შემთხვევითი არ გახლავთ, რომ ვერა პუტინა რუსეთის მეთაურს „პაპარა სტალინს“ უწოდებს.

თვით პუტინს არაერთგზის უთქვამს, რომ მშობლები აღრეულ ასაკში დაკარგა. ბავშვობის ფოტოსურათებზე, რომელიც მოხუცმა ქალბატონმა გვიჩვენა, აღბეჭდილია ბიჭუნა, მისი ვაჟი, რომელიც საოცრად წააგავს კრემლის პატრონს. „მას არ შეიძლებოდა ჰყოლოდა ჩვენნაირი მშობლები, – თქვა ვერამ. – თავისი ნამდვილი ბიოგრაფიით იგი ხომ ვერასდროს გაიკეთებდა კარიერას სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში“.

ამ ხანდაზმულ ქალს დღემდე არ განელებია სირცხვილის გრძნობა. სირცხვილი თავისი საქციელისათვის. გარემოებებმა აიძულეს იგი მიეტოვებინა თავისი შვილი, ალბათ, ესეც ბედის ნება იყო.

⊙ პოლიტიკა

პოლიტიკურად გათვითცნობიერებულ მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ 1989 წლიდან ყოველთვიურად გამოდის საქართველოს დიპლომატიური აკადემიის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიური კვლევის ცენტრისა და საინფორმაციო-საგამომცემლო კორპორაციის ჟურნალი „პოლიტიკა“ (მთავარი რედაქტორი სოსო ცინცაძე), რომლის დევიზია: სიტყვა გაფრინდება, დაწერილი — დარჩება!

ამ დღეებში „ვარდების რევოლუციის წლისთავზე, მკითხველმა „პოლიტიკის“ ამა წლის ბოლო, მე-12 ნომერი მიიღო. ჟურნალის ფურცლებზე პოლიტიკური თვალით შეჯამებულია ეს ერთი წელიწადი და ამდენად ფრიად საყურადღებო ნომერია.

ქვემოთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებს „პოლიტიკის“ ხსენებული ნომრიდან ვთავაზობთ პოლიტოლოგების — გიორგი გაჩეჩილაძისა და სოსო ცინცაძის წერილებს.



ქართველი ერის „მოლოდინის ჰორიზონტი“

არის რაღაც სიმბოლური იმაში, რომ 2004 წლის 23 ნოემბერს საქართველოში ერთობლივად აღინიშნა გიორგობა, ქრისტიანობის შემოსვლის ორი ათასი და „ვარდების რევოლუციის“ ერთი წელი. სამივე მოვლენაში შეკუმშული სახით არის აკრეფილი „ათასი წელი... ვითარცა გუშინდელი დღე“ (ფსალმუნი, 89, 4).

გიორგი გაჩეჩილაძე.

ეს სამი მოვლენა ქართველი ხალხის ისტორიულ გამოწვევაზე ისტორიული პასუხის ნიშნით ერთიანდება. ამგვარი სიმბოლიზაციის საფუძველს ქართული კულტურის ხასიათი განაპირობებს. საქმე ისაა, რომ ცივილიზაციები ერთმანეთისგან სწორედ ისტორიულ გამოწვევაზე პასუხების ხასიათით განსხვავდებიან. არსებობენ ბუნების (კლიმატი, ოკეანე, სტეპი, უდაბნო) გამოწვევაზე პასუხების შედეგად აღმოცენებული ცივილიზაციები (ესკიმოსები, პოლინეზიელები, მომთაბარე ტომები). არსებობენ პოლიტიკური გარემოცვის გამოწვევაზე პასუხების შედეგად აღმოცენებული ცივილიზაციები.

საქართველო სწორედ ცივილიზაციათა ამ კატეგორიას განეკუთვნება.

საქართველოს პრობლემა ყოველთვის იყო და ასეთად რჩება დღესაც — პასუხი პოლიტიკური გარემოცვის გამოწვევაზე.

საქართველოს პოლიტიკური დრამის პარადოქსი იყო და არის ის, რომ თუ მან უპასუხოდ დატოვა გამოწვევა, ის მოკვდება უძრაობით გამოწვეული განუვითარებლობის გამო.

მაგრამ როცა საქართველო პასუხს სცემს გამოწვევას და მოქმედებას იწყებს ბედისწერად ქცეული მდგომარეობის შესაცვლელად, იგი ხშირად ისჯება, როგორც აკრძალული ხილის ჭამის გამო დასჯილი ადამი. სამოთხედ წარმოდგენილი და ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო, როგორც ქართველობისთვის კუთვნილი „სასიცოცხლო სივრცე“, ჯოჯოხეთი ხდება და რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ, რომ კაცობრიობა შევიდა პოსტკოლუმბური ცივილიზაციის ფაზაში, როდესაც პლანეტაზე აღმოსაჩენი და დასაპყრობი ქვეყნები აღარ არსებობსო — ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი დღესაც ასეთი გამოწვევის წინაშე აყენებს საქართველოს.

საქართველომ ან ხელი უნდა აიღოს ნებისმიერი ცოცხალი სისტემისთვის გარდუვალი თვითდამკვიდრების მიზანზე, ან შეეგუოს თვითლიკვიდაციის გარდუვალობას.

ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილ ქვეყნებს არნოლდ ტოინბი მიაკუთვნებდა „შეყოვნებული ცივილიზაციის“ ქვეყნების კატეგორიას.

საქართველოს მთელი ისტორია არის თავგანწირული ნახტომით (ტორე დე ფორცე) ამ „შეყოვნების“ გადალახვის და... მარცხის შემთხვევებში ამირანივით ისტორიის ძველ ბოძზე მიჯაჭვის ისტორია.

ეს არის სააზროვნო სიტუაციის საკვანძო სეგმენტი, რომელშიც ერთმანეთს კვეთენ ამირანის მითი და ქრისტიანობა.

ამირანის მითი სამი ათასი წლით მაინც უსწრებს ქრისტიანობას. ამირანის კონფლიქტი ასახავს ჩვენი წინაპრების სააზროვნო სიტუაციას ისეთ დროს, როდესაც საზოგადოების ფენებს შორის არ არსებობს თანხმობა ერთობლივ მომავალზე.

ამირანი მიისწრაფვის თავისუფლებისკენ, მაგრამ თავისუფლება ხელს არ აძლევს „შეყოვნების“ მდგომარეობაში პრივილეგირებულ ინტერესთა ჯგუფს, რომელსაც „ამირანში“ განასახიერებენ „მჭედლები“.

ყოველთვის, როდესაც ამირანმა უნდა გაგლიჯოს ბორკილი, შეიკრიბებიან ქართველი მჭედლები და თავიდან გამოჭედენ ამირანის გასაკოჭ ჯაჭვს. ქრისტიანობამ ქართულ საზოგადოებას ახალი კუთხიდან დაანახვა მისი პრობლემები:

„მაუწყე, მე, უფალო, გზა, რომლითაც უნდა ვიარო“.

ამ გზიდან გადახვევის გამო იქცა სასჯელად ბოლო 14 წლის განმავლობაში ქართველი ხალხის თავზე წისქვილის ქვად დატრიალებული ისტორია.

„ვარდების რევოლუცია“ იყო თავგანწირული ნახტომით ამ დაბრკოლების გარღვევის ცდა.

საბედისწერო შეცდომა იქნება, თუ ქართველმა ხალხმა ისე შეხედა მისივე ხელით განხორციელებულ რევოლუციას, თითქოს ეს ყოფილიყოს ხელისუფლების განმასახიერებელ ინტერესთა ერთი ჯგუფის ჩვეულებრივი შეცვლა ხელისუფლების განმასახიერებელ ინტერესთა სხვა ჯგუფით.

კიდევ უფრო საბედისწერო იქნება, თუ ამგვარი განწყობით განიმსჭვალა ის ხელისუფლება, რომლის არჩევასაც ხალხმა დიდი „მოლოდინის ჰორიზონტი“ დაუდო საძირკვლად.

ამ მოლოდინის გამართლების სტრატეგია და ტაქტიკა საქართველოს პრობლემათა კატალოგიზაციისა და კლასიფიკაციის შემდეგ ყალიბდება. პრობლემათა კლასიფიკაციით თვალსაჩინოდ იკვეთება, ერთი მხრივ, „სწრაფი რეაგირების“, ანუ გადაუდებელი პრობლემების და, მეორე მხრივ, „დროში გადასავადებელ“ პრობლემათა რიგი.

„ვარდების რევოლუციის“ დრო თანხვედრილია გლობალურ პოლიტიკურ ძალთა კონფიგურაციის ისეთ დროსთან, რომელსაც შვიდი საუკუნე ელოდა საქართველო.

რადგანაც, როგორც ყოველ პიროვნებას, ოჯახს, ისე ერს, სახელმწიფოს თავისი საიდუმლო აქვს, მომიტევოს მკითხველმა, თუ „ქართლის ჭირის“ ყველა სატკივარის ჩამოთვლისაგან „აქ და ახლა“ თავს შევიკავებ.

მაგრამ იმის თქმა კი თამამად შემიძლია, რომ ქართველი ხალხის მოლოდინის გასამართლებლად გადასადგმელ „სწრაფი რეაგირების“ პრობლემათა შორის ერთადერთი პრიორიტეტული ადგილი ქვეყნის შიდა ცხოვრების და საგარეო პრობლემათა ბალანსს უკავია. ქვეყნის გარეთ საქართველო ვერ გადალახავს ვერც ერთ პრობლემას, ვიდრე ქვეყნის შიგნით არ გაუმკლავდება ამ პრობლემების არსებობით დაინტერესებულ ძალებს.

„ამირანში“ მათი სახელია „მჭედლები“, ამჟამინდელი საქართველოს კონტექსტში — კორუფციონერები, ქურდები, კომპრადორები (უცხოთაგან ნაყიდი კონტინგენტი).

ხელისუფლება როგორი წარმატებითაც გაართმევს თავს ამ ამოცანას, ზუსტად ისეთი წარმატებით იქნება გამართლებული ხალხის მოლოდინი.

აქ ერთი გარემოებაა გასაცნობიერებელი:

„ვარდების რევოლუცია“ ერთი რამით განსხვავდება როგორც საქართველოში, ისე ნებისმიერ ქვეყანაში მომხდარი რევოლუციებისგან. „ვარდების რევოლუციის“ დრო თანხვედრილია გლობალურ პოლიტიკურ ძალთა კონფიგურაციის ისეთ დროსთან, რომელსაც შვიდი საუკუნე ელოდა საქართველო.

ეს არის დრო, როდესაც ირკვევა, რომ „ჩვენ, ქართველები, საჭირონი ვართ არა მხოლოდ ჩვენი თავისთვის, არამედ სხვებისთვისაც“.

ასოცი წლის წინათ იწინასწარმეტყველა ეს ილია ჭავჭავაძემ. მანვე იწინასწარმეტყველა, რომ „მსოფლიოს მომავალი მეთაური იქნება ამერიკა!“

არა მგონია, ადვილი წასაქცევი იყოს ასეთი მისნური წინათგრძნობის ნიჭით დამუხტული ერი.

მაგრამ ნათელხილვა ვერ უშველის ხალხს, თუ საქართველოს ხელისუფლებამ მას არ დაუბრუნა წინა ხელისუფლების დროს წართმეული და ნებისმიერ ქონებაზე უფრო ფასეული საგანძური: ქცევის კრიტერიუმი (ზნეობა).

ლაპარაკია ადამიანის მოქმედების შეფასების იმ საზომზე, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებაში ადამიანის დასაკავებელ ადგილს.

ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს, თუ სადაა ქურდის, მოღალატის, კორუფციონერის ადგილი და სად — ქვეყნის ღირსეული შვილისა.

ეს არის ერთ-ერთი პრიორიტეტული მოლოდინი, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ მიმართ აქვს ქართველ ხალხს. მისი სურვილია დაინახოს და დარწმუნდეს, რომ საზოგადოებაში ადამიანის ადგილის დაკავების საზომი არის საზოგადოებრივი იდეალები, ის, რასაც მოკლედ ჰქვია წესიერება.

ადამიანი მიმიკური, ანუ მიმბაძველი არსებაა. მიბაძვის მაგალითს ხელისუფლება იძლევა. მაქს ვებერმა შენიშნა, რომ პოლიტიკას, როგორც მოწოდებას და როგორც პროფესიას, ორი გარემოების გამო ირჩევს ადამიანი: „ხელისუფლება მას სურს ან იდეალური, ან ეგოისტური მიზნების მისაღწევად“.

საქართველოს პოლიტიკური ისტებლიშმენტის 99% ხელისუფლებას აღიქვამდა არა იდეალური მიზნების, არამედ ფულის შოვნის საშუალებად.

ქართველი ხალხის „ვარდების რევოლუციასთან“ დაკავშირებული მოლოდინი არის იმის დანახვა, რომ მისი ქვეყნის საჭეთა მპყრობელთა მიზნები ეროვნული იდეალებითაა შთაგონებული.

და ბოლოს, არ შევცდები თუ ვიტყვი: დღეს ქართველი ერი იმის სასოებით შეცქერის თავის ხელისუფლებას, რომ მისი სახით არსებობენ ადამიანები, რომელთაც საჭიროდ მიაჩნიათ ქართული სახელმწიფოს არსებობა.

⊙ ინფორმაცია

გუდაური-კობის მონაკვეთზე მოძრაობა კვლავ აკრძალულია

მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური-კობის მონაკვეთზე ზვავსაშიშროების გამო ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა კვალავ აკრძალულია.

როგორც „ინტერ-პრესს“ საავტომობილო გზების დეპარტამენტში განუცხადეს, ზვავსაშიშ მონაკვეთზე ასევე აკრძალულია თოვლმწმენდი სამუშაოების ჩატარება, რის გამოც გუდაური-კობის მონაკვეთზე გზის წმენდა დროებით შეჩერებულია. ზვავსაშიშროების მოხსნისთანავე სამუშაოები განახლდება.

ფასანაური-გუდაურისა და კობი-ლარსის მონაკვეთებზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით არის დასაშვები. გზის ამ მონაკვეთზე აკრძალულია მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30-ზე მეტი ადგილიანი ავტობუსების მოძრაობა.

ჟინვალი-ფასანაურის, ფასანაური-მლეთის და მლეთა-გუდაურის მონაკვეთებზე მძიმე საგზაო ტექნიკა მუშაობს და მიმდინარეობს გაწმენდითი სამუშაოები.

ინტენსიური თოვისა და ქარბუქის გამო დაკეტილია ახალციხე-ნინოწმინდა-სომხეთის საზღვრის საავტომობილო გზის 90-110 კმ. ტყიბული-ამბროლაურის მიმართულებით, ნაქერალას უღელტეხილზე მოძრაობა ნებადართულია მხოლოდ მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით.

მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური-კობის მონაკვეთზე გუშინ მოხერხდა თოვლში ჩარჩენილი 200-მდე მგზავრის გამოყვანა.

ამ დროისთვის თოვლში მხოლოდ ორი მსუბუქი ავტომანქანაა ჩარჩენილი, დანარჩენი მგზავრები სამაშველო ასეულის დახმარებით სტიქიის ზონიდან გაიყვანეს.

დიდთოვლობის გამო კვლავ ჩაიკეტა ჟინვალი-ბარისახო-შატილი-მუცოს და ჭალის საავტომობილო გზის 52-67-კილომეტრიანი მონაკვეთი, სადაც ყველა სახის ტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია.

პოლიტიკური პატიმარი კი არა, თაღლითია, აცხადებს ოქრუაშვილი

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი პირველ კომენტარს აკეთებს ყოფილი დეპუტატის გურამ შარაძის გუშინწინდელ დაკავებასთან დაკავშირებით და აცხადებს, რომ გურამ შარაძე არა პოლიტიკური პატიმარი, არამედ „ჩვეულებრივი თაღლითია“.

— შარაძემ ქმედება განსაკუთრებული ცინიზმით ჩაიდინა და მან სწორედ ის მიიღო, რასაც კანონით იმსახურებდა, — განაცხადა გუშინ ოქრუაშვილმა.

გურამ შარაძე წერილმანი ხულიგნობის ბრალდებით გუშინწინ დააკავეს. მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, შარაძეს ადმინისტრაციული სასჯელის სახით 15-დღიანი პატიმრობა და სამხატვრო აკადემიისთვის მიყენებული ზარალის — 2400 დოლარის ანაზღაურება დაეკისრა.

საქმე ეროვნულ ბიბლიოთეკაში მიმდინარე გამოფენაზე თანამედროვე მხატვრის რაფაელ ოლბლინსკის პლაკატების განადგურებას შეეხება.

დააკავეს ქურდობაში ეჭვმიტანილნი

სახხერის პოლიციამ სოფელ სავანეთის მეფრინველეობის ფაბრიკის გაქურდვის საქმე გახსნა და ეჭვმიტანილები დააკავა.

მეფრინველეობის ფაბრიკა სამი დღის წინათ გაიქურდა. ბოროტმოქმედებმა დიდი ოდენობით ქონება გაიტაცეს.

დაკავებულებს — სოფელ სავანეთში მცხოვრებ ვალერი გეგეშიძეს, გიორგი ლობჟანიძეს, ანდრო ქავთარაძესა და ვასილ ქიმაძეს სამართალდამცველებმა ფაბრიკიდან წაღებული სხვადასხვა საქონელი საკუთარ საცხოვრებელ სახლებში აღმოუჩინეს.

ინტერ-პრესი.

⊙ პოზიცია

თუ ემოციებს ნაკლებად ავყვებით და ფაქტებით ვიმსჯელებთ...

ახლახან ქვეყნის პირველი პირი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს შეხვდა. მონაწილეთა შორის გახლდათ უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა მემმარიაშვილი. ამ საგულისხმო შეხვედრის ტელევიზიით გაშუქებისას ყურადღება მიიპყრო ბატონ ელგუჯას ერთმა მახვილმა განცხადებამ, რომ საქართველოს პრეზიდენტის გვერდით დგომა პირადი გამორჩენით კი არ უნდა იყოს განპირობებული, არამედ ქვეყნის სამსახურით. თითქოს უბრალოდ ნათქვამია, მაგრამ სიმახვილე ისაა, რომ ასეთი პოზიცია პრინციპად უნდა აქციოს ყველამ, ვინც თავს პროფესიონალად და მოქალაქედ თვლის, ვინც ივალდებულებს ხალხისთვის თავისი ცოდნისა და გამოცდილების მოხმარებას და ვისგანაც დიდ საქმეებს ელიან.

ისტორიულად პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის შემოქმედი და გენერალური კონსტრუქტორი ელგუჯა მემმარიაშვილი არაერთგზის ყოფილა ჩვენი გაზეთის სტუმარი. ამჯერად ბატონ ელგუჯას ქართული ნოემბრის რევოლუციის წლისთავის წინ ვესაუბრეთ.

ელგუჯა მემმარიაშვილი.

— როგორ შეაფასებდით განვლილ ერთ წელს, თქვენი აზრით, რა გაკეთდა მნიშვნელოვანი?

— დროის მონაკვეთი 2003 წლის 23 ნოემბრიდან 2004 წლის 23 ნოემბრამდე ემოციებით დატვირთული გამოდგა, ოღონდ შეფასება ისეთი კატეგორიაა, რომ ემოციებს ნაკლებად უნდა ავყვეთ და ფაქტებით უნდა ვიმსჯელოთ. ფაქტები კი მრავალისმთქმელია და დამაჯერებელი. ნება მომეცით, გადავნომრო: 1. საქართველოში შესაძლებელი გახდა სახელმწიფო ბიუჯეტის არა მარტო შესრულება, არამედ ერთი წლის განმავლობაში რამდენჯერმე გადაჭარბება. 2. პრაქტიკულად, ყველა სახელფასო დავალიანება დაიფარა. 3. დაიწყო მართლწესრიგის დაცვის სისტემური გაუმჯობესება, შეიქმნა საპატრულო პოლიცია, რომლის ახლოსაც ყოველი მოქალაქე გაცილებით დაცულად გრძნობს თავს. 4. ენერგიულად და ინტენსიურად მიმდინარეობს შეიარაღებული ძალების მშენებლობა, ამასთან ამოქმედდა რეზერვის მომზადების ინსტიტუტი. 5. განისაზღვრა ნატოში საქართველოს გაერთიანების კონკრეტული პროგრამა.

— თქვენ ხანგრძლივი სტაჟის მქონე პედაგოგ-ლექტორი ბრძანდებით და ყოფილი პარლამენტარი. რა თქმა უნდა, გულგრილი ვერ დარჩებოდით უმაღლესი განათლების შესახებ კანონპროექტის მიმართ...

— ლამის ნახევარი საუკუნის მანძილზე, მაშინ, როცა მსოფლიოში თითქმის ყველაფერი შეიცვალა, საქართველოში უმაღლესი განათლების მხრივ, ხარისხობრივი თუ თვისებრივი ცვლილებები არ მომხდარა. ჩემთვის გაუგებარია მათი პოზიცია, ვინც ფიქრობს, რომ კანონპროექტის მიღება შეუთავსებელი იქნება ქართულ უმაღლეს სკოლასთან. მე პირიქით ვიტყოდი: მიუღებლობით აღმოჩნდება ქართული უმაღლესი განათლების სისტემა ევროპული განათლების სივრცესთან შეუთავსებელი. არავინაა იმის წინააღმდეგი, რომ პროექტში ზოგი რამ გასასწორებელი და დასახვეწია და ალბათ ასეც მოხდება — გასწორდება და დაიხვეწება, მაგრამ პროექტის ძირითადი პრინციპები უთუოდ უნდა შევინარჩუნოთ.

— ბატონო ელგუჯა, თქვენთვის, გენერალ-მაიორისთვის, სამხედრო განათლების სფერო ალბათ განსაკუთრებული ინტერესის საგანს შეადგენს...

— წლეულს დავასრულე ჩემი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომლის მიხედვითაც სრული სახით შეიქმნა და ამოქმედდა ჩვენს ქვეყანაში პირველი უმაღლესი სამხედრო-საგანმანათლებლო დაწესებულება — საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემია, აქ უკვე რეალიზებულია იმ მოთხოვნათა დიდი ნაწილი, რომლებსაც უმაღლესი სასწავლებლების წინაშე კანონპროექტი აყენებს. კონკრეტულად: 1. აკადემიას ჰყავს პრეზიდენტი-რექტორი, რომელიც ხელმძღვანელობს საკადემიო საბჭოს და წარმართავს სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდოლოგიურ მუშაობას. 2. აკადემიას ასევე ჰყავს უფროსი, რომელსაც შემდგომ, ალბათ, კანცლერი დაერქმევა და რომელიც ადმინისტრაციული, ფინანსური, დისციპლინარული, სამეურნეო და არაერთი სხვა საკითხის მოგვარებით იქნება დაკავებული. 3. ეროვნული უშიშროების საბჭოში მზადდება სათანადო გადაწყვეტილებათა პაკეტი, რომლის შესაბამისადაც აკადემიის ფაკულტეტის შემადგენლობაში სტრუქტურული ქვედანაყოფის სახით შევა საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტი. ეს იქნება კანონპროექტის იმ მოთხოვნის ასახვა, რომლის თანახმადაც მეცნიერება უნდა შეერწყას უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემას, რაც დასავლეთის პრაქტიკაში ფართოდ არის გავრცელებული. 4. უკვე მიმდინარე წლიდან აკადემია ფინანსდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის მიხედვით, რომელიც შეეხება ქვეყნის თავდაცვის უმნიშვნელოვანეს მიმართულებას. ხედავთ, კვლავ ნუმერაცია გამოგვივიდა...

ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ჩამოთვლილმა მიდგომებმა ხარისხობრივად გაზარდა აკადემიის მოღვაწეობის ეფექტიანობა. შეიძლება ითქვას, რომ აკადემიაში ფაქტობრივად შედგა ექსპერიმენტი, რითაც დადებითი პასუხი გაეცა ბევრ ახალ მოთხოვნას.

ერთი კონკრეტული წინადადებაც მექნება: უმაღლესი განათლების კანონის მიღებისთანავე უნდა შევუდგეთ კანონპროექტის მომზადებას სამხედრო განათლების შესახებ, რომელიც ამ განათლების სისტემას უწყვეტრივ ჩარჩოებში არ მოაქცევს და ყველა პირობას შექმნის მისი განვითარებისათვის საქართველოს ერთიან საგანმანათლებლო-სამეცნიერო სივრცეში. ეს მით უფრო უპრიანია მას შემდეგ, რაც თავდაცვის სამინისტრო სამოქალაქო უწყებად გარდაიქმნა — საზოგადოების დემოკრატიული განვითარების პრინციპების სრული შესაბამისობით.

რაკი სამხედრო სფეროს შევეხეთ, განვლილი პოსტრევოლუციური წლის მიღწევათა საილუსტრაციოდ ასეთ მკაფიო მახასიათებელს დავუმატებდი ზემოთ მოყვანილ ჩამონათვალს: საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სამსახურის მსურველთა რაოდენობა რამდენჯერმე აღემატება წვევამდელთა დაგეგმილ ლიმიტს, რაც იმის მაუწყებელია, რომ დამარცხების სინდრომმა უკან დაიხია. ქართველები გამარჯვების რწმენას იბრუნებენ, ეს კი სამომავლო წარმატების საწინდარია.

— ხომ არ გაგვიზიარებთ სახელმწიფოს მეთაურთან უნივერსიტეტში შეხვედრის შთაბეჭდილებას?

— პროფესურასა და პრეზიდენტს შორის საუბარი ქვეყნისთვის აქტუალურ საკითხებს შეეხო, რომელთაგან ტექნიკური უნივერსიტეტისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის პირველი პირის ერთი განცხადების შინაარსი: დადგება ერთგვარი მომენტი, როცა მრავალი დარგი სპეციალისტებით გარკვეულად გაჯერდება. მთავარი იქნება ის დარგები, სადაც რეალური პროდუქცია იქმნება, შესაბამისად ის სპეციალისტები, რომლებიც ასეთ პროდუქციას ქმნიან. პრეზიდენტი გულისხმობდა ინჟინერთა ფართო სპექტრს, რომელიც საქართველოს ინდუსტრიის, ტრანსპორტის, მშენებლობის, ენერგეტიკისა და ეკონომიკის ხერხემალს შეადგენს.

სწორედ ეს უნდა გახდეს ამოსავალი წერტილი ჩვენი ტექნიკური ინტეგრაციის შემდგომი მოღვაწეობისთვის.

— ბატონო ელგუჯა, ტელევიზია, როგორც ხატოვნად ამბობენ, საზოგადოების, საზოგადოებრივი ცხოვრების სარკეა. ყოველთვის მაინტერესებდა ხელისუფლებისგან მისი დამოკიდებულების ნიშნები, ობიექტურობის ხარისხი, ეკრანის ენა... თქვენი მიმართება როგორია? ან საზოგადოებრივ ტელევიზიაზე რომ ამდენი ლაპარაკია, თქვენს შეხედულებასაც ხომ არ გაგვაცნობდით?

— ჩემი დამოკიდებულება ამ ფენომენისადმი ასეთია: ახალ რეალობაში ტელევიზიასაც გარკვეული დრო სჭირდებოდა შემეცნებისთვის და კვლავაც დასჭირდება. ეგებ ამით აიხსნება ის, რომ უმეტეს არხზე ყოველი მომდევნო გადაცემა და ყოველი მომდევნო დღე, როგორც მე მეჩვენება, უფრო საინტერესო, უფრო აქტუალური ხდება.

ვფიქრობ, საქართველოს მასმედიაში საკმაოდ არიან ნიჭიერი და შემოქმედი ადამიანები და იმედი მაქვს, თავიანთ უპირველეს მისიად ქვეყნის სამსახურს მიიჩნევენ.

ქართული ტელევიზიის ხარისხიანობასა და ეფექტურობას ეს ძირითადი ფაქტორი უნდა განაპირობებდეს.

საზოგადოებრივ ტელევიზიას რაც შეეხება, ის უნდა არსებობდეს და არ გავიმეორებ იმ მოტივაციებს, რომლებითაც ასაბუთებენ საკითხის დადებით გადაჭრას, უბრალოდ შევეხები ერთ არსებით დეტალს: ქვეყანაში უნდა გვქონდეს თუნდაც ისეთი მაუწყებლობა, რომელიც განსაკუთრებულ ვითარებაში დოკუმენტური სიზუსტით განახორციელებს ეთერში სახელმწიფო გადაწყვეტილებებისა და სხვა მასალების გაშვებას. ასეთი სიტუაციები ყოველთვის შეიძლება შეიქმნას ნებისმიერ სახელმწიფოში — მაგალითად, ვითარებები, რომლებიც დაკავშირებულია კლიმატურ-მეტეოროლოგიურ მოვლენებთან, გნებავთ, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარკვეულ პროცედურებთან.

...შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბევრი მკითხველი გაიზიარებს პროფესორ ელგუჯა მემმარიაშვილის — მოქალაქისა და პროფესიონალის ზემოთ მოყვანილ არაერთ შეხედულებას...

ჟამი ქვათა შეკრებისა

უკანმოუხედავად ჩაგვიქროლა „ვარდების რევოლუციის“ პირველმა წელიწადმა. დადგა „წიწილების დათვლის“ დრო; რა მოუტანა ხალხსა და ქვეყანას განვლილმა წელმა? რა შეიცვალა? რისი გაკეთება მოასწრო ხელისუფლებამ და რა დარჩა გაუკეთებელი? რა უფრო მეტია დღევანდელ საქართველოში — იმედი, ოპტიმიზმი თუ იმედგაცრუება და პესიმიზმი? ეს მხოლოდ რამდენიმე კითხვაა „ზედაპირზე“ რომ დევს და თვალში საცემია, თორემ სიღრმისეული კითხვებიცა და პასუხებიც სხვა ვითარებაში და მხოლოდ პროფესიონალთა განსახილველია.

ბუნებრივია, რომ ნებისმიერ ღარიბ ქვეყანაში რიგითი მოქალაქე ყოველი სიახლის ავ-კარგს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი სამომხმარებლო კალათის სიმძიმით განსაზღვრავს. მეორე მხრივ კი, მომხდარა სადმე საოცრება, რომ შეჭმულ-აოხრებულ, ტერიტორიებდაკარგულ, რამდენიმე ოჯახის საკუთრებად ქცეულ ქვეყანაში ხელისუფლების ცვლას და პრაქტიკულად ახალი სახელმწიფოს მშენებლობის დაწყებას პირველსავე წელს საყოველთაო კეთილდღეობა მოჰყოლოდეს? გვეხმარებიან მეგობარი ქვეყნები რეფორმების გატარებაში, არმიის შექმნაში, კადრების მომზადებასა და კიდევ ბევრ სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემის გადაჭრაში, მაგრამ ყველა ჩვენი მეგობრები რომ გაერთიანდნენ ერთ პროგრამაში, მაინც ვერ შეძლებენ ათიათასობით პატიოსანი, პროფესიონალი და სახელმწიფოებრივი აზროვნებით გამსჭვალული მოხელის მომზადებას, ანუ ხარისხიანი ბიუროკრატიული ფენის (გინდ კლასი ვუწოდოთ) უზრუნველყოფას. სწორედ უკანასკნელი — ხარისხიანი ბიუროკრატიაა დღეს ქართული ეკონომიკის მთავარი პრობლემა. უამისოდ ვერც კორუფციას დავწევთ „დასაშვებ“ ზღვარზე (მისი სრული აღმოფხვრა მომავლის საქმეა), ვერც ინვესტიციებს მოვიზიდავთ და ვერც მრეწველობას ავამუშავებთ. სწორედ დღევანდელი ბიუროკრატიული აპარატისა და არა ხელისუფლების „ავი ნების“ შედეგი იყო თუნდაც იგივე კახელ მევენახეთა ტრაგედია. გამწარებული კახელები კი პრეზიდენტის რეზიდენციასთან იკრიბებოდნენ საპროტესტოდ და არა სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, რომლის მოუქნელობით და არაოპერატიულობითაც დარჩა პირში ჩალაგამოვლებული მევენახე.

თუ ვერც ხალხი გააძღო, ვერც ქვეყნისათვის აუცილებელი სახელმწიფო მოხელეები გამოზარდა, ვერც ყურძნის საკითხი გადაჭრა დროზე, მაშ, რაღა გააკეთა ხელისუფლებამ რევოლუციის შემდეგო? — იკითხავს ნიშნის მოგებით პარტიული ოპოზიციონერი და უპარტიო დიასახლისი. არც ერთი სფერო არ საჭიროებს ისეთ რკინის ნერვებსა და მოთმინების უნარს, როგორც პოლიტიკა, ხოლო ახალ ღირებულებებსა და პრინციპებზე დაფუძნებული სახელმწიფო მშენებლობა კიდევ უფრო მეტად მტკიცე ნერვებს, თმენის უნარს, რწმენასა და პოლიტიკურ ნებას მოითხოვს. ჰქონდა რწმენა და პოლიტიკური ნება წინა ხელისუფლებას? რიტორიკული კითხვაა — ორივე რომ უცხო ხილი იყო მთელი ათი წელი, საბავშვო ბაღებშიც იციან. ჰოდა, თუ საკუთარი თავისა და საკუთარი საქმის თვით ხელისუფლებასაც არა სჯეროდა და ინერციით მისჩანჩალებდა ცხოვრებას (საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვა ლირიკული გადახვევა იყო), რა მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო მოსახლეობა? ამიტომაც იყო, რომ, როგორც კი რეალური ალტერნატივა გამოუჩნდა რეჟიმსა და მის ლიდერს, არამხოლოდ ვითარება, თვით ქვეყანაც კი შეიცვალა ერთ-ორ თვეში. „რუსთავი 2“-მა მოახდინა რევოლუციაო — ზღაპარია! როდესაც რეჟიმი თვითონ ლპება, მას მხოლოდ ხალხისათვის მისაღები ალტერნატივაღა სჭირდება წასაქცევად. ნამდვილად არ ყოფილა ტელევიზია XIXს-ის დასაწყისში, მაგრამ ფრანგული დირექტორია ყოველგვარი სერიოზული კატაკლიზმებისა და სისხლისღვრის გარეშე დაეცა. ჯერ კიდევ როდის თქვა ვიქტორ ჰიუგომ — „არ არსებობს ძალა ძლიერი იდეაზე, რომლის დროც დადგაო“. ამიტომ იყო უკვე შეუძლებელი სააკაშვილის შეჩერება, უფრო სწორად, იმ იდეის შეჩერება, რომლის მატარებელიც იგი იყო. სხვა ქვეყანაში მართლაც შეუძლიათ „იმიჯმეიკერებსა“ და „შოუმენებს“ არაფრისაგან პოლიტიკური ლიდერის შექმნა, საქართველოში ეს შეუძლებელია. რევოლუციის წარმატებისათვის ძლიერი პოლიტიკური ნება იყო უპირველეს ყოვლისა, საჭირო და სწორედ ეს რესურსი აღმოაჩნდა უხვად გადამწყვეტ მომენტში ოპოზიციის ლიდერს. რატომ იყო უნიათო და არათანმიმდევრული პრეზიდენტ შევარდნაძის პოლიტიკა? რასაკვირველია, პროფესიონალი პოლიტიკოსია ბ-ნი ედუარდი, მაგრამ მისი ხანგრძლივი კარიერის ბოლო ეტაპზე იმუნოდეფიციტად ექცა პოლიტიკური ნება, ხოლო პირადი ხელისუფლებისადმი დაუოკებელმა ლტოლვამ კი სახელმწიფოებრივი მენტალიტეტი შეცვალა.

სოსო ცინცაძე.

მაინც სად გამოვლინდა ახალი ხელისუფლების პოლიტიკური ნება? რატომ ვერ შეძლო შევარდნაძის მერმა, პოლიციამ და კიდევ სხვა უამრავმა ქალაქის სამსახურმა გარევაჭრობების აკრძალვა? რატომ აზრადაც კი არავის მოსვლია „ივერიიდან“ და „აჭარიდან“ ლტოლვილთა გამოსახლება კომპენსაციით? რა, მხოლოდ ფინანსური პრობლემა უშლიდა ხელს? პოლიტიკური ნება არ იყო და იმიტომ! მთელი ათი წელი კანონის უზენაესობას ჩაგვჩიჩინებდა პრეზიდენტი, მაგრამ ტრივიალურ შემთხვევაში პრიმიტიულ შანტაჟს ვერ გაუძლო და წარბიც არ შეტოკებია, ისე გააუქმა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება გეოლოგების შენობაში შეჭრილი ლტოლვილების გამოსახლებაზე. იყო კორუფციასთან ბრძოლის წელიწადი, ეძღვნებოდა ამ დილემას მთავრობის სხდომები, „პარტიულ-სამეურნეო აქტივები“, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები და იყო სტაბილურად ურყევი კორუფცია. როგორ მოხერხდა უკანასკნელ ერთ წელიწადში კორუფციასთან რეალური ბრძოლის დაწყება (მხოლოდ დაწყება და არა დასრულებაც) რეალურივე პირველი შედეგებით? მართლაც ბრძენი იყო „თურქეთის ქვეშევრდომის“ უკვდავი შვილი, რომელიც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სისუფთავისათვის ბრძოლა კი არა, ცოცხია საჭირო, ჰოდა, ეს ცოცხია პოლიტიკური ნება.

...ბევრია თუ ცოტა რევოლუციისათვის ერთი წელიწადი? თუ ნამდვილ რევოლუციას ვგულისხმობთ სისტემური ცვლილებებით, რასაკვირველია ცოტაა, თუ ტრივიალურ სასახლის გადატრიალებას — საკმარისზე მეტია. პოლიტიკურად ანგაჟირებული ფუნდამენტალისტი უნდა იყო, რომ „ვარდების რევოლუცია“ უკანასკნელს მიაკუთვნო, თითქმის ყველაფერი იცვლება საქართველოში — რთულია ეს პროცესი, ეროვნულ-ფსიქოლოგიური სპეციფიკა იმდენად უნიკალურია, რომ არ არსებობს მზა რეცეპტი, ზოგ შემთხვევაში სიბნელეში ხელების ფათურითაც კი უნდა ვეძებოთ წინა ხელისუფლების მიერ დახლართული ლაბირინთიდან გამოსასვლელი გზა. კი ბატონო, ქართველები უნიკალურები ვართ, მაგრამ არც იმდენად, რომ სხვების მიერ საუკუნეში განვლილი გზა ჩვენ ერთ წელიწადში გავირბინოთ. მთავარია, ყველამ შეიგნოს, რომ საქართველომ თავისი მატიანის კიდევ ერთი ფურცელი გადაშალა და რაც მთავარია, დადგა ჟამი ქვათა შეკრებისა.

აზჯარი

ყველა ჯანმრთელი ახალგაზრდა სამშობლოს ჯარისკაცი უნდა გახდეს

„ვარდების რევოლუციამ“ ქართულ შეიარაღებულ ძალებს სულზე მოუსწრო. სწორედ მარშან დაიწყო ქვეყნის ძლიერებაზე რეალური ფიქრი. გამოთქმამ – „ძლიერი ჯარი, – ძლიერი ქვეყანა“, თავისი ნამდვილი მნიშვნელობა შეიძინა და სასწრაფოდ დაისვა ძალოვანი სტრუქტურების ძირეული რეფორმის საკითხი. ქვეყნის ახალმა პრეზიდენტმა და უმაღლესმა მთავარსარდალმა ერთმნიშვნელოვნად თქვა: „ჩემი შვილი ქართულ ჯარში იმსახურებს!“ სწორედ ამ სიტყვებიდან დაიწყო საზოგადოების ჯარისკენ შემობრუნების პირველი ეტაპი. არ გასულა რამდენიმე დღე და გამწვევ პუნქტებთან წვევამდელთა რიგები დადგა, – ქართულ ჯარს ქართველებთან ერთად, საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც, თანასოფლელები თუ უბნელები, ტყუპები თუ დედისერთებიც კი მიეძალნენ, თბილისელმა როლანდ ნებიერიძემ კი ხუთივე შვილი ჯარში გააგზავნა.

პრეზიდენტისა და უმაღლესი მთავარსარდლის შემდეგი გაფრთხილება ასეთი იყო: „ვერც ერთი თანამდებობის პირი სახელმწიფო სამსახურში პოსტს ვერ დაიკავებს თუ თვითონ ან მისი შვილი სამხედრო სამსახურს თავს აარიდებს!“ შეიქმნა რეზერვისტთა ინსტიტუტი, რომელშიც პირველსავე დღეებიდან ათიათასობით ადამიანი ჩაეწერა. ზოგიერთი სკეპტიკოსის აზრით, ეს მხოლოდ პრეზიდენტის „მუქარამ“ გამოიწვია და მას არავითარი კავშირი არ ჰქონდა პატრიოტიზმთან, თუმცალა, ეს ასე რომ არ არის, მთელმა ქვეყანამ იცის.

ნიშანდობლივია, რომ რევოლუციის პირველი დღიდანვე, მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების მსგავსად, დაიწყო ფიქრი შეიარაღებული ძალების ოპტიმიზაციის საკითხებზე. თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელ პოსტებზე მოვიდნენ სამოქალაქო პირები, ბევრისთვის მოულოდნელად სულ რაღაც რამდენიმე თვეში, ჩვენი ჯარები აღიჭურვა სათანადო შეიარაღებით, ასე განსაჯეთ, – მოიერიშე თვითმფრინავებითა და ვერტმფრენებითაც კი. ერთი-ორად გაუმჯობესდა სამხედრო მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობები, მაგრამ ყველაზე მოულოდნელი ის გახლდათ, რომ სხვადასხვა სამხედრო სტრუქტურებში ჯართად გასაყიდი სამხედრო „ტექნიკა“ ტანკებად, ბეტეერებად და ზარბაზნებად აქციეს შინაგანი ჯარების სპეციალისტებმა. ამით კი, მილიონობით ლარი დაუზოგეს ქვეყანას. ყოველივე ამასთან ერთად, წარმატებით დასრულდა აშშ-ს ხელშეწყობით ჩატარებული „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის პირველი ეტაპი და დღეს, მეგობარი ქვეყნების მხარდაჭერითა და დახმარებით, უკვე გვყავს თანამედროვე მოთხოვნების დონეზე მომზადებული და ეკიპირებული სამხედრო დანაყოფები. საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, ჩვენი კომანდოსები უკვე წარმატებით ასრულებენ სამშვიდობო მისიას კოსოვოსა და ერაყში. საქართველო „ნატოს“ პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველია, რომელმაც ასე მოკლე დროში დიდ წარმატებას მიაღწია და „ნატოში“ გაწევრიანებისთვის აუცილებელ სამოქმედო გეგმას შეუერთდა.

როდესაც გარკვეულ დაღებით შედეგებზე ვსაუბრობთ, ნურავინ იფიქრებს, რომ არსებულ პრობლემებზე მიჩუმათებას ვაპირებთ. არამც და არამც! მაგრამ ახალი რევოლუციის მოლოდინში მყოფი ზოგიერთი ჩასაფრებული პოლიტიკოსის „თეორიებსაც“ ვერ დავეთანხმებით, – ჩვილს არასოდეს უწუნებენ სილამაზეს, ის ყველანაირად მიმზიდველია და არა მგონია, სწორი იყოს ახალფეხადგმულ ჯარს ურწმუნო თომას პოზიციებიდან შევხედოთ.

ქვეყნის სამხედრო აღმაშენებლობაში პროგრესი თვალნათლივ ჩანს

და, ნიშანდობლივია, რომ ყოველივე ეს, უმოკლეს ვადებში მოხდა, თანაც, – ყოველივე ამან პრაქტიკაშიც ჰპოვა ასახვა.

ამ, ბოლო თვეების განმავლობაში საშუალება მქონდა დავსწრებოდი თავდაცვის სამინისტროსა და შინაგანი ჯარების საწვრთნელ მეცადინეობებს, როგორც მთაში, ასევე ბარში. რამდენიმე მათგანზე უკვე მოვუყევი ჩვენი გაზეთის მკითხველებს და მათზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, მაგრამ სულ ახლახან – როდესაც შინაგანი ჯარების მუხროვანის მექანიზებულ ბრიგადაში ახალწვეულთა ფიცის მიღებისა და ვალმოხდილ ჯარისკაცთა დემობილიზაციისადმი მიძღვნილ ცერემონიას, ხოლო ზონაში ტექნიკის მანევრებს დავესწარი, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, – საქართველოს უკვე ჰყავს მაღალპროფესიული, უზადოდ მომზადებული, ეროვნული სამხედრო ძალა! შემთხვევით არაფერი ხდება, – ქვეყანაში, სადაც ეროვნული პრინციპებისადმი ერთგულებას ღირსების საქმედ თვლიან, წარმატებები უცილობლად გვექნება. სწორედ ამ დამოკიდებულებამ უკარნახა, ალბათ, შინაგანი ჯარებიდან დემობილიზებულ ჭაბუკებს, დარჩენილიყვნენ ქართულ ჯარში.

– რატომ? ვკითხე ზოგიერთ მათგანს.

– როცა ქვეყანას სჭირდება, როცა ქვეყანა გაფასებს, როცა პრეზიდენტიც შენს ჭირ-ვარამს იზიარებს, სხვანაირად არც შეიძლებოდა გვეფიქრა...

– თუ თქვენსავით ყველა დარჩა ჯარში, სხვების რიგი როდისღა მოვა?..

– ვინ სხვების?

– სამხედრო ვალდებული ჭაბუკების...

– გნებავთ, ასიათასობით იყვნენ... ყველამ უნდა გაიაროს სამხედრო სავალდებულო სამსახური.

– ჯარების ოპტიმიზაციის პირობებში ამდენი ჯარისკაცი რომ არ არისო საჭირო?

– რამე უნდა მოვიფიქროთ, ჭკვიანური... ყოველი ქართველი ჯარისკაცი გაწვრთნილი უნდა იყოს და რეზერვში ირიცხებოდეს.

– მალე კანონი გამოვა დამატებითი შეღავათების შესახებ, რომელიც სამხედრო ვალდებულებს აუცილებელი სამსახურისგან გაათავისუფლებს...

– ჩვენი აზრით, არ უნდა არსებობდეს კანონი, რომელიც ჯანმრთელ ახალგაზრდა კაცს სამხედრო სამსახურს აარიდებს. ყველა პროფესიონალი ვერ იქნება, მაგრამ... ყველამ უნდა იმსახუროს რამდენიმე თვე მაინც... პრეზიდენტმა რომ ბრძანათ, – საქართველოს ყოველმა მოქალაქემ აუცილებლად უნდა იმსახუროსო ქართულ ჯარშიო, – ესაა კანონი! – კატეგორიული იყო ბიჭების პასუხი.

ყველა მათგანს ვეთანხმები.

ზაურ ფიფია.
ავტორის ფოტო.

რასაცა გასცემ...

ამათი დახმარება ჩვენივე კაცობის დაფასებაა!

სულ იმას გავიძახით, – სიბერე ჩვენი მომავალიაო, პატივი ვცეთ ვეტერანებსო, ყოფა შევუმსუბუქოთ ამ ნაომარ და ნაჯაფარ ადამიანებსო, მაგრამ... ლაპარაკი ლაპარაკად რჩება, სიტუაცია არ უმჯობესდება, პირიქით, უარესდება.

ამ ხუთიოდე წლის წინათ ვეტერანებს რამდენიმე შეღავათი მყისიერად შეუკვეცეს. მაგალითად, მოუსპეს გაზით მომსახურების, მიწისზედა ტრანსპორტითა და მეტროპოლიტენით მგზავრობისთვის დაწესებული პრივილეგიები. ქვეყნის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა საქართველოს მთავრობასა და თბილისის მერიას მაშინვე დაავალა ამ უგულო გადაწყვეტილების გაუქმება, თუმცა მისი სიტყვაც ჰაერში გამოეკიდა.

საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა IV ყრილობის 2003 წლის 5 ივნისის დადგენილებაში კვლავ და კვლავ ყურადღება გამახვილდა მოუგვარებელ პრობლემებზე, კერძოდ, ვეტერანთა სტატუსის შესახებ კანონის მიღებაზე; 1998, 1999 და 2000 წლების გაყინული პენსიების გაცემაზე; ომის ვეტერანთა უფასო სამედიცინო მომსახურების დაწესებაზე, ინვალიდებისთვის სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურების ნაცვლად ფულადი კომპენსაციის გამოყოფაზე, ვეტერანთა საბჭოებთან შექმნილი მცირე საწარმოების მოგების გადასახადისგან განთავისუფლებაზე... სამწუხაროდ, ამ მოთხოვნებიდან უმეტესობა არ შესრულებულა.

დღეს ყველაფერს ფული სჭირდება. ვეტერანთა საბჭო არასამთავრობო ორგანიზაციაა და იგი, ცხადია, ამ ფულს ჩვენი ბიუჯეტიდან ვერ მიიღებს. ამიტომ ვეტერანები ეძებენ სახსრების შოვნის გზებს. მათ საქმიანი ურთიერთობა აქვთ ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტთან, საიდანაც ცოტაოდენი ხელის გამართვა შეიძლება. მაგალითად, ფაშიზმზე გამარჯვების მე-60 წლისთავის აღსანიშნავად ვეტერანთა საბჭოს უამრავი ღონისძიება აქვს დაგეგმილი. დეპარტამენტმა, როგორც იტყვიან ხოლმე, თავისი წილიდან – 25.000 ლარიდან 3.590 ლარი ვეტერანთა საბჭოს „უფეშქაშა“, მაგრამ, ვის და რას ეყოფა ეს თანხა?

სხვათა შორის, ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარემ ნუგზარ ცაგარეიშვილმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს ზურაბ ჟვანიას წერილობით სთხოვა ვეტერანთან საბჭოსთვის ფულადი დახმარების გაწევა; ბატონ ზურაბ ჟვანიას ასევე წერილობით სთხოვა ფულადი დახმარების გაწევა ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარემ ბორის ყურაშვილმაც. ვეტერანებს იმედი აქვთ, რომ ეს ორივე წერილი შედეგს გამოიღებს. მით უმეტეს, რომ ახლანდელ პრეზიდენტს მათთვის დახმარება აღუთქვამს.

ამავე დროს, იგივე ვეტერანთა საბ-

ბორის ყურაშვილი.

ჭომ შეიმუშავა მიმართვა საქართველოს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო ფირმების, გაერთიანებების, ბიზნესმენების, მოქალაქეებისადმი. მასში, კერძოდ, ნათქვამია:

ქალბატონებო და ბატონებო,

2005 წლის მაისში სრულდება ფაშიზმზე გამარჯვების 60 წლისთავი. ამ საიუბილეო თარიღს მთელი მსოფლიო აღნიშნავს. საქართველოს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ამ ომში გამარჯვების საქმეში. საქართველომ, რომლის მოსახლეობა ომის წინ 3,5 მილიონს არ აღემატებოდა, 700 ათასი მებრძოლი გაგზავნა ფრონტზე. აქედან 300 ათასი შინ არ დაბრუნებულა. 169 მებრძოლს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ზურგში დარჩენილი მოსახლეობა ფრონტისთვის ამზადებდა ავიაგამანადგურებლებს, ავტომატურ იარაღს, რეაქტიული არტილერიის მოწყობილობებს, ყუმბარებს, ტანსაცმელსა და სურსათ-სანოვაგეს. ზურგში მამაცური შრომისთვის 350 ათასი საქართველოს მოქალაქე დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით, ხოლო შვიდს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. რაც მთავარია, გამარჯვების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი ქართველი იყო.

საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საბჭოს დაგეგმილი აქვს ღონისძიებანი ამ თარიღის აღსანიშნავად. გთხოვთ, მიიღოთ აქტიური მონაწილეობა საიუბილეო თარიღის აღსანიშნავ ღონისძიებებში და შეიტანოთ თქვენთვის შესაძლო თანხა საქართველოს ვეტერანთა საბჭოს კეთილშობილური მიზნების განსახორციელებლად.

ჩვენი ანგარიშია: საიდენტიფიკაციო კოდი 203862864, „საქართველოს ბანკი“, ანგარიში № 001700421, კოდი 220101502.

პატივისცემით,

საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ბორის ყურაშვილი.

იცით, რისთვის სჭირდებათ ვეტერანებს ფული?

სურთ, მოსკოვში, საზეიმო აღლუმში მონაწილეობის მისაღებად 1941-45 წლების ომის 20 მონაწილის გაგზავნა; ამავე ომის მონაწილეებისთვის, ზურგში მამაცური შრომისთვის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულებისთვის, მარჩენალდაკარგული ომის მონაწილეთა ოჯახებისთვის ერთდროული ფულადი დახმარების გაწევა; ომში დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად შექმნილი მემორიალების, სტენდების, ობელისკების, ძეგლების, სასაფლაოების წესრიგში მოყვანა; სტალინის, რუზველტისა და ჩერჩილის შეხვედრებისა და მათი ომისდროინდელი მოღვაწეობის ამსახველი ერთი ილუსტრირებული ალბომის გამოშვება...

მიზნები იმდენად ადამიანურია, ვაჟკაცურია, რომ ნამდვილად ღირს ჩვენი პატივსაცემი ვეტერანებისთვის თანხის გაღებაც და მათი გულის დაშოშმინებაც...

მიუხედავად ხანდაზმულობისა, ვეტერანები მაინც აქტიურად არიან ჩაბმულნი ქვეყნის სასიცოცხლო ამოცანების გადაჭრაში. კერძოდ, ისინი ფართო მასშტაბით მონაწილეობენ ვეტერანთა აღრიცხვიანობის მოწესრიგებაში, ზუსტი სიების დადგენაში. სწორედ „ზედმეტ ხალხს“ მიაქვს მილიონები ბიუჯეტიდან. ამას თავი ედგმება.

ასეთი აქტიურობა სხვა პრობლემების მოგვარებაშიც იგრძნობა. მე, პირადად, ძალზე გამაკვირვა ვეტერანთა შეტევამ თვით რუსეთის პრეზიდენტზეც კი რუსეთ-საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის გაუქმების მოთხოვნით. აქ მათ მოიშველიეს ძველი თანამებრძოლები და კოლეგები რუსეთიდან. ვლადიმერ პუტინისადმი გაგზავნილ წერილში მეტად დამაფიქრებელი ფრაზებია: დღეს რომ ცოცხალი იყოს რაიხსტაგის თავზე გამარჯვების დროშის აღმმართველი მელიტონ ქანთარია, იმასაც კი ვიზა დასჭირდებოდა მოსკოვში ჩასასვლელად. ვეტერანები არ იმსახურებენ ასეთ დამოკიდებულებას. მოგვიხსენით სავიზო რეჟიმი, – კატეგორიულად აცხადებენ ვეტერანები...

როგორც ბატონმა ბორის ყურაშვილმა მითხრა, დიდი სამამულო ომის მონაწილეთაგან საქართველოში 600-ოდე კაციღა შემორჩენილა. ბუნებას წინ ვერავინ დაუდგება, ისინი თანდათან ცოტავდებიან. მაშ, ნუღარ ვატკენთ გულს თითოეულ მათგანს, – მისაცემი მივცეთ და გასაკეთებელი გავუკეთოთ. მათ ეს დაიმსახურეს!

ბონდო გულიაშვილი.

ინფორმაცია

აბონენტთათვის წუთობრივი გადასახადის დაწესება გადაიდო

„საქართველოს ელექტროკავშირის“ აბონენტებისთვის წუთობრივი გადასახადის დაწესება კიდევ ორი თვით გადაიდო. როგორც ინტერპრესს „საქართველოს ელექტროკავშირში“ განუცხადეს, კომპანიის ფასიანი მომსახურება ძალაში 1 დეკემბრიდან უნდა შესულიყო, თუმცა კომისიის გადაწყვეტილებით, ეს პროცესი 1 თებერვლამდე გადაიდო.

კომუნიკაციების ეროვნული კომისია ამ პერიოდში „ელექტროკავშირსა“ და „ახალ ქსელებს“, ასევე „ელექტროკავშირსა“ და „ახტელს“ შორის ურთიერთჩართვის ტარიფების გადახედვას გეგმავს. დებულების თანახმად, მოქმედი ტარიფი 6 თეთრს შეადგენს.

– იმ შემთხვევაში თუ ურთიერთჩართვის ტარიფი შემცირდება, ეს თავისთავად ჩვენი მომსახურების გაიაფებას გამოიწვევს, – განაცხადეს „ელექტროკავშირში“.

რეზერვისტთა კიდევ ერთმა ბატალიონმა სამხედრო სწავლება დაასრულა

ძევერის დანაყოფში დისლოცირებული ხაშურელი რეზერვისტების მომზადების ხარისხი თავდაცვის მინისტრმა გიორგი ბარამიძემ შეაფასა.

გორის სასწავლო ცენტრის პოლიგონზე სამხედრო ამოცანა რეზერვისტებმა საბრძოლო ვაზნების გამოყენებით შეასრულეს. დასახლებული ადგილის მტრის ჯგუფისგან გათავისუფლების ოპერაციას ხაშურელმა რეზერვისტებმა წარმატებით გაართვეს თავი.

საჩვენებელი ოპერაციის დასრულების შემდეგ რეზერვისტების, ჟურნალისტებისა და გენერალიტეტის წინაშე სამხედრო ნორმატივები თავდაცვის მინისტრმაც შეასრულა. როგორც თავად რეზერვისტები აცხადებენ, გიორგი ბარამიძემ ყუმბარმტყორცნიდან გასროლა „ხუთიანზე“ შეასრულა“. თავდაცვის მინისტრმა გორი უკვე დატოვა.

ცემა-ტყეპა ქუთაისში

პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა იმერეთში გია გეწაძემ არაფხიზელ მდგომარეობაში „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ ქუთაისის ფილიალის ორი თანამშრომელი სცემა. ამის შესახებ გუშინ კომპანიის გენერალურმა დირექტორმა დინ უაითმა საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. კომპანიის ამერიკელმა მენეჯერებმა აღნიშნული ფაქტის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრს ზურაბ ჟვანიას აცნობეს.

როგორც უაითმა აღნიშნა, გეწაძის გუშინდელი ქცევის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია, თუმცა ცნობილია, რომ რწმუნებულმა ფილიალის თანამშრომლები სათავო ოფისიდან გამოიყვანა და მანქანასთან ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

– ამჟამად კომპანიის შიდა მოკვლევის სამსახური აღნიშნულ ფაქტს იძიებს. შესაბამისი მასალების მოგროვების შემდეგ საქმეს სამართალდამცველებს გადავცემთ და სასამართლოში სარჩელსაც შევიტანთ, – განაცხადა უაითმა.

კომპანიის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით, კომპანიის ქუთაისის ფილიალის თანამშრომლებს თბილისში გადმოიყვანენ სამუშაოდ, ქუთაისში კი მხოლოდ ტექნიკური პერსონალი დარჩება.

– ვინაიდან აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით ქუთაისის მოსახლეობას არაფერი აკავშირებს, მათ ელექტრომომარაგებაზე აღნიშნული ფაქტი უარყოფითად არ აისახება. ამჟამად ქუთაისის ელექტრომომარაგება ნორმალურ რეჟიმში ხორციელდება და ასეც გაგრძელდება, – დასძინა უაითმა.

დააკავეს გამომძალველი

უშიშროების სამინისტროს კახეთის რეგიონულმა სამმართველომ გუშინ საგარეჯოს რაიონის სოფელ იორმუღამლოს ბაზრობის ტერიტორიაზე რაიონის ანტიკორუფციული და ადამიანის უფლებების დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციის კავშირის წევრი, საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის რწმუნებული კახეთის რეგიონში გივი რევაზიშვილი დააკავა.

47 წლის რევაზიშვილის დაკავება ამავე ტერიტორიაზე მდებარე სასადილოს მფლობელის ვუგარ სადიგოვის საჩივრის საფუძველზე განხორციელდა. მფარველობის სანაცვლოდ რევაზიშვილი სადიგოვისგან ყოველთვიურად 200 ლარის გადახდას ითხოვდა. უშიშროების თანამშრომლებმა იგი თანხის გადაცემის მომენტში დააკავეს.

რევაზიშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე თაღლითობის მუხლით აღიძრა.

ინტერ-პრესი.

პური

რკინის მკვნეტელი უნდა იყო...

ხაბაზები თონეში უფრო გემრიელად ჭამენ და სვამენ

ალბათ, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ისე მადიანად არ შეექცევიან პურს, როგორც ჩვენთან. თანაც, ამ ბოლო დროს, არა იმიტომ, რომ საქართველოში ყველაზე ხარისხიანი და გემრიელი პური ცხვება, არამედ უფრო იმიტომ, რომ ბევრი მის ყიდვასაც გაჭირვებით ახერხებს.

და, ცხადია, მაშინ როცა მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის პური კვების ძირითადი წყაროა, ბუნებრივია, ხელისუფლება, მაკონტროლებელი ორგანოები, თვით ხაბაზები განსაკუთრებულად უნდა ზრუნავდნენ პურის ხარისხისა და კეთილგემოვნებისთვის, რათა იგი ისედაც გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანებს მაყუათებლის ნაცვლად მაზიანებლად არ მოევლინოს.

მაგრამ ზრუნავენ კი? ამის გასაგებად საქართველოს მომხმარებელთა და ადგილობრივ მეწარმეთა უფლებების დაცვის ეროვნული ასოციაციის ექსპერტები და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტი დედაქალაქის რამდენიმე პურის საცხობს ვეწვიეთ. სამწუხაროდ, იმდენ დარღვევა-დამახინჯებას წავაწყდით, გაზეთის მთელი ნომერიც ვერ დაიტევს. ამიტომ მოგვიტევოს მკითხველმა, თუ იქ ყველა გამოვლენილი უმსგავსობის გაცნობით ვერ „გავანებივრებთ“.

დავიწყოთ ზესტაფონის ქუჩიდან. აქ, ელდეპოს მიმდებარე ტერიტორიაზე, მომცრო ვიტრინაში გამოფენილი პურ-ფუნთუშეული რომ შევნიშნეთ, თავდაპირველად მაღაზია გვეგონა, მაგრამ შიგ რომ შევედით, ჩვენდა გასაკვირად, პურის მინი-საცხობი (მეპატრონე – დავით ლორთქიფანიძე) აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, ამ გაუგებრობას თავიდან ავიცილებდით, საცხობს გარედან აბრა რომ ჰქონოდა. აბრას ვინ ჩივის, მისი რეგისტრაციის ან მარეგისტრირებელი ორგანოს თაობაზე ინფორმაციაც ვერ მოვიპოვეთ. ფქვილსა და სარეალიზაციო საქონელს არა აქვს შესაბამისობის სერტიფიკატი, რომ აღარაფერი ვთქვათ ლაბორატორიაზე და მომსახურე პერსონალის სანიტარიულ წიგნაკებზე, რომლებიც იქ თვალითაც არ უნახავთ.

შე დალოცვილო, ლაბორატორია არა გაქვს, ხონჩების სამრეცხაო მაინც მოაწყე! არა, აქ არც ამისთვის სცალიათ. ამიტომ ხონჩები ზაფხულის ხვატსა თუ ზამთრის ყინვაშიც გაურეცხავად ყრია. ობიექტთან არსებულ მაღაზიაშიც, სადაც პურ-ფუნთუშეული იყიდება, უწესრიგობა და ქაოსია. პროდუქცია ისე იყიდება, რომ მომხმარებელთან საკასო-საკონტროლო აპარატით ანგარიშგება არ ხდება, არ გაიცემა ქვითარი, გირები და სასწორები შეუმოწმებელია და პლომბდაუდებელი. აღუნუსხავია მოწოდებული საქონლის რაოდენობა, ხარისხი, ფასი, წონა, არ აღირიცხება უკან დაბრუნებული პროდუქცია.

ყოველივე ეს ექსპერტებმა ინფორმაციაში რომ შეიტანეს, საცხობის წარმომადგენლებს, ბუნებრივია, არ მოეწონათ და ხელმოწერაზე მტკიცე უარი განაცხადეს (ნეტა საქმეში იყვნენ ასეთი მტკიცენი!).

ამ ტერიტორიიდან არცთუ შორს, ჭყონდიდელის 7 ნომერში, სამკერვალო ფაბრიკის ერთ-ერთი ნაგებობა ინდმეწარმე კახა გიორგაძეს იჯარით აუღია და ამ რამდენიმე თვის წინათ შიგ პურის საცხობი გაუხსნია. თავად მეწარმე საკუთარი ნახელავით აღფრთოვანებულია – ასეთი საცხობი მთელ დედაქალაქში ხუთიც არ მოიძებნებაო. ზუსტად ვერ გეტყვით (შეიძლება თვითონაც ვერ ახსნას, რა მაჩვენებლებით შედის ხუთეულში), მაგრამ ჩვენ რაც ვნახეთ, მოდით ჯერ ის აღვწეროთ და პრიზი მერე გადავცეთ.

– საწარმოს აბრა რატომ არა აქვს, – ვეკითხებით.

– აბრა რად უნდა, ჩვენ ხომ მომხმარებელი არა გვყავს.

– აბა, საკუთარ პროდუქციას თავადვე მიირთმევთ?

– მარტო საბავშვო ბაგა-ბაღებს ვაწვდით გამომცხვარ პურს.

– მერე, ბავშვები ხომ ყველაზე სათუთი მომხმარებლები არიან!

– ჰო, რა თქმა უნდა...

ჰოდა ბავშვებს უპირველეს საკვებს – პურს უგზავნის ისეთი საცხობი, რომელშიც დენი წარამარა ითიშება (ამაში, რა თქმა უნდა, მეწარმე არ ტყუის) და საწარმოს შესასვლელიც მტვერით არის სავსე (ფილაქნით თუ არა, ასფალტი მაინც დაეგოთ), მომსახურე პერსონალს არა აქვს სანიტარიული წიგნაკები, საწარმოს კი – ლაბორატორია, სასწორები და სხვა გამზომი ხელსაწყოები გაუმართავია, არა აქვთ მკვეთრი დამლა და არ მოწმდება მოქმედი წესის შესაბამისად. ობიექტი ვერ აკმაყოფილებს სანიტარიულ, ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების მოთხოვნებს. ხაბაზებს გამოცვლილი ტანსაცმელი უკიდიათ იმავე ოთახში, სადაც პური ცხვება და ბავშვებთან იგზავნება, აქვე ყრია კარტოფილით სავსე ტომრები. თურმე ნუ იტყვით, ამ საცხობიდან ბაგა-ბაღებს პურთან ერთად კარტოფილითაც ამარაგებენ?!.

ეს უკვე წარმოუდგენელი სიახლეა, რისთვისაც პურის საწარმოს ხელმძღვანელობასთან ერთად, ალბათ, სახელმწიფო პრემიაზე წარდგენას იმსახურებენ იმ შესაბამისი სამსახურის სპეციალისტები, რომელთაც



ამ საცხობს ტენდერი მოაგებინეს და უსათუთესი არსებების – ბავშვთა პურით მომარაგება ანდეს.

სხვა საცხობებშიც ანალოგიური სურათი განმეორდა. დიდგორის ქუჩა №62-ში მდებარე საცხობი (ინდმეწარმე – მზია ხაჩიშვილი), მაგალითად, ისე მუშაობს, ლიცენზიაც (ნებართვა) კი არ გააჩნია. იგი ადგილზევე ყიდის პურს აღურიცხავად (სალარო – აპარატისა და ქვითრების გარეშე). თანაც უსერტიფიკატოდ, ფქვილს ცრიან ხელის საცრით, არ ხდება ფქვილისა და პურის ლაბორატორიული შემოწმება, ნედლეული დაყრილია ბეტონის იატაკზე, რომელიც არ სუფთავდება. ხაბაზები იქვე, თონეში ჭამენ და სვამენ, სამრეცხაოც კი არა აქვთ, რომ ჭურჭელი და ინვენტარი გამოყენების შემდეგ გარეცხონ! საფუარის შესანახად იყენებენ საცხობის გვერდით მდებარე მაღაზიის მაცივრებს. თონის ტერიტორიაც დაბინძურებულია. რკინის მკვნეტელი უნდა იყო, რომ ასეთ თონეში გამომცხვარი პურით კვება გარისკო!

არც მეტი, არც ნაკლები, რაც ზემოთ აღვწერე, იმავე მეთოდებით უწევს „კონკურენციას“ მზია ხაჩიშვილს ინდმეწარმე ლალი ჭანტურია, რომელიც იმავე ქუჩის დასაწყისში (№4) ჩადგმული თონის მეპატრონეა. არც ამას აწუხებს საწარმოს რეგისტრაციის და ლიცენზიის უქონლობა, უსერტიფიკატობა, თუნდაც ის, რომ პურზე მითითებული არ არის წონა, ხარისხი, კალორიულობა, გამოშვების თარიღი, ვარგისიანობის ვადა და სხვა „წვრილმანები“.

უფრო სავალალო კი ის არის, რომ ამას ემატება ცალკეულ მეწარმეთა თავგასულობა, ყოველგვარ ზღვარს გადაცილებული საქციელი. ამჯერად ასეთად მოგვევლინა მიქელაძის №7-ში მომუშავე საცხობის მეპატრონე გრიგოლ ჭაბუკიანი, რომელმაც ქვა ააგდო და თავი შეუშვირა – მომხმარებელთა უფლებები მე არ მეკითხება, საიდანაც მოსულხართ, იქითკენვე მოუსვითო, – უთხრა ასოციაციის ექსპერტებს. გვინდოდა განგვემარტა, რომ ასოციაცია მომხმარებელთა უფლებებთან ერთად თავად მეწარმეთა უფლებებსაც იცავს, მაგრამ ვინ მოგისმინა!

სიტყვამ მოიტანა და გვინდა ვთქვათ, რომ ხშირად მარტო მომხმარებელთა უფლებები კი არა, თავად მეწარმეთა უფლებებიც ირღვევა. ეს გახლავთ ელექტროენერგიის, გაზის, წყლის გამორთვები, რაც გარდა იმისა, რომ ზარალს აყენებს საწარმოებს, აუარესებს პურის ხარისხს და საშიშროებას უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას.

ამის თაობაზე საყვედური გამოთქვა შპს „ხვასტაგის“ (დადიანის ქ. №8) დირექტორმა თემურ ბაკურაძემ. როცა გაზი არ არის (ის კი ზოგჯერ თვეობით გამორთულია), განაცხადა მან, პური 5-ჯერ ძვირი მიჯდება და ვზარალობ. რატომ ამაზე არავინ მიფორმებს ხელშეკრულებას? არც იმაზე იღებს ვინმე ხმას, რომ არაჯანსაღი კონკურენციაა. მე რომ პური მაღაზიებში 50 თეთრად შემომაქვს, ვერ ვიგებ, სხვა 43 თეთრად როგორ ყიდის? იქნებ ამაზე ვინმემ მიპასუხოს?

როგორც ჩვენ შევიტყვეთ, თემურ ბაკურაძე ახალგაზრდა კაცია, მაგრამ კარგი პროფესიონალი, მოაზროვნე და საქმიანი. პატარა საცხობი აქვს, მაგრამ შესანიშნავად მოვლილი და გამართული. სხვებისგან განსხვავებით ლიცენზიაც აქვს, წესრიგიც და სისუფთავეც. ხარისხიან პროდუქტს, ეგრეთ წოდებულ „ქვის პურს“ უშვებს და მომხმარებელი კმაყოფილი ჰყავს. ქალაქში ყველა მასავით რომ მუშაობდეს, ამ წერილის დაწერაც არ დაგვჭირდებოდა.

მაგრამ ვაი, რომ ასეთები მხოლოდ თითებზე ჩამოსათვლელია. დედაქალაქში ასობით წვრილი, კუსტარული საცხობი თავმინებებულია და რაც მოეპრიანებათ, იმას აკეთებენ. ისინი არა მარტო არაჯანსაღ კონკურენტულ გარემოს ქმნიან, უხარისხო, ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქციასაც უშვებენ. არის ხმები, რომ ზოგი პური „კარტოფილის ავადმყოფობით“ არის დაავადებული. ჩვენ შემდეგ წერილებში შევეცდებით ასეთი ფაქტების გამომზეურებას. თუ ამ საქმეში მხარში ამოგვიდგებიან ანტიმონოპოლიური, ქალაქის სხვა სამსახურები, ბევრი სასიკეთო რამის გაკეთება შეიძლება.

ლევან ბალდავაძე,
საქართველოს მომხმარებელთა და ადგილობრივ მეწარმეთა უფლებების დაცვის ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი;

ოთარ ხუციშვილი.

სენსაცია

19 წელი საიქიოში

გარკვევით ვერავინ შეძლო ახსნა, რა ძალამ გამოიხმო ტერი უკან, სააქაოში

"არგუმენტი ი ფაქტის" კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა მსოფლიოში ერთადერთ ადამიანს, რომელმაც 6950 დღე-ღამე დაჰყო "მკვდარ ზონაში"

ამერიკის არკანზასის შტატი რუსეთის გაგებითაც კი იშვიათი მიყრუებული ადგილია. ტყეში ჩაკარგულ სოფელ მარშალამდე პატარა ქალაქ მაუნტინ-ვიუდან (არკანზასის დედაქალაქ ლიტლ-როკიდან ორი საათის სამგზავროა) ჩასვლას ორმოცი წუთი მოვუნდი. ეული ქოხი ტყის სიღრმეშია, რომლის ირგვლივაც ციყვები დახტიან. ის ტერი უოლისის სახლია. ტერი ერთადერთი ადამიანია მსოფლიოში, რომელიც 19-წლიანი უწყვეტი კომის შემდეგ გონზე მოვიდა.

ტერი უოლისი მშობლებთან ერთად.

ექიმმა მაშინვე თქვა, თუკი ერთ წელიწადში ვერ მოვა გონს, ტერი ვერასოდეს გაიღვიძებსო.

1984 წლის 12 ივნისს 20 წლის უოლისი მეგობართან ერთად მახლობელ მთებში გასასვლელად გაემგზავრა – როგორც ვარაუდობენ, მანამდე მათ კარგა ბლომად გადაკრეს სასმელი. მანქანა ხრამში გადაიჩეხა, მეგობარი დაიღუპა, ტერი კი კომაში ჩავარდა. ექიმებმა განაცხადეს, რომ მისი გონზე მოსვლის იმედი არ იყო. „მკვდარი ზონა" – ასე უწოდებენ სპეციალისტები კომას, რომელიც ერთ წელზე მეტს გრძელდება.

მეხსიერების ოთხი წუთი

მაგრამ მშობლებისა და ექიმებისთვის მოულოდნელად, 2003 წლის 12 ივნისს – ცხრამეტი წლის შემდეგ, ტერი გონს მოვიდა. ეს უნიკალური შემთხვევაა, რომლის მსგავსი მსოფლიოში ჯერ არ მომხდარა. მისი კომიდან გამოფხიზლება მსოფლიო სენსაციად იქცა. ტერის მშობლები საშინლად დაიღალნენ რეპორტიორთა ვიზიტებით, უცხოელების დანახვა ხომ საერთოდ არ უნდათ. მაგრამ რუსეთის ყველაზე პოპულარულ გაზეთს უარი ვერ უთხრეს. სტუმართმოყვარე მასპინძლების მიპატიჟების შემდეგ სახლის ზღურბლს გადავაბიჯე და აღმოვჩნდი ოთახში, სადაც ფაქტობრივად საიქიოდან დაბრუნებული ადამიანი იწვა.

– ტერი, როგორ ხართ? ახლა უკეთესად გრძნობთ თავს?

ტერი ლოგინში წევს და ცნობისმოყვარეობით მიყურებს. „დიააჰ, არა მიშაააავს", – სიტყვების წელვით მიპასუხებს ის. რამდენიმე წამში მას ავიწყდება, ვინ ვარ და ვერ ხვდება, საიდან გავჩნდი. ხანმოკლე ამნეზია – მელოდრამებში პოპულარული მოვლენა, – რეალობაში საშინელი საცქერელია. განსაკუთრებით, როცა ტერი მე მომჩერებია და გამუდმებით კითხულობს: „დედა, სტუმრები არიან?" უოლისს გამონათებებიც აქვს, როცა რაღაც-რაღაცეები ოთხი საათის განმავლობაში ახსოვს ხოლმე, ზოგი რამ კი მთელი თვეც, მაგრამ საამისოდ საჭიროა, მასზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინოს რაიმემ.

მან ადვილად იცნო დედა, მამა, იცნო ექიმი. მაგრამ როდესაც მასთან მისი 20 წლის ქალიშვილი ამბერი მივიდა (ავტოკატასტროფის იმ ავბედით დღეს გოგონა თვენახევრისა იყო), ტერიმ გაიკვირვა: „ჩემი ქალიშვილი ძუძუთა ბავშვია, შენ კი ვინა ხარ?!" მას ამბერის ყველა ფოტოსურათი აჩვენეს – როგორ იზრდებოდა, როგორ წავიდა სკოლაში, როგორ იქორწინა, ტერი ატირდა: „ღმერთო, მე ხომ ვერ ვნახე, როგორ გამეზარდა ქალიშვილი – რა ლამაზი ხარ, მე ისეთი ბედნიერი ვარ". და დასძინა: „მაშ ყველაფერი სერიოზულადაა, მე აუცილებლად უნდა ვისწავლო სიარული, რათა მოგიახლოვდე და მოგეხვიო". რაც შეეხება ცოლს, აქ საქმე უფრო რთულადაა. ტერის კომაში ჩავარდნიდან ნახევარი წლის შემდეგ მან საყვარელი გაიჩინა და მასთან გადავიდა საცხოვრებლად. ასე თქვა – ადამიანს ერთი სიცოცხლე აქვს, არავინ იცის, მოვა თუ არა ჩემი ქმარი გონს, მე კი არ მინდა ჩემი ახალგაზრდობა დავღუპოო.

– ჩვენ არ ვძრახავთ რძალს, – ამბობს ანჯელი, ტერის დედა. – მაგრამ ცუდია, რომ ტერის არ ეყრება, თუმცა მას სხვა კაცისგან სამი შვილი ჰყავს. ფიქრობს, რომ რაკი ახლა ტერიმ სახელი გაითქვა, დიდძალი ფულის შოვნა შეუძლია. ცოლი ერთხელ მოვიდა მასთან. ტერიმ იცნო, მაგრამ არ დაიჯერა, რომ ისინი ცოლ-ქმარი იყვნენ: „თუ ასეა, სხვისგან რატომ ჰყავდნენ შვილები? ვერ გამიგია. ალბათ მეხუმრება". საერთოდ, ტერი წარსულ დროში ჩარჩა. მას დღემდე ჰგონია, რომ პრეზიდენტი რონალდ რეიგანია, როგორც ეს 1984 წელს იყო. როცა უთხრეს, რეიგანი მოკვდაო, ვერ დაეჯერებინა: „როგორ თუ მოკვდა? ის ხომ მხოლოდ ოთხი წელია, პრეზიდენტია". ამასწინანდელ არჩევნებზე ტერიმ ბიულეტენის ნახვა ითხოვა. იქ რეიგანი რომ ვერ ნახა, ამოიოხრა, თქვა, მამასხარავებენო და ბუშს მისცა ხმა – „ისიც რესპუბლიკელიაო".

„10 წლის შემდეგ ჩვენ მდგომარეობას შევურიგდით"

– გჯეროდათ, რომ ტერი როდისმე გონს მოვიდოდა?

– პირველ წელს ძალიან გვეიმედებოდა, – გვიხსნის ჯერი, უმცროსი უოლისის მამა და მეხუთე სიგარეტს უკიდებს, – მაგრამ ხუთი წლის შემდეგ რწმენა ნელ-ნელა გაქრა. ექიმმა მაშინვე გვითხრა: – „რაკი ერთ წელიწადში გონს ვერ მოვიდა, ასი პროცენტია, რომ ვერასდროს გამოიღვიძებს". ამბერს ჩვენზე მეტად სწამდა – გამუდმებით დარბოდა ეკლესიაში და ლოცულობდა, რათა მამამისს გამოეღვიძა და ენახა, როგორი გახდა ის. ათი წლის შემდეგ მე საერთოდ დავკარგე იმედი და შევურიგდი იმ აზრს, რომ ვეღარასდროს გავიგონებდი ჩემი შვილის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს. მისი გამოღვიძება ჩემთვის მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით იყო. იმ წამს გავიფიქრე, ხუმრობაა-მეთქი, მაგრამ ასეთი რამეებით როდი ხუმრობენ.

წელიწადი წელიწადს მისდევდა. ტერი კომაში იყო, მაგრამ მისთვის სასიცოცხლო სისტემის გამორთვაზე (ნათესავების თანხმობის შემდეგ, კომაში მყოფებს ასე ექცევიან) ჯერიმ და ანჯელიმ კატეგორიული უარი განაცხადეს. თუმცა ასეთ პაციენტს ერთ წელზე ადრე, იშვიათად კი – სამი წლის შემდეგ გამორთავენ ხოლმე – ყველას არ შეუძლია უზარმაზარი თანხა იხადოს ახლობელი ადამიანის სიცოცხლეში (თუ ამას სიცოცხლე ჰქვია). ზოგჯერ კი საქმე ფულშიც არ არის – უბრალოდ, ძალიან ძნელია ამის ყურება. ერთ აბეზარ იაპონელ ჟურნალისტს, რომელიც არ ეშვებოდა და დაჟინებით სთხოვდა ტერის მშობლებს, ეპასუხათ, რატომ არ „გამორთო" ოჯახმა ტერი და მაინც იხდიდა მაუნტინ-ვიუს საავადმყოფოში მისი მრავალწლიანი ყოფნის საფასურს, თუმცა ყელამდე ვალებში იყვნენ, გაღიზიანებულმა ჯერიმ ასე უპასუხა: „ყმაწვილო, შენთვის რომ პისტოლეტი მოეჩეჩებიათ და ებრძანებინათ – უგონოდ მყოფ საკუთარ შვილს ესროლეო, ესროდი?" იაპონელმა ვეღარაფერი უპასუხა.

მოულოდნელი გამოღვიძება

– ყველაფერი რაღაცნაირად უცნაურად მოხდა! – სულმოუთქმელად მიხსნის ანჯელი. – მედდა, როგორც ყოველთვის, ჩემზე უჩვენებს ტერის და ეუბნება: „ნახე, ვინ მოვიდა!" – ტერი მიყურებს და უეცრად ამბობს: **„დედა"!** მე უნებლიედ ვუპასუხებ: **„ჰო, შვილო?"** და უცბად ვხვდები – **ღმერთო, ის ხომ ალაპარაკდა!!!** მე იმდენი წელი ველოდი ამას, რომ როცა ეს ახდა, ვიფიქრე, სიზმარში ვარ-მეთქი. ამბერს დავურეკე, ის მაშინვე ჩახტა ავტომობილში, სამი საათი მოჰქროდა, რათა ამეტყველებული მამა ენახა: მაშინ ამბერი უკვე ორსულად იყო და ტერიმ მერე თქვა: „19 წლის შემდეგ გავიღვიძე და გავიგე, რომ მოწიფული ქალიშვილი მყავს, – ეს შოკი იყო. გავიგე, რომ მალე პაპა გავხდები, ამისგან შეიძლება ისევ კომაში ჩავარდეს კაცი!"

– და რა ითხოვა ტერიმ უპირველესად?

– გაზიანი წყალი. გავვარდი და ერთი ქილა მოვუტანე. ეს ამბავი ტელევიზიამ გაავრცელა და სავაჭრო მარკის მეპატრონეებმა უფასო რეკლამის ნება მიიღეს. ასე და ასე, კაცი 19-წლიანი კომის შემდეგ გონზე მოვიდა და მაშინვე ჩვენი სასმელი ითხოვაო. ჩვენ ვცადეთ, რამე მაინც დაგვეტყუებინა იმათგან, მაგრამ რაიმეს გადახდა მტკიცედ იუარეს.

– ტერი, ფეხზე რომ დამდგარიყავით, რას გააკეთებდით?

– (ტერი ჩაფიქრდა. მშობლები ღელავენ, ვაითუ კითხვა დაავიწყდესო).

– საჭესთან დავჯდებოდი. საშინლად მინდა ჯიპით განავარდება; სათევზაოდ წავიდოდი, აუცილებლად.

ტერი ყოველთვის გულახდილია, – კომის შემდეგ იგი ეგრეთ წოდებული „ფილტრის" გარეშე გვესაუბრება – როდესაც კაცი ფიქრობს, რა თქვას, და რა არა. ალბათ ის ერთადერთი ადამიანია მსოფლიოში, რომელიც მხოლოდ სიმართლეს ამბობს. როცა ლამაზმა ექიმმა ქალმა მიაკითხა, ტერიმ თვალებში შეხედა მას და უთხრა: „თქვენ სიმპათიური ხართ. სიამოვნებით დავწვებოდი თქვენთან". საბედნიეროდ, ექიმი იუმორის გრძნობით დაჯილდოებული აღმოჩნდა. ტერი თითქოს მთელი ეს წლები მართლაც სხვა განზომილებაში იმყოფებოდა. უოლისი 40 წლისაა, მაგრამ 25 წლისას, დიდი-დიდი, 30-ისას ჰგავს.

– კომის შემდეგ ძალიან წესიერი გახდა, – გვიამბობს ანჯელი, – გვიჯავრდება, რომ ვეწევით და ვსვამთ. – რად გინდათ ამდენს რომ აბოლებთ, ასე ხომ თავს იკლავთ, ახლავე შეეშვითო. არც ალკოჰოლს უნდა ეტანებოდეთ, სმას საშინელებები მოსდევსო. მე თვითონ არც მომიწევია როდისმე და არც დამილევიაო. სულ არ ახსოვს, რომ კომამდე დღეში ერთ შეკვრას ეწეოდა და ლუდსაც წრუპავდა. ხანდახან ვფიქრობ ხოლმე, ნეტავ სად იყო, რომ ასეთი ლაპარაკი დაიწყო – თითქოსდა ანგელოზია და არა ჩემი შვილი?

ტერის თითები მოტეხილს მიუგავს, ნებისმიერ მხარეს ეღუნება, თითქოს უძვლო იყოს. 20 წელი გახევებული წოლის შედეგად კუნთების ატროფია დაემართა. ახლა მან თავიდან უნდა ისწავლოს სხეულის მართვა, მისი თითოეული სანტიმეტრის გაცოცხლება, ეს კი ძალზე ძნელია. ახლა ტერი უკვე ამოძრავებს ხელ-ფეხს, წამოწევაც შეუძლია. თავიდან კი მხოლოდ ცალ მხარეს თავის მიბრუნება შეეძლო. როცა პირველად უყურებ, ძალიან მძიმე ინსულტგადატანილი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ეს ასე არ არის: 19 წელიწადში მის არსებას ჩვენთვის უმარტივესი რამეები დაავიწყდა – სინათლის ანთება, კარის გაღება. ტერის მშობლები ძალიან გაამხიარულა ტარანტინოს ფილმმა „მოკალი ბილი", რომელშიც გმირი ქალიშვილი ხუთწლიანი კომის შემდეგ ორიოდ საათში მთლიანად იმორჩილებს მანამდე გაურჩებულ სხეულს: „ნეტავ კი ასე იყოს, – იცინის ანჯელი, – მაშინ მე კარგა ხნის გასტუმრებული მეყოლებოდა ჩემი ბიჭი ფერმაში სამუშაოდ, ემუშავა და ოჯახში ფული შემოეტანა. თავიდან ხომ თავის უბრალოდ მობრუნებაც კი საშინლად უჭირდა.

ამჟამად ტერის მკურნალობა თვეში 32 000 დოლარი ჯდება და ოჯახი უზარმაზარ ვალებშია, რომელსაც ალბათ ვერც ვერასდროს დააღწევენ თავს. ნიუ-იორკის ბოჰემის ენთუზიასტებმა „ტერი უოლისის ფონდი" შექმნეს, მაგრამ შემოწირულობებმა ათას დოლარსაც ვერ მიაღწია: ჯერის აზრით, ასე იმიტომ ხდება, რომ ხალხს ჰგონია, ეს სენსაციური შემთხვევაა და უპრიანია ტერიზე მთავრობას ეზრუნაო. მთავრობა კი ბევრს შეჰპირდა (როგორც ყველა მთავრობას ჩვევია მსოფლიოში), მაგრამ გაკეთებით ცოტა გაუკეთა. ჰოდა, ასე ცხოვრობენ.

მისმინე, ყმაწვილო, შენთვის რომ პისტოლეტი მოეცათ და ეთქვათ, რომ უგონოდ მყოფი საკუთარი შვილისთვის გესროლა, ესროდი?

ტერი უოლისი ქალიშვილთან ერთად.

შეუძლია 100 წელი იცოცხლოს

– ექიმები რას ამბობენ: შეძლებს თუ არა ტერი სიარულს?

– ექიმები ფიქრობენ, რომ ჩვენ შერეკილები ვართ, თუკი ეს გვჯერა! შვილის კომიდან დაბრუნების შემდეგ ჯერი მაინცდამაინც არ ენდობა ექიმებს: „ისინი ირწმუნებოდნენ, ერთი შანსიც კი არ არის, რომ ტერი გონს მოვიდესო". ვერავის აუხსნია, თუ რამ გამოიხმო ტერი უკან, სააქაოში (ის ხომ იმავე დღეს გამოერკვა, როცა 1984 წელს კომაში ჩავარდა), ამიტომაც უოლისის ახლობლები დარწმუნებულები არიან, რომ ეს ღმერთმა გააკეთა. ხოლო ის, რომ მხოლოდ 19 წლის შემდეგ მოხდა, იმით აიხსნება, რომ უფალს ბევრი საქმე აქვს და ყველა თხოვნას ერთბაშად ვერ გასწვდება... სპეციალისტების ვარაუდით, ტერის დაახლოებით 20 წელი სჭირდება იმისათვის, რათა ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდეს; ოღონდ მშობლებს ეს არ ადარდებთ, მათ საკმაოდ იცადეს და კიდევ მოიცდიან. „თუნდაც 40 წელი იყოს!" – ამბობს ტერი. შინაგანი ორგანოები – გული, ღვიძლი, თირკმელები – ტერის სრულ წესრიგში აქვს, ისევე, როგორც 20 წლისას ჰქონდა, ამიტომაც გამორიცხული არ არის, რომ 100 წელიც თამამად იცოცხლოს. ტერის ყოველ ორ საათში აჭმევენ, მაგრამ ფრთხილად, კომის შემდეგ მაძღრობის შეგრძნება სრულიად გაუქრა, ხარი რომ დაუდო, სულ შეჭამს, – ამიტომ ცოტა სწყინს კიდეც, როდესაც მშობლები იმდენს არ აჭმევენ, რამდენიც სურს; თუმცა საოცარია, რამდენიც უნდა ჭამოს, ტერი არ სუქდება. ლოგინს ისეა მიჯაჭვული, ორი ნაბიჯის გადადგმაც არ ძალუძს, მაინც ტკბება სიცოცხლით და სულ იმეორებს: **„დედა, შენ ვერც კი წარმოიდგენ, რა სიამოვნებაა, როცა ცოცხალი ხარო".**

...მე ვემშვიდობები ოჯახს, მივდივარ. ტერი ხელს მიქნევს: „გმადლობთ, კიდევ შემოიარე". მშობლები მეუბნებიან, იქნებ დაგიხსომოთო. მართალია, ჯერჯეროობით ეს ერთადერთი შემთხვევაა, მაგრამ მაინც, მას შემდეგ, რაც ტერი კომიდან გამოვიდა, ასეთ მდგომარეობაში მყოფთა ნათესავებმა არკანზასში თითქმის შეწყვიტეს თავიანთი ახლობლების გათიშვა სიცოცხლის უზრუნველმყოფელი სისტემებიდან. იმიტომ, რომ მიხვდნენ: იმედი არსებობს!

გიორგი ზოტოვი,
მარშალი-მაუნტინ-ვიუ-ლითლ-როკი.

ეგ სიყვარულმა გადაარჩინა

ჯეიმს ზინი, ექიმი, რომელიც 1984 წლიდან მკურნალობდა ტერი უოლისს:



– ეს უბრალოდ ექსტრაორდინარული შემთხვევაა, რომელსაც დავარქმევდი აუხსნელ სასწაულს. მთელი ეს ხანი მე მას თვალს ვადევნებდი ჰოსპიტალში: ასეთ ადამიანებს არასდროს არ უჩნდებათ ლაპარაკისა და ურთიერთობის უნარი. მყავდა პაციენტები, რომლებმაც 10 და 12 წელი გაატარეს კომაში, ისინი არც მოსულან გონს. ფაქტობრივად, კომის ერთი წლის შემდეგ შანსი ცოტაა. ყოველ შემთხვევაში, ასეთი რამ არ მსმენია. გულდასმით გამოვიკვლიე ტერი, მაგრამ იმის სამედიცინო მიზეზებს, თუ რატომ მოვიდა გონს, მაინც ვერ მივაგენი. არა როგორც ექიმმა, არამედ როგორც ადამიანმა შემიძლია ვთქვა – ვფიქრობ, რომ ის გადაარჩინა მშობლების სიყვარულმა, რომლებიც მთელი ეს წლები ზრუნავდნენ მასზე: ტერი ყოველთვის რჩებოდა მათი ოჯახის ნაწილად. ძირითადად ხომ, სამწუხაროდ, თუ არავითარი უკეთესობა არ არის, კომაში ჩავარდნილებს თიშავენ ხოლმე სასიცოცხლო სისტემებიდან. რა თქმა უნდა, ახლა უოლისი პრაქტიკულად პარალიზებულია, მაგრამ მეტყველება უკვე გაუუმჯობესდა. შეიძლება გავიხსენოთ მსახიობ კრისტოფერ რივზის შემთხვევა, რომელმაც „სუპერმენში" ითამაშა. მას თანდათან გამოუკეთდა მოძრაობის უნარი – მერე რა, რომ ამას დიდი დრო დასჭირდა; რომ არ მომკვდარიყო, არავინ იცის რა მოხდებოდა. გულწრფელად რომ გითხრათ, არა მჯერა, რომ ტერი სიარულს შეძლებს, თუმცა ამჟამად ექიმები მოძრაობის ნერვის აღდგენას იკვლევენ და, რამდენადაც ვიცი, თქვენს ქვეყანაშიც სერიოზულად მუშაობენ ამ პრობლემაზე. შეიძლება ტერი უფრო ადრეც გამოერკვა კომიდან, მაგრამ უბრალოდ, ვერ ლაპარაკობდა და არ ესმოდა, რა ხდებოდა ირგვლივ, ეშინოდა გარემომცველი სინამდვილისა. მას ერთადერთი რამ ესმოდა – რომ იგი ოჯახს უყვარს.

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

ჯილდო

შინაარსითაც და ფორმითაც...



„ღრმად პატივცემულო მირიან ვლადიმერის ძევ!

დიდ მადლობას გიხდით თქვენი მშვენიერი მონოგრაფიისათვის საქართველოს იურული და ცარცული ბელემნიტიდები", რომელიც შალვა კელეპტრიშვილსა და ილია კვანტალიანთან თანაავტორობით დაწერეთ. წიგნი თვალნათლივ მეტყველებს თქვენი გეოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომელთა ფართო ინტერესებსა და კვლევის მაღალ დონეზე.

ბელემნიტიდებზე შექმნილი ეს კაპიტალური ნაშრომი ჩვენთვისაც ერთობ ფასეულია. რამდენიმე ათეული წლის წინათ დაწერილი გ. კრიმჰოლცის წიგნის შემდეგ, ხელთა გვაქვს იურის ბელემნიტიდებისადმი მიძღვნილი თქვენი ფუნდამენტური ნაშრომი. ჩვენთვის ის სრულიად აუცილებელია მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიურ ფაკულტეტზე სტრატიგრაფიასა და პალეონტოლოგიაში მეცადინეობებისა და უნივერსიტეტის ყირიმის სასწავლო-სამეცნიერო ბაზაზე ყოველდღიური გეოლოგიური პრაქტიკისათვის.

მოგმართავთ თხოვნით, რომ გამოგვიგზავნოთ თქვენი წიგნის კიდევ ერთი ცალი ბიბლიოთეკისა და ყირიმის ბაზის გეოლოგიური მუზეუმისათვის, როგორც სტუდენტთა მოსახმარი სახელმძღვანელო".

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორის, აკადემიის წევრ-კორესპონდენტის მირიან თოფჩიშვილის სახელზე მოსულ ამ ბარათს ხელს აწერენ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეგიონული გეოლოგიისა და დედამიწის ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი ანატოლი ნიკიშინი, პროფესორი მიხეილ ლომიზე და დოცენტი დიმიტრი პანოვი. წერილს რომ გავეცანი, „ლოგიკურად" გამექცა ფიქრი – რა მოხდება, არაერთი რუსეთელი პოლიტიკოსიც მეცნიერებივით კეთილგანწყობილი იყოს საქართველოსა და ქართველების მიმართ-მეთქი...

ამ დღეებში სამი ავტორის მონოგრაფია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა მაღალი საკადემიო ჯილდოთი – ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის პრემიით აღნიშნა, თუმცა ლაურეატი ორი გახდა: გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრის დოცენტი შალვა კელეპტრიშვილი და გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, გეოლოგიური ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ილია კვანტალიანი. მესამე ავტორმა, მირიან თოფჩიშვილმა ადრე სხვა მონოგრაფიისათვის დაიმსახურა იგივე პრემია და დებულების შესაბამისად, მეორედ ვერ მიენიჭებოდა.

„საქართველოს იურულ და ცარცულ ბელემნიტიდებს" ქართველმა სპეციალისტებმაც საუკეთესო შეფასება მისცეს. ბელემნიტიდები საქართველოს იურულ-ცარცულ ნალექებშიც ფართოდ გავრცელებული თავფეხიანი მოლუსკების ერთობ მნიშვნელოვანი პალეონტოლოგიური ჯგუფი ყოფილა. პოლიმეტალების, ბარიტის, მოსაპირკეთებელი ქვების, ქვანახშირის, ნავთობის, თერმული თუ მინერალური წყლებისა და სხვათა სასარგებლო წიაღისეული საბადოები სწორედ იურული და ცარცული ასაკის ნალექებთანაა დაკავშირებული. წიგნის მეცნიერული ეფექტიანობა იმანაც განაპირობა, რომ ის საერთაშორისო სტანდარტების შესატყვის დონეზე შესრულებული, კავკასიის მასშტაბითაც პირველი სრული ნაშრომია ხსენებულ პრობლემატიკაში. მონოგრაფია თვალსაჩინო წვლილად მიიჩნიეს ქართული პალეონტოლოგიური მეცნიერების განვითარების საქმეში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრიფით გამოსული ეს 300-გვერდიანი წიგნი მტერს „გარედანაც" დაუყენებს თვალს, ისე ლამაზადაა გაფორმებული...

თამაზ ილმელი.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

– ვარ I ჯგუფის უსინათლო ინვალიდი. გთხოვთ განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა შეღავათი საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის დროს?

ბელა ჩუბინიძე.

– მხედველობის გამო I ჯგუფის ინვალიდების შემოსავალი 3000 ლარამდე საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება.

* * *

– ვარ აფხაზეთიდან დევნილი. აფხაზეთის ომის ინვალიდი პენსიონერი.

გთხოვთ, განმიმარტოთ, ვეტერანების შესახებ საქართველოს კანონის მე-60 მუხლის შესაბამისად, მაქვს თუ არა უფლება ერთდროულად მივიღო ორი სახის პენსია?

დემურ შამუგია.

– „ომისა და შინაგან საქმეთა ორგანოებიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" კანონის მე-60 მუხლის შესაბამისად ერთდროულად ორი სახის პენსია ენიშნებათ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ოფიცერთა შემადგენლობას, ინვალიდობის პენსია დანიშნული აქვთ ძალოვანი სტრუქტურებიდან და ამავე დროს გააჩნიათ სოციალური დაზღვევის ფონდის ადგილობრივი ორგანოებიდან პენსიის მისაღებად საჭირო პირობები.

ამ კანონის მე-60 მუხლის მოქმედება ჯერჯერობით, სამწუხაროდ, მხოლოდ ოფიცერთა შემადგენლობაზე ვრცელდება. მისი სრულად ამოქმედება (კანონის გავრცელება რიგითთა შემადგენლობაზე) გათვალისწინებულია 2005 წლის 1 იანვრიდან, რის შესახებაც დამატებით ინფორმაციას მოგაწვდით ჩვენი გაზეთის, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით.

* * *

– ბებია და ბაბუა ვზრდით 8 წლის შვილიშვილს. დედამისი არის მარტოხელა, მაგრამ ამჟამად ცხოვრობს თურქეთში (სხვასთან რეგისტრირებული ქორწინება არ აქვს).

ეკუთვნის თუ არა რაიმე დახმარება ჩემს შვილიშვილს?

დავით ნარიმანიძე.

– მარტოხელა დედად ითვლება ქალი, რომელსაც ბავშვის მამასთან არ ჰქონია რეგისტრირებული ქორწინება, არ ცხოვრობს მასთან ერთ ოჯახად და დაბადების მოწმობაში შვილი გატარებული ჰყავს თავის გვარზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ თქვენს ქალიშვილს დადგენილი აქვს მარტოხელა დედის სტატუსი, ბავშვის 18 წლის ასაკის შესრულებამდე ეკუთვნის დახმარება თვეში 5 ლარის ოდენობით, მაგრამ თუ იგი ცხოვრობს თურქეთში მისთვის, როგორც მარტოხელა დედისთვის, ყოველთვიური სახელმწიფო დახმარების დანიშვნაგაცემისათვის არ არსებობს კანონიერი საფუძველი.

* * *

– ხუთი წლის წინათ გარდამეცვალა მეუღლე, ვზრდი ორ ობოლ შვილს, რომლებიც იღებენ მარჩენალის პენსიას.

უფროსი ვაჟი სტუდენტია. ახლახანს შეუსრულდა 18 წელი. პენსია მოუხსნეს, მეუბნებიან არ ეკუთვნისო.

გთხოვთ განმიმარტოთ მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიის მიღების უფლება აქვთ თუ არა შვილებს 23 წლამდე.

ნატალია ლაბაძე.

– განვიმარტავთ, რომ მოქმედი კანონის შესაბამისად, უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პერიოდში, მაგრამ არაუმეტეს 23 წლის ასაკისა, პენსიის მიღების უფლება აქვთ მხოლოდ იმ შვილებს, რომლებიც მარჩენალის დაკარგვის გამო იღებენ სახელმწიფო პენსიას.

თუ თქვენს მეუღლეს არ ჰქონდა ასაკის შესაბამისი შრომის სტაჟი, რის გამოც მისი გარდაცვალების გამო არასრულწლოვან შვილებს დანიშნული აქვთ არა სახელმწიფო, არამედ სოციალური პენსია, ასეთ შემთხვევაში კანონის თანახმად პენსიის გაცემა სწავლის პერიოდში მხოლოდ მათი 18 წლის შესრულებამდე არის გათვალისწინებული.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.

სამუშაო ადგილი: გალის რაიონი – საბერიო; წალენჯიხის რაიონი – ფოცხო-ეწერი

ენგურჰესის რეაბილიტაციის პროექტი აცხადებს ვაკანსიას სამი უმცროსი ინჟინრის თანამდებობაზე (ჰიდრო-მექანიკოსი ინჟინერი, ინჟინერ-ელექტრიკოსი და მშენებელი ინჟინერი).

მოვალეობა:

- ენგურის ჰიდროელექტროსადგურზე და კაშხალზე მიმდინარე საინჟინრო სამუშაოების მონიტორინგი და კოორდინაცია;
- პერიოდული ანგარიშების მომზადება სამუშაოების მიმდინარეობასა და კონტრაქტორების მიერ ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით;
- კონტრაქტორების მიერ ჩატარებულ საინჟინრო ტესტებზე ანგარიშების მომზადება;
- პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტების და ტექნიკური მასალების თარგმნა ინგლისურიდან ქართულად და პირიქით;
- ნახაზების ანალიზი, გადახრების ან დარღვევების აღმოჩენა და შესაბამისად ანგარიშის წარდგენა;
- პროექტთან დაკავშირებული გარემოს დაცვითი და უსაფრთხოების საკითხების მონიტორინგი;

მოთხოვნები:

კანდიდატები უნდა ფლობდნენ შემდეგს:

- უმაღლესი განათლება ჰიდროენერგეტიკის დარგში;
- მინიმუმ 3-წლიანი სამუშაო გამოცდილება ჰიდროენერგეტიკულ სფეროში, ჰიდროელექტროსადგურების პროექტირების, მშენებლობის და ექსპლუატაციის სათანადო ცოდნა;
- ქართული, ინგლისური და რუსული ენების სრულყოფილი ცოდნა;
- შემდეგი კომპიუტერული პროგრამების კარგი ცოდნა MS Office, MS Project, Power Point, AutoCad;

შერჩეული ინჟინრებისგან მოთხოვნილი იქნება:

- ენგურის ობიექტზე გრძელვადიანი პერიოდებით დარჩენა;
- ნაყოფიერი და გუნდური შრომა.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა გამოაგზავნონ რეზიუმე (ქართულ და ინგლისურ ენაზე) შემდეგ მისამართზე enguripiu@caucasus.net - (მიუთითეთ "ვაკანსია").

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2004 წლის 9 დეკემბერი.

მხოლოდ კვალიფიცირებული კანდიდატები იქნებიან მოწვეული ინტერვიუზე. ინტერვიუები გაიმართება თბილისში, 2004 წლის 12-14 დეკემბერს.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" მოთხოვნით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად შპს „მეტექსის" მიერ წარმოდგენილია I კატეგორიის საქმიანობაზე:

ქ. რუსთავში დავით გარეჯის ქ. №36-ში მდებარე „შპს „მეტექსის" სილიკომანგანუმის წარმოების საამქროს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში".

საპროექტო დოკუმენტაციის გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია 2005 წლის 11 იანვრამდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პრესცენტრში: თბილისი, კოსტავას №68-ა, V სართული და გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახურში: თბილისი, ფალიაშვილის №87, ტელ. 25-02-19.

საჯარო განხილვა შედგება 2005 წლის 11 იანვარს 12 საათზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში.

გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახური.

ქ. თბილისში დავით აღმაშენებლის გამზ. №103-ში შენობაში (ყოფილი სს „მასპინძელი") პირველი და მეოთხე სართულზე არსებული საცხოვრებელი და სამსახურებრივი საქმიანობისთვის ვარგისი ფართობის თანამესაკუთრე ჯონდი გიგანი აცხადებს, რომ სურს გაყიდოს თავისი კუთვნილი ფართობი (453.36 კვ. მ.).

დანარჩენ მესაკუთრეებს და დაინტერესებულ პირებს, შესყიდვის სურვილის შემთხვევაში, ვთხოვთ გამოეხმაურონ ათდღიან ვადაში **ჯ. გიგანის რწმუნებულს მიტო თუმანიშვილს. მცხ. ქ. თბილისში, იოსელიანის ქ. №37, ბინა 51. ტელ. 39-20-91. ბინა. 899 50-20-06.**

№ 275, შაბათი, 27 ნოემბერი, 2004 წელი.

ასე შორეული და ახლობელი

საქართველო-კანადა: ვოლონტიორების ხიდი

არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს ფარგლებს გარეთ ამჟამად დაახლოებით მილიონი ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს. მათი უმეტესი ნაწილი, უწინარესად, რუსეთსა და დსთ-ს სხვა ქვეყნებშია გაბნეული. ასევე მრავლად არიან ისინი ევროპასა და ამერიკის კონტინენტებზე, უმეტესად ამერიკის შეერთებულ შტატებში. თუმცა, როგორც გაირკვა, ბოლო დროს საგრძნობლად იმატა საქართველოდან წასულთა რიცხვმა კანადაშიც. ამის შესახებ ბატონ კარიმ ამიროვისგან შევიტყვე, რომელმაც წლეულს გაზაფხულზე, თავის მეუღლესთან, ქალბატონ მაკრინე მოწონელიძესთან ერთად ტორონტოში, სადაც ქუთაისიდან წასული ეს ოჯახი ამჟამად ცხოვრობს, საქართველო-კანადის ურთიერთობის ხელშეწყობის ფონდი შექმნა. სამშობლოში ბატონ კარიმ ამიროვის ახლანდელი სტუმრობაც სწორედ ფონდის საქმიანობის გაშლასთანაა დაკავშირებული. ამ ამბავმა, ცხადია, ჩვენც დაგვაინტერესა, ამიტომ ბატონი კარიმ ამიროვი რედაქციაში მოვიწვიეთ.

— დიდი ხანია, რაც ცოლ-შვილთან ერთად ოკეანის გაღმა დაიდეთ ბინა?

— კანადაში უკვე ექვსი წელია ვცხოვრობთ, მანამდე შვიდი წელიწადი რუსეთში ვიყავით, იქ ვსაქმიანობდი, საკმაოდ წარმატებითაც...

— თუკი საქმე კარგად მიდიოდა, კანადაში თქვენი წასვლა რამ განაპირობა?

— იქნებ ამის თაობაზე უხერხულიც იყოს ლაპარაკი, მაგრამ ბოლოს იქაურებმა ამრეზით დაგვიწყეს ცქერა, მე ვიტყოდი შევიწროებაც კი სცადეს, მხოლოდ იმის გამო, რომ ჩვენ კავკასიელები ვართ. არადა, საქართველოშიც ისე არ გვქონდა საქმე, რომ უკან დავბრუნებულიყავით და აქ ცხოვრების თავიდან აწყობაზე გვეზრუნა. თანაც, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში ამდენი წელი ვიცხოვრეთ, იქაური მოქალაქეობა ვერაფრით ვერ მივიღეთ, თუმცა გვინდოდა ისეთ ქვეყანაში ვყოფილიყავით, სადაც იქაური მოქალაქეების უფლებები გვექნებოდა. ამიტომაც რუსეთში კანადის საელჩოში ყველა საიმიგრაციო პროცედურის გავლის შემდეგ ამ ქვეყანაში ჩავედით, როგორც მისი სრულუფლებიანი მოქალაქეები.

— კანადაში რას საქმიანობთ?

— განათლებით იურისტი გახლავართ და ტორონტოში კერძო იურიდიული ფირმის მეპატრონე ვარ, სასამართლოებში საქმეებს თავად ვუძღვები. კანადაში იურიდიული პრაქტიკის უფლება შესაბამისი სწავლის კურსის გავლის, სათანადო სერტიფიკატისა და, მის საფუძველზე, ლიცენზიის მიღების შემდეგ მოვიპოვე. აქვე იმასაც გეტყვით, რომ სასამართლოებში, ძირითადად, საგზაო სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საქმეები მიმყავს. საქმე ის გახლავთ, რომ საგზაო წესების დარღვევის, ანდა ავტოსაგზაო შემთხვევების დროს, დამნაშავე მძღოლს ჯარიმის ქვითრებს უწერენ, რომლებიც სამი სახისაა: პირველი, ესაა საკმაოდ სოლიდური ჯარიმა, მეორე — უწესო მძღოლს ეწერება საჯარიმო ქულები, რომელთა გარკვეული ოდენობით დაგროვების შემდეგ მას მართვის უფლებას ართმევენ. მესამე კი ის არის, რომ სადაზღვევო კომპანიები საგზაო წესების დამრღვევებს 2-3-ჯერ უწევენ სადაზღვევო გადასახადს და ჩვენი საქმიანობა სწორედ სასამართლოებში კლიენტების ინტერესთა დაცვა და მათთვის სასჯელის შემსუბუქება წარმოადგენს.

— თავად ფონდის შექმნის იდეა როგორ წარმოიშვა?

— „ვარდების რევოლუციისა“ და საქართველოს ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ, წლეულს, თებერვალში, სამშობლოში რომ ჩამოვედი და საკუთარი თვალით ვიხილე, რომ ქვეყანაში მეტად მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა და, საერთოდაც, საზოგადოებრივი კლიმატიც მნიშვნელოვნად შეიცვალა, მაშინ ვიფიქრე, რომ ისეთი ფონდის შექმნის დრო დადგა, რომელიც თუნდაც მცირედით მაინც ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის წინსვლას. ამიტომაც კანადაში დაბრუნების შემდეგ მე და ჩემმა მეუღლემ აპრილისთვის ასეთი ფონდი დავაარსეთ.

— თუ შეიძლება, უფრო დაწვრილებით გვიამბეთ ფონდის მიზნების შესახებ.

— ჩვენი მთავარი მიზანია, ხელი შევუწყოთ კანადისა და საქართველოს დაახლოებას. საქმე ის გახლავთ, რომ მსოფლიოს ამ ერთ-ერთ უდიდეს განვითარებულ ქვეყანაში საქართველოს საელჩო, საკონსულო, ანდა რაიმე სხვა ოფიციალური დიპლომატიური წარმომადგენლობა ამჟამად არ არის. როგორც ცნობილია, საქართველოს ინტერესებს კანადასა და მექსიკაში წარმოადგენს ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საელჩო. ვფიქრობ, ყველას კარგად გვესმის, რომ მარტო ვაშინგტონში ჩვენს დიპლომატებს იმდენი საქმე აქვთ, რომ კანადურ საქმეებს ჯეროვან ყურადღებას ვერ აქცევენ. აშშ-ში ჩვენმა კონსულმა ისიც კი გვითხრა, კანადაში ჩვენს გასაკეთებელ საქმეს, ფაქტობრივად, თქვენ აკეთებთო. თუმცა აქვე მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ ფონდი არ აპირებს ორი ქვეყნის პოლიტიკურ, ანდა სახელმწიფოებრივ საქმეებში ჩარევას. ჩვენ გვინდა, ერთგვარი ხიდის როლი შევასრულოთ ორ ქვეყანას შორის, ამიტომ აქაც და იქაც გვინდა საზოგადოებრიობას შევთავაზოთ, რომ გამოიყენონ ჩვენი შესაძლებლობები ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში კავშირების დასამყარებლად. თან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ ფუნქციის შესრულებას როგორც ვოლონტიორები ისე ვაპირებთ.

— თქვენი მიზნები და მისწრაფებები სავსებით გასაგებია და მისაღები, მაგრამ, დამეთანხმებით, რომ ერთი ოჯახის ძალისხმევით, რაოდენ მომზადებული და რა შემართებითაც უნდა იყვნენ მისი წევრები, დიდი საქმის გაკეთება მაინც ძნელია. ან, იქნებ, მართალი არა ვარ?

— გეთანხმებით, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე კანადაში საქართველოდან ჩასულთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა. რამდენადაც ვიცით, ამჟამად კანადაში 2-დან 3 ათასამდე ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს. ეს, იქნებ, ბევრი არ მოგეჩვენოთ, მაგრამ ხუთიოდე წლის წინათ ამის მეათედი ხალხი ძლივს იყო. ისინი, ძირითადად, დიდ ქალაქებში — ტორონტოში, მონრეალსა და ვანკუვერში ცხოვრობენ.

— ფონდის კონკრეტული საქმიანობის დაწყებას რით აპირებთ? უფრო სწორად, თუ შეიძლება გვიამბეთ სამომავლო გეგმების თაობაზე.

— პირველი ნაბიჯი, რაც უნდა გადაიდგას, ესაა, უწინარესად, ორ სახელმწიფოს შორის ჩარჩო ხელშეკრულების დადება. მინდა გითხრათ, რომ ფონდს კანადაში ძალზე კარგი კავშირები აქვს პარლამენტის წევრებთან, სახელმწიფო ორგანიზაციებთან, ბიზნესმენებთან. ჩვენ ვართ კანადის სავაჭრო პალატის წევრი, რომელიც 175 ათას ფირმას აერთიანებს. აღნიშნული ორგანიზაცია კი ლობირებს ყველა ბიზნესს უკვე ფედერალურ დონეზე, სადაც უკვე განიხილეს ჩვენი ფონდის, როგორც არაკომერციული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის საკითხი და ვიდრე სასამართლოში რეგისტრაციის უფლებას დაგვრთავდნენ, მეც და ჩემი მეუღლეც ყველა მხრივ საგულდაგულოდ გადაგვამოწმეს. საქმე ის გახლავთ, რომ არაკომერციულ ორგანიზაციებს კანადაში ძალზე მნიშვნელოვანი შეღავათები აქვთ, მათ ბიზნესის წარმოების უფლებაც აქვთ, ოღონდ იმ პირობით, რომ მოგება (აუცილებელი ხარჯის გამოკლებით) მთლიანად საქველმოქმედო საქმიანობას უნდა მოხმარდეს. ჩვენ კი საქველმოქმედო მოღვაწეობას კანადაში კი არა, საქართველოში ვაპირებთ.

თავად კანადაში მოქმედებს მრავალი პროგრამა, რომელიც ახალგაზრდა დემოკრატიული სახელმწიფოებისათვის ამა თუ იმ ფორმით ხელშეწყობაზეა გამიზნული, მაგრამ მთავარი ისაა, რომ პირველი ნაბიჯები თავად დახმარების მიმღებმა მხარემ უნდა გადადგას. ჰოდა, ჩვენი ფონდიც სწორედ იმ ხიდის როლის შესრულებას აპირებს, რომლის მეშვეობით ეს დახმარება ჩვენს ქვეყნამდე მოაღწევს, ავამოძრაოთ სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციები უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ საქართველოში საქველმოქმედო პროექტების განხორციელებაში, პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული კავშირების გაბმაში.

კანადასა და საქართველოს შორის ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმებას თუნდაც ორმხრივი დაბეგვრის თავიდან აცილების მხრივ აქვს დიდი მნიშვნელობა, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში არც ერთი კანადელი ინვესტორი საქართველოში ფულს არ დააბანდებს. ამავე დროს, გარკვეულ პროდუქციას საქართველოც აწარმოებს, ამდენად არსებობს ხელსაყრელი სავაჭრო ურთიერთობების გაბმის პერსპექტივაც, ვაჭრობა კი, მოგეხსენებათ, ოდითგანვე კარგი გზა იყო ურთიერთობების დასამყარებლად, თუმცა იგი ფონდის საქმიანობის მაგისტრალური მიმართულება, რა თქმა უნდა, არ არის.

ბატონ კარიმ ამიროვთან საუბარს საქართველოში ფონდის წარმომადგენელი ქალბატონი მარიკა მეშველიანიც ესწრებოდა, რომელმაც აღნიშნა, რომ თავად ფონდი მათი დამფუძნებლების სახსრებით არსებობს და უკვე რამდენიმე საგულისხმო პროექტიც განახორციელა. კერძოდ, 12 სექტემბერს ტორონტოში გაიხსნა ქართული საკვირაო სკოლა, სადაც დაახლოებით ოცდაათი საქართველოდან ემიგრირებული ოჯახის შვილი დადის. აქ პატარებს (რომელთა შორის ერთი კანადელია) ასწავლიან ქართულ წერა-კითხვას, ენასა და ლიტერატურას, ქვეყნისა და რელიგიის ისტორიას. საგულისხმოა ისიც, რომ სკოლაში ქართველების გარდა დადიან რუსები, უკრაინელები, კიდევ სხვა ეროვნების ბავშვები, რომლებსაც ფესვები საქართველოში აქვთ.

გარდა ამისა, ფონდის მეცადინეობით ტორონტოში შექმნილია ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლი, რეგისტრაციაში გაატარეს წმინდა ნინოს ქართული მართლმადიდებელი ეკლესია, რომელსაც თავისი მოძღვარიც ჰყავს. თავად საყდარი, ალბათ, სამომავლოდ აშენდება, მანამდე კი ყოველ კვირადღეს ქართულად წირვა უკრაინულ და ბელორუსულ ეკლესიებში საგანგებოდ გამოყოფილ კუთხეში ტარდება ხოლმე.

გარდა ამისა, ტორონტოში შეიქმნა კანადა-საქართველოს სავაჭრო სახლი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ორი ქვეყნის ბიზნესმენებს შორის ურთიერთხელსაყრელი კავშირების დამყარებაში.

რაც შეეხება საქართველოში ფონდის კონტაქტებს, ბატონ კარიმ ამიროვსა და ქალბატონ მარიკა მეშველიანს მეტად საგულისხმო შეხვედრები ჰქონდათ პარლამენტში საგარეო საქმეთა, ეკონომიკური განვითარებისა და ფინანსთა სამინისტროებში, სავაჭრო-სამრეწველო პალატაში, რამდენიმე სხვა სახელმწიფო უწყებასა და არასამთავრობო ორგანიზაციაში.

ფონდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამომავლო პროექტია სოციალურად ხელმოკლე ოჯახებისა და მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისათვის საქართველოში დასასვენებელი სახლის აგება რომელიმე ზღვისპირა ან მთის კურორტზე. ერთობ საგულისხმოა, რომ ფონდის ამ და მთელ რიგ სხვა პროექტებისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინა საქართველოს პირველმა ლედიმ, ქვეყნის პრეზიდენტის მეუღლემ ქალბატონმა სანდრა რულოვსმა, რომელიც შეხვდა მის მესვეურებს და დახმარებაც აღუთქვა.

ოთარ ტურაბელიძე.

სურათზე: ქალბატონი სანდრა რულოვსი ფონდის პრეზიდენტ კარიმ ამიროვსა და მის საქართველოში წარმომადგენელ მარიკა მეშველიანთან ერთად.

კიევში მთავრობისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობები ბლოკირებულია

უკრაინის ოპოზიციის მიერ შექმნილი ეროვნული ხსნის კომიტეტი „თავის კონტროლს უწესებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს“, — განუცხადა ჟურნალისტებს ეროვნული ხსნის კომიტეტის აღმასკომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ზინჩენკომ. კიევში უკვე მთლიანად ბლოკირებულია და ალყაშია მოქცეული მთავრობისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობები. ვიქტორ იუშჩენკოს მომხრეებმა ამ შენობების გარშემო შექმნეს ცოცხალი ჯაჭვი და არავის უშვებენ იქ.

უზენაესი რადის დეპუტატმა იური ლუცენკომ აღნიშნა, რომ იუშჩენკოს მომხრეებმა სამუშაო ადგილზე არ შეუშვეს თვით პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა და პრემიერ-მინისტრი ვიქტორ იანუკოვიჩიც კი. ლუცენკომ ოპოზიციის ასეთი მოქმედება ახსნა იმით, რომ მანამდე გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს კუჩმა და იანუკოვიჩი აპირებდნენ ადმინისტრაციის შენობაში მოეწერათ ხელი აქტისთვის ხელისუფლების გადაცემის შესახებ.

კუჩმას და იანუკოვიჩის ადმინისტრაციის შენობაში შეყვანისთვის საჭირო გახდა სპეციალური ოპერაციის განხორციელება, რომელსაც პირადად ხელმძღვანელობდა უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრი ნიკოლოზ ბილოკონი.

მაგრამ ლეონიდ კუჩმა მაინც მიმართავს ერს. ზოგიერთი მონაცემებით, გამორიცხული არ არის, რომ კუჩმა გააკეთებს სიტყვიერ განცხადებას გადადგომის შესახებ და უფლებამოსილებას გადასცემს პრემიერ-მინისტრ ვიქტორ იანუკოვიჩს.

უკრაინის მთავრობის მუშაობა, რომელსაც ვიქტორ იანუკოვიჩი მეთაურობს, მთლიანად პარალიზებულია. როგორც იანუკოვიჩის პრესმდივანი ანა გერმანი იტყობინებოდა, „იანუკოვიჩი უნდა შეხვედროდა ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებს, მაგრამ იგი ამას ვერ ახერხებს, რადგან ვერ შეძლო მთავრობის შენობაში შეღწევა“.

კიევში ჩავიდა ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო პოლიტიკისა და უშიშროების საკითხებში ხავიერ სოლანა. იგი აპირებს შეხვდეს უკრაინის პრეზიდენტის პოსტის ორივე კანდიდატს.

სოლანას იმედი აქვს, რომ შეუწყობს ხელს პოლიტიკური კრიზისის დიპლომატიური გზით მოგვარებას.

მცირე ხნით ადრე კი კიევს ეწვია აგრეთვე პოლონეთის პრეზიდენტი ალექსანდრ კვასნევსკი.

ლიტვის პრეზიდენტის ვალდას ადამკუსის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ლიტვის ლიდერიც აპირებს საშუამავლო მისიით ჩავიდეს კიევში.

როგორც მეთვალყურეები აღნიშნავენ, ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად შედეგიანი იქნება დასავლეთის დიპლომატიური შეტევა: ვიქტორ იანუკოვიჩმა უკვე დაადანაშაულა დასავლეთი ოპოზიციის მხარდაჭერაში, რომელიც მიმართავს „ანტიდემოკრატიულ და უკანონო მოქმედებას“. იანუკოვიჩი გულისხმობდა მასობრივ საპროტესტო გამოსვლებს, რომლებიც კიევში არ ჩამცხრალა უკვე რამდენიმე დღის განმავლობაში.

თავის მხრივ, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ჰააგაში ევროპის ქვეყნების ლიდერებთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ ევროპის სახელმწიფოებს „არ აქვთ არანაირი მორალური უფლება იმისთვის, რომ რაიმე მასობრივი უწესრიგობისაკენ უბიძგონ ევროპის დიდ სახელმწიფოს — უკრაინას“.

და მაინც, ევროკავშირის ამჟამინდელი თავმჯდომარე-ქვეყნის ჰოლანდიის პრემიერ-მინისტრმა იან პეტერ ბალკენენდემ აღნიშნა, რომ „არჩევნები ვერ აკმაყოფილებდა საერთაშორისო სტანდარტებს. ასე რომ, ევროკავშირი ვერ დაეთანხმება მათ შედეგებს“.

„ევროკავშირს არ მიაჩნია, რომ არჩევნების გამოცხადებული შედეგები ნამდვილად ასახავს უკრაინელი ხალხის ნება-სურვილს“, — ხაზგასმულია ევროკავშირის მიერ ხუთშაბათს გავრცელებულ განცხადებაში.

უკრაინაში გამართულმა არჩევნებმა შეიტანა განხეთქილება არა მარტო ქვეყნის მოსახლეობაში, არამედ საერთაშორისო გაერთიანებაშიც კი. დიდი ბრიტანეთი, ისევე როგორც ევროპის სხვა ქვეყნები, აგრეთვე, შეერთებული შტატები და კანადა, არ ცნობს იანუკოვიჩის გამარჯვებას, ჩინეთი, რუსეთთან და ბელარუსთან ერთად კი აცხადებს, რომ არჩევნები სამართლიანი იყო.

ამავე მიზნით უკრაინის დედაქალაქში აპირებენ ჩასვლას ეუთოს გენერალური მდივანი იან კუბიში და ევროპის პარლამენტის დელეგატები.

ამავე დროს უკრაინის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ იანუკოვიჩმა აღნიშნა, რომ იგი ძალზე გააოცა მთელი რიგი ქვეყნების მიერ ამჟამად უკრაინაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შეფასებამ.

„გულახდილად რომ გითხრათ, არ ველოდებოდი ასეთ განცხადებებს. ძალზე გაოცებული დავრჩი იმით, რომ დემოკრატიულმა ქვეყნებმა, თურმე, შეიძლება დაუჭირონ მხარი კანონსაწინააღმდეგო და ანტიდემოკრატიულ მოქმედებას“, — განაცხადა იანუკოვიჩმა კიევში გამართულ პრესკონფერენციაზე.

პრემიერმა აგრეთვე აღნიშნა: ოპოზიცია ჯერ კიდევ არჩევნებამდე აცხადებდა, რომ იგი თუ ვერ გაიმარჯვებდა, არჩევნები ნამდვილად გაყალბებული იქნებოდა. იანუკოვიჩის თქმით, ასეთივე მოსაზრებას იზიარებს ზოგიერთი ქვეყანაც, რომლებიც აშკარად დაინტერესებული არიან ვიქტორ იუშჩენკოს და ოპოზიციის გამარჯვებით.

უკრაინის მთავრობის მეთაურს მიაჩნია, რომ პრობლემური საკითხები არ უნდა გადაწყდეს ქუჩებში უხეში ზემოქმედების გზით.

ამასთან, მან გამოთქვა რწმენა, რომ უკრაინელ ხალხს ეყოფა სიბრძნე იმისთვის, რომ არ დაუშვას სისხლისღვრა.

მოკლედ

ეგვიპტეში დაიბადნენ სიამის ტყუპები, რომლებსაც საერთო გული აქვთ. ახალშობილები სხეულებით არიან ერთმანეთზე შეზრდილი. ტყუპების დედაა 30 წლის ქალი. დედისა და ბავშვების ვინაობას არ ამხელენ. არც ის არის ცნობილი, თუ როდის გაჩნდნენ ტყუპები.

* * *

უცხოეთის პრესას მიაჩნია, რომ რუსეთ-ევროკავშირის დიალოგი „ყრუების დიალოგს“ უფრო წააგავს. ჰააგის სამიტი უშედეგოდ დასრულდა. პუტინი ცდილობს, რომ არ დაუშვას ევროპის ქვეყნების ჩარევა უკრაინის კონფლიქტში. ევროკავშირი კი, პირიქით, ცდილობს გააფართოოს თავისი გავლენა ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე და არ ცნობს უკრაინის არჩევნების შედეგებს.

* * *

დიდი სკანდალი აგორდა ისრაელის „შაიტეტ-13“ ელიტურ ქვეგანაყოფში (საზღვაო სპეციალური დანიშნულების რაზმები), მას შემდეგ, რაც ექვსი დედიშობილა ჯარისკაცის ფოტო მოხვდა ისრაელის ერთ-ერთი პოპულარული გაზეთის ფურცლებზე. სპეციალური დანიშნულების რაზმების მებრძოლებს „სხეულების სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებზე“ ხელი ჰქონდათ აფარებული.

* * *

თანამდებობიდან გადადგება ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელობის კიდევ ორი წარმომადგენელი, რომელთა შორის არის ევროპაში ოპერაციების განხორციელებისთვის პასუხისმგებელი პირიც. ორივე მზვერავს მაღალი თანამდებობები ეკავა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ძირითად ქვეგანაყოფში — ოპერატიულ დირექტორატში, რომელიც ახორციელებს საიდუმლო ოპერაციებს, მათ შორის, ეწევა საზღვარგარეთის ქვეყნებში აგენტების გადაბირებას.

აბორიგენებმა პოლიციის უბანი გადაწვეს

ავსტრალიის პალმ-აილენდის კუნძულზე მცხოვრები ასობით აბორიგენი დაესხა თავს პოლიციის უბანს, მას შემდეგ, რაც გავრცელდა ცნობა, რომ დაიღუპა საპყრობილეში მყოფი ადამიანი.

როგორც ერთ-ერთმა თვითმხილველმა განაცხადა, პოლიციის უბანი თითქმის მთლიანად დაიწვა.

კუნძულზე დაძაბულობა გამწვავდა მას შემდეგ, რაც გასულ კვირას პოლიციის უბნის საკანში გარდაიცვალა აბორიგენი კამერონ დუმაჯი.

სიტუაცია კონტროლს აღარ დაექვემდებარა, როცა გამოქვეყნდა პატიმრის სიკვდილის გამომწვევი მიზეზები. გაირკვა, რომ დუმაჯის ჩამტვრეული ჰქონდა ნეკნები და იგი ფილტვის დაზიანების შედეგად გარდაიცვალა.

ავსტრალიის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე, ქალაქ ტაუნსვილის მახლობლად მდებარე ამ კუნძულზე წესრიგის აღდგენის მიზნით, მოელიან, რომ გაგზავნიან შეიარაღებულ პოლიციელებს.

მიმდინარე კვირის დამლევს მატერიკიდან კუნძულზე უკვე გადაიყვანეს პოლიციის დამატებითი ძალები, რომლებსაც, შესაძლოა, დამატებით კიდევ 50 პოლიციელი შეუერთდეს.

თავდასხმა ჩინეთის სკოლაზე

ჩინეთის ჰენანის პროვინციის ქალაქ რუჯოუს სკოლაში შეიჭრა დანით შეიარაღებული პირი, რომელმაც მოკლა რვა და დაჭრა ოთხი ადამიანი.

ჩინეთის სინჰუას საინფორმაციო სააგენტოს მონაცემებით, თავდასხმა მოხდა ღამით, როცა მოსწავლეებს ეძინათ. ყველა დაღუპული მოზარდია.

თავდამსხმელმა მიმალვა შეძლო.

ამ ბოლო თვეების განმავლობაში ჩინეთის სკოლებში ასეთი ინციდენტი პირველი არ არის. სექტემბერში 24 ბავშვი დაიჭრა ქალაქ შანგუნში მომხდარი ანალოგიური თავდასხმის შედეგად. მაშინ თავდამსხმელი დააკავეს და იგი მოგვიანებით სიკვდილით დასაჯეს.

აგვისტოში მომხდარი ასეთივე თავდასხმის შემდეგ კი, ხელისუფლებამ დაავალა საბავშვო დაწესებულებებს გაემკაცრებინათ უშიშროების ზომები. პეკინსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა ქალაქებში სკოლების და სხვა სასწავლებლების დასაცავად დაიწყეს პროფესიონალი მცველების დაქირავება.

სტუმარი

იაპონელი მეცნიერი ჩვენი ქვეყნის წარსულს იკვლევს

ახალგაზრდა კაცია იაპონელი მეცნიერი, საპოროში ჰოკაიდოს უნივერსიტეტის ლექტორი ჰიროტაკე მაედა, რომელიც ჩინებულად მეტყველებს ქართულად და მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეების საქართველო-ირანის ურთიერთობებს იკვლევს. ტოკიოს უნივერსიტეტი დაუმთავრებია აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის სპეციალობით. ორიოდე დღის წინათ იგი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელმა ბატონმა დავით ნოზაძემ გამაცნო.

— ბავშვობისას აბრეშუმის გზით, უძველესი ტრადიციული ქვეყნების ისტორიით ვიყავი გატაცებული, — მითხრა ბატონმა ჰიროტაკემ. **— ქართულმა ფილმებმა — „ფიროსმანმა“, „ნატვრის ხემ“, „მონანიებამ“, „ბროწეულის ფერმა“ სურვილი უფრო გამიძლიერეს, ამიტომაც ავირჩიე სპეციალობად აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია, განსაკუთრებით საქართველო-ირანის ურთიერთობამ დამაინტერესა.**

— ქართული როგორ ისწავლეთ?

— 1993 წელს იაპონიაში შემთხვევით გავიცანი ბატონი გია ფიფია, რომელმაც ქართული ანბანი და ათეულობით სიტყვა მასწავლა, რის შემდეგაც საქართველოში ჩამოსვლა გადავწყვიტე.

იაპონელმა პროფესორმა, ირანისტმა კითაგავამ, რომელიც სახელოვანი ქართველი მეცნიერების — თამაზ გამყრელიძის, გრიგოლ ბერაძის და სხვათა მეგობარია, მათთან რეკომენდაცია გამიწია. პირველად 1995 წელს ვეწვიე თბილისს. ჟურნალისტმა კაკო მიქაძემ მიმასპინძლა. იგი კარგა ხანს მუშაობდა იაპონიის გაზეთ „ასახის“ მოსკოვის ბიუროში, რომლის დირექტორიც ბიძაჩემი გახლდათ. ბატონ კაკოს მეშვეობით „კავკასიურ სახლში“ ქალბატონ ნაირა გელაშვილს და ახალგაზრდა პოეტ ნინო დარბაისელს დავუკავშირდი. დღეს რომ ქართულად ვლაპარაკობ, ეს ნინოს დამსახურებაა.

თავიდან ქალბატონ ნაირა გელაშვილის, შემდეგ არქეოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარ ბიძინა მურვანიძის ოჯახში ვცხოვრობდი და მის ვაჟებთან საუბრით ვაღრმავებდი ქართულის ცოდნას. სამი თვე ვიყავი მაშინ საქართველოში, გავიცანი აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელმძღვანელები და თანამშრომლები. ბატონ თამაზ გამყრელიძის წინადადებით, 1999 წელს კვლავ ჩამოვედი თბილისში და ორი წელიწადი ამ ინსტიტუტის მაძიებელი გახლდით. ხელმძღვანელებად გრიგოლ ბერაძე და კარლო კუცია დამინიშნეს. საკვლევ ობიექტად ირანის შაჰის კარზე მოღვაწე კავკასიელთა ცხოვრება და ირან-საქართველოს ურთიერთობა ავირჩიე. მასალების საძიებლად ვიყავი თეირანში, ისპაჰანში, თავრიზში, შირაზში, პარიზში. ლონდონსა და ვენაში საერთაშორისო კონფერენციებზე მოხსენებებიც წავიკითხე დიდ ქართველ პოლიტიკოსებზე — თავრიზის ბეგლარბეგ როსტომ-ხან სააკაძესა და ავღანეთში ყანდაჰარის ბეგლარბეგ ოთარ-ხან ბარათაშვილზე.

ინგლისში ყოფნისას ვესტუმრე კემბრიჯის უნივერსიტეტსაც, სადაც რამდენიმე წლის წინათ ამავე უნივერსიტეტის პროფესორმა ჩარლზ მელვილმა აღმოაჩინა ათასორასგვერდიანი ახალი სპარსული ხელნაწერი შაჰ-აბასისა და გიორგი სააკაძის თანამედროვე ფეიქარ-ხანის ვეზირის — ფაძლის ქრონიკები, რომელიც დღემდე გამოუქვეყნებელია. ბატონი მელვილი მას მალე სამზეოზე გამოიტანს. ინგლისელი მეცნიერი ირანისტი გახლავთ და კავკასიის ისტორიას ნაკლებად იცნობს, ამიტომ დამთანხმდა, მეც ვიმუშაო ამ ხელნაწერზე და ის მასალები, რაც საქართველოს შეეხება, ჟურნალ „არტანუჯში“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პერიოდულ გამოცემებში გამოვაქვეყნო.

დარწმუნებული ვარ, „ქრონიკების“ მეშვეობით სპარსეთ-საქართველოს ურთიერთობის ბევრ სიახლეს შევიტყობთ.

— სამომავლოდ კიდევ რა გაქვთ განზრახული?

— როგორც უკვე იცით, ჰოკაიდოს უნივერსიტეტში ვასწავლი. მე და ჩემი სამი მეგობარი მალე ცალკე მონოგრაფიად გამოვცემთ ნაშრომებს კავკასიაზე, რაც პირველი შემთხვევა იქნება იაპონიაში. ასევე სიახლეა ჩვენთან კავკასიის ქვეყნების ისტორიის და, საერთოდ, კავკასიოლოგიის სწავლება. ძალიან მინდა, ჩემს სტუდენტებს ქართული წერა-კითხვაც ვასწავლო, საქართველოს წარსულითა და აწმყოთი დავაინტერესო; ქართული ფოლკლორის, კერძოდ, ქართული სიმღერებისა და ცეკვების სილამაზეს ვაზიარო. მსურს, რომ იაპონელებმა უფრო ახლოს გაიცნონ ის ქვეყანა, რომელსაც საქართველო ჰქვია...

ჩვენთვის საშვილიშვილო საქმე განუზრახავს ახალგაზრდა მეცნიერს ჰიროტაკე მაედას. ღმერთმა ხელი მოუმართოს!

ვაჟა დანელია.

სურათზე: ჰიროტაკე მაედა.

ჯავარ ლომაძის ფოტო.

№ 275, შაბათი, 27 ნოემბერი, 2004 წელი.

გილოცავთ, კოლეგა!

კვლავაც „ახკომური“ ღიმილით!...

აი, ჩვენი მარადიც „დაქალებულა“, მარადი ანასაშვილსაც წლები „წამოეპარვია“, თუმცა, წლებს რა მნიშვნელობა აქვს, მარადი ძველებურად ისევ მიმზიდველია და ახალგაზრდული ღიმილი უკიაფობს თვალებში. იქნებ ეს „ახკომიდან“ მოსდგამს? ჩვენმა ძვირფასმა კოლეგამ ხომ, თავის დროზე, ამ პოპულარულ გაზეთში გაატარა უბედნიერესი წლები, იქცა შესანიშნავ ჟურნალისტად, რომლის სიტყვასაც — უკვე „საქართველოს რესპუბლიკაში“ — დიდი ფასი და ავტორიტეტი აქვს.

გილოცავ, ძვირფასო მარადი, საიუბილეო თარიღს და, რაღა თქმა უნდა, ლექსპრომტით ვამთავრებ ჩემს სათქმელს:

ბელა დურგლიშვილის მეგობრული შარჟი.

მარადის შენი ერთგული —
გიწერ ამ ლექსპრომტს მარადი
და უნდა გითხრა სათქმელი,
რასაც აქამდე ვფარავდი:
მომწონდა, მომწონს მე შენი
მიმოხვრა მ კ ე რ დ ი ს მ ი ე რ ი,
კახური პირდაპირობა
და ხასიათი — ძლიერი.
ხომ ხედავ, დაო, ცხოვრება
ყოფილა ერთი ნახტომი,
მოგაგონდება განვლილი,
მოგენატრება „ახკომი“.
დავლოცავ შენს კარგ ქალობას
და შენი კალმის მიმოსმას,
არ მოგიშალოს უფალმა
თბილის-ყვარელში მიმოსვლა.

შენი
ვილენ მარდალეიშვილი.

ტრადიცია

„ჩვენი სამომავლო გზა კონსტიტუციური მონარქიაა“

25 ნოემბერს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის საქეტო დარბაზში, ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლების, თავადაზნაურთა და მათთან თანადგომის საკრებულოს მორიგი ტრადიციული შეხვედრა გაიმართა.

ხალხით სავსე დარბაზში ბაგრატიონთა, ანდრონიკაშვილთა, ჩოლოყაშვილთა და სხვა წარჩინებული გვარის მამულიშვილებთან ერთად, ქვეყნის ინტელიგენციისა და საზოგადოებრიობის ღირსეული წარმომადგენლებიც შეიკრიბნენ.

— ჩვენი თავყრილობები ყოველი წლის 23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულზე იმართება. წლეულს, ამ დღეს წმინდა სამების ტაძრის კურთხევა მოხდა, „ვარდების რევოლუციის“ წლისთავიც აღინიშნა და ამიტომ ვერ მოხერხდა ჩვენი შეხვედრა, — თქვა თანადგომის საკრებულოს პრეზიდენტმა ია ბაგრატიონ-მუხრანელმა, — ჩვენი მრავალი წარჩინებული გვარის წარმომადგენელი უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაში მოღვაწეობს. პარიზიდან რუსუდან ამირეჯიბის, ნიუ-იორკიდან ძმები ხოსროშვილების მილოცვის დეპეშები მივიღეთ. ჩვენ გვწამს, რომ უფალი იხსნის საქართველოს. თავადაზნაურთა საკრებულოს სურვილია ვაკის პარკში აიგოს წმინდა ილია მართლის სახელობის ტაძარი, რადგან სწორედ იმ ადგილას დახვრიტეს ანდრონიკაშვილები, ბაგრატიონები, ცნობილი კოტე აფხაზი... ყველაფერი უნდა ვიღონოთ მათი საუკუნო ხსოვნისათვის, დასძინა ია ბაგრატიონ-მუხრანელმა.

შეხვედრაზე ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავადაზნაურთა ლიცეუმის მოსწავლეებმა საინტერესო მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ნომრები წარმოადგინეს.

შეკრებაზე საპატიო სტუმრებიც იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატებიდან — ჩვენი თანამემამულე მსახიობი და რეჟისორი ნანა ანდრონიკაშვილი და მისი მეუღლე, ჰერცოგი ჰანს ფონსაქსენალტენბერგი, რომლებიც დალასში ცხოვრობენ და ჩვენს ქვეყანაში დიდ ქველმოქმედებას ეწევიან. როგორც ქალბატონმა ნანამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, მათ ერთობლივად, საქართველოზე ფილმი გადაიღეს, რომელიც ამერიკაში და ევროპის მრავალ ქვეყანაში აჩვენეს. ჰერცოგი ჰანსი ქართულად გამართულად საუბრობს, იგი დაინტერესებულია საქართველოს ისტორიით და კულტურით.

თავადაზნაურთა შეხვედრაზე გვარიშვილობის კავშირის პრეზიდენტმა, პროფესორმა იაკობ ახუაშვილმა საინტერესოდ ისაუბრა საკრებულოს მუშაობის შესახებ.

— ქართველმა თავადაზნაურობამ დიდი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. უკანასკნელ წლებამდე, გასაგები მიზეზების გამო მათი შთამომავლები გაჩუმებული იყვნენ. ბოლშევიკებმა უდანაშაულოდ დახვრიტეს ან გადაასახლეს ჩვენი ღირსეული მამულიშვილები, ცდილობდნენ თავადაზნაურობის დაჩიავებას, მაგრამ მაინც ვერ გადააშენეს. ამ ხალხს კარგის მეტი არაფერი გაუკეთებია. ისინი აშენებდნენ ეკლესია-მონასტრებს, ქალაქებსა თუ რაიონებში დაგვიტოვეს სახლები, სადაც სკოლები, საბავშვო ბაღები და სხვა დაწესებულებები დღესაც მუშაობენ. თავადები კარგი მეომრებიც იყვნენ და ყოველთვის ეროვნული, პატრიოტული შემართებით გამოირჩეოდნენ.

შეხვედრაზე საკრებულოს აქტიურმა წევრმა და ღირსეულმა მამულიშვილმა კოტე ჩოლოყაშვილმა გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა დამსწრე საზოგადოებას და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

ვაი იმ ერს, რომელსაც თავადაზნაურობა არ ჰყოლია, ომში მარტოოდენ გლეხს რა უნდა. გლეხმა ხალხი უნდა გამოკვებოს, დოვლათი უნდა შექმნას. საქართველოში კი ისტორიულად თავადაზნაურები იბრძოდნენ. ჩვენი გადარჩენის ერთადერთი გზაა კონსტიტუციური მონარქია, ამიტომ უნდა გვყავდეს მეფე. ჩვენმა წინაპრებმა ყველაზე დიდი სიბრძნე დაგვიტოვეს ის, რომ მეფე მემკვიდრეობით უნდა აირჩეს, — თქვა შეკრებაზე რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარემ მიხეილ ქურდიანმა.

შეხვედრის დასასრულ ცნობილმა პოეტებმა ნოდარ ჯალაღონიამ და თინათინ მღვდლიაშვილმა საკუთარი ლექსები წაიკითხეს.

შეხვედრას ამშვენებდნენ ქართველი ჩოხოსნები.

ნანა სულავა.
ჯავარ ლომაძის ფოტო.

თითქმის ნატურიდან

როდის იფურთხებიან აქლემები?

— შვილო, რაღაც ჩაფიქრებული ჩანხარ, — უთხრა სკოლიდან დაბრუნებულ შვილიშვილს შიო პაპამ, — მასწავლებელმა რთული ამოცანა მოგცა?

— არა, პაპი, ამოცანა კი იოლად გამოვიყვანე, მაგრამ რაღაც მაინც გაურკვეველი დამრჩა.

— რა, შვილო, მითხარი და დაგეხმარები.

— ვერ გამიგია, აქლემი მართლა იფურთხება?

— კი, აქლემი მაგარი ფურთხისტია, თუ რამე აწყენინე, მაშინვე მოგადორბლებს.

— მოგადორბლებს თუ მომაფურთხებს?

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს. ყოველ შემთხვევაში, კვირას ზოოპარკში წავიდეთ და ერთად გავარკვიოთ, აქლემი მართლა იდორბლება თუ იფურთხება?

— ამოცანაში წერია, იფურთხებაო, და იმიტომ გეუბნები.

— აბა, მაჩვენე!

გოგამ ჩანთიდან „სახალისო მათემატიკა“ ამოიღო და პაპას გაუწოდა. მოხუცმა სათვალე მოიმარჯვა და ამოცანა გულდასმით ჩაიკითხა: „აჩიკო ზოოპარკში ერთდროულად 7 აქლემს აბრაზებდა. თითოეულმა აჩიკოს 3-ჯერ მიაფურთხა. რამდენჯერ მიაფურთხეს აჩიკოს აქლემებმა?“

— მშვენიერი ამოცანაა, — გამხიარულდა შიო პაპა, — ამას მეც სიამოვნებით ამოვხსნიდი.

— ნუ შეწუხდები, პაპი, მე უკვე ამოვხსენი.

— რაო, რამდენჯერ მიუფურთხებიათ? — დაინტერესდა მოხუცი.

— ოცდაერთჯერ, პაპი, ოცდაერთჯერ!

— ყოჩაღ, აქლემებო, — გაიხარა შიო პაპამ, — აი რას ნიშნავს დემოკრატია, ჩემს პატარაობაში აქლემი მოსწავლისთვის მიფურთხებას როგორ გაბედავდა.

— ვისი ეშინოდა? — გაიკვირვა გოგამ.

— მთავრობისა, შვილო, მთავრობისა. მაშინ აქლემი კი არა, მაიმუნი რომ მაიმუნია, იმას რომ ბავშვისთვის (გნებავთ დიდისთვის) მიეფურთხებინა, მაშინვე ჩააყუდებდნენ.

— ახლა?

— ახლა დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ, ხომ ხედავ, პატარა აჩიკოს ოცდაერთჯერ მიაფურთხეს აქლემებმა, მაგრამ განათლების სამინისტროს პროტესტიც კი არ განუცხადებია.

— კვირას, ზოოპარკში რომ წავალთ, ჩვენც მოგვაფურთხებენ? — აცმუკდა გოგა.

— რატომაც არა, შვილო, აქლემებისთვის ეგ რა პრობლემაა.

— რამდენჯერ მოგვაფურთხებენ?

— რამდენჯერაც მოვისურვებთ. თუ მაძღარია და თანაც კარგ გუნებაზე, შეიძლება ორმოცდაათჯერაც მოგვაფურთხოს.

— მერე, მაგდენ ფურთხს რა გაუძლებს? — შეწუხდა პატარა.

— პირსახოცი წავიღოთ და მოვიწმინდოთ.

— ხომ შეიძლება კარგად ვერ დაგვიმიზნოს და ჩვენს მაგივრად სხვას მიაფურთხოს?

— ნუ ჯავრობ, შვილო, რადგან აქლემები იფურთხებიან, უნდა ვივარაუდოთ, რომ მნახველები ზოოპარკში პირსახოცებით დადიან.

— მაგრამ ხომ შეიძლება აქლემი უხასიათოდ იყოს და არ მოგვაფურთხოს?

— რატომაც არა, შვილო, ყველაფერია მოსალოდნელი.

— მაშინ რა ვქნათ?

— ასეთ შემთხვევაში „სახალისო მათემატიკის“ ავტორი უნდა მოვძებნოთ და სასწრაფოდ ზოოპარკში წავიყვანოთ.

— შენ გგონია, მას კი ნამდვილად მიაფურთხებენ?

— რა თქმა უნდა, თავის დროზე რომ არ მიეფურთხებინათ, ამოცანას ჰაერზე ხომ ვერ შეადგენდა?

— საინტერესოა, როგორ შეძლო აქლემების გაბრაზება?

— ადგილზე რომ მივიყვანთ, ყველაფერი გამოჩნდება. შეიძლება აქლემები არც გააბრაზოს და სულაც სასკოლო რეფორმის ხათრით აფურთხებინოს.

— დავიჯერო, პაპი, აქლემებიც ერკვევიან რეფორმაში?

— აბა, როგორ, შვილო, სულელები ხომ არ არიან, ტყუილუბრალოდ იფურთხონ!

ოთარ ხუციშვილი.

ჩვენებურები

გუიარდების რძალს ლობიოს შეკმაზვაც ეხერხება

საერთაშორისო ოსტატ ნინო მაისურაძეს იმ დროიდან ვიცნობ, ცეროდენა გოგონა საჭადრაკო მაგიდას ძლივს რომ წვდებოდა. არაერთ შეჯიბრებაში ისახელა თავი. ჯერ კიდევ 9 წლისამ რუმინეთის საერთაშორისო ტურნირში მეორე ადგილი დაიკავა. არადა, ბევრად უფროსებს ეთამაშებოდა. თბილისის მრავალგზის ჩემპიონია, სხვადასხვა ასაკში საქართველოს პირველობების პრიზიორმა ჩეხეთში თექვსმეტწლიანთა საერთაშორისო ტურნირი მოიგო, ჰოლანდიაში ქალთა ტურნირზე კი მესამე ადგილი დაიკავა.

ნინო ახლა 22 წლისაა, პარიზში ცხოვრობს, ფრანგების რძალია. ამას წინათ მშობლებს ჩამოაკითხა და რედაქციაშიც გვესტუმრა.

— ჩემი მეუღლე რუდოლფ გუიარდი ინტერნეტით გავიცანი, — მითხრა მან, — ბლიცპარტიებს ვეთამაშებოდი. მერე სურათებიც გავუგზავნეთ ერთმანეთს. ხუთი თვის შემდეგ რუდოლფი თბილისში ჩამოვიდა, ჩემს ოჯახს გაეცნო. შარშანწინ პარიზში ვესტუმრე, მის მშობლებს შევხვდი და ნიცაში საერთაშორისო ტურნირზეც გავიმარჯვე.

— როდის დაქორწინდით?

— შარშან ივლისში. რუდოლფი კათოლიკე იყო, მაგრამ ჩემი ხათრით მართლმადიდებლურად მოინათლა და ჯვარი ქაშუეთში დავიწერეთ.

— ჭადრაკისთვის თავი ხომ არ დაგინებებია?

— პირიქით, ოჯახი ხელს მიწყობს და უფრო ინტენსიურად ვვარჯიშობ, შეჯიბრებებშიც რეგულარულად ვმონაწილეობ. რეიტინგი რამდენიმე ათეული პუნქტით გავიუმჯობესე. საფრანგეთში მეხუთე შედეგი მაქვს ელმირა სკრიპჩენკოს, მარი სებაგის, სილვია კოლა-ალექსიევას და სოფი მილიეს შემდეგ. ერთ წელიწადში, ალბათ, საფრანგეთის მოქალაქეობას მივიღებ და ყოველმხრივ ვეცდები, 2006 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე ამ ქვეყნის სახელით ვიასპარეზო.

— სავარჯიშო პირობები როგორი გაქვს?

— ერთი წელიწადი საჭადრაკო კლუბ „ოლანვილის“ შემადგენლობაში გამოვდიოდი. ახლა „ესერთან“ გავაფორმე კონტრაქტი. ამ კლუბის პირველ გუნდში არტურ იუსუპოვი, იუდით პოლგარი და პია კრამლინგი თამაშობენ. მე მეორე გუნდის ღირსებას ვიცავ, თანაც ვაჟთა დაფაზე, რადგან, იქაური წესებით, ევროკავშირის წევრი ქვეყნიდან თუ არ ხარ, ქალთა დაფაზე ვერ ითამაშებ. ვაჟებს არ ზღუდავენ. კლუბის პრეზიდენტი მარკ პერინი მპირდება, რომ მოქალაქეობის მიღების შემდეგ პირველ გუნდში გადამიყვანს. პერსონალური მწვრთნელი დამინიშნეს, რამდენჯერმე კონსულტაციები იუსუპოვთანაც გავიარე. საფრანგეთის გუნდურ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის თითოეულ პარტიაზე სოლიდურ თანხას მიხდიან. თან ნორჩ მოჭადრაკეებსაც ვავარჯიშებ. მართალი გითხრათ, ასეთ პირობებზე ვერც ვიოცნებებდი.

— ქართულ ტრადიციებზე გაზრდილს ფრანგებთან შეგუება არ გაგიჭირდა?

— უცხოდ ნამდვილად არ ვგრძნობ თავს, რადგან ჩემი ქმრის ოჯახს ქართველებთან დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებს. ემიგრანტები ლევილში ქართულ გაზეთს გამოსცემდნენ და რუდოლფის ბაბუას იმ სტამბაში უმუშავია. ჩემი მამამთილი პიერ გუიარდი ყოფილი მფრინავია, კარგა ხანს საავიაციო ქარხანაში უმსახურია. იქ დაახლოებია მირიან მელუას — ვასილ ბარნოვის შვილიშვილს. ოჯახებით მეგობრობენ. მელუებს რომ გაუგიათ, გუიარდებს ქართველი რძალი ჰყავთო, ძალიან გახარებიათ. ძმები — მირიან და ლუკა მელუები ოჯახებით შინ ხინკალზე დავპატიჟეთ. მათი მეშვეობით ლევილის ქართულ საზოგადოებას დავუახლოვდი. პარიზის ქართულ ეკლესიაში ხშირად ვესწრები მამა არჩილის წირვა-ლოცვებს, ვმონაწილეობ ღონისძიებებში, რომელთა ორგანიზატორები არიან ძმები მელუები. განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო საქართველოს პრეზიდენტის — ბატონ მიხეილ სააკაშვილის სტუმრობა ლევილელ ქართველებთან. საერთოდ „ვარდების რევოლუციამ“ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იქაურ ემიგრანტებზე.

— ოჯახის წევრებთან ურთიერთობაში ენობრივი ბარიერი ხომ არ გიშლის ხელს?

— ინტერნეტით გაცნობისას რუდოლფს ინგლისურად ვესაუბრებოდი, შემდეგ ფრანგული ენა ვისწავლე. ახლა გამართულად ვლაპარაკობ. მეუღლეს ქართული წერა-კითხვა ვასწავლე.

ლევილელ თანამემამულეებს ქართულად ველაპარაკები. ისინი ხშირად იყრიან თავს ღონისძიებებზე. წლეულს ზაფხულს ბატონმა მირიანმა ემიგრანტებს უხმო და კონკურსი გამართა... ლობიოს ქართულად შეკმაზვაში. ჟიურიმ არ იცოდა, კერძი ვისი მომზადებული იყო. პირველი ადგილი თავად ორგანიზატორს ხვდა. მეორე ადგილი მისმა მეუღლემ ქალბატონმა ელიანმა დაიკავა. კონკურსის შემდეგ იგი ქმარს გაებუტა — ჩემგან ისწავლა ლობიოს მომზადება და როგორ მაჯობაო. მესამე ადგილზე მე გავედი.

— გეტყობა, ქართული კერძების მომზადება გცოდნია...

— ჰო, გათხოვებამდე დედას ვეხმარებოდი, დედამთილ-მამამთილიც შევაჩვიე ქართულ კერძებს. ჩემმა ქმარმა აქ სულგუნს გემო რომ გაუსინჯა, სხვა ყველს აღარ მიირთმევს. სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ ვახერხებ სამზარეულოში ტრიალს, რადგან ჭადრაკი დიდ დროს მართმევს.

— სამომავლოდ რას აპირებ?

— ცხადია, დიდოსტატობას და, როგორც გითხარით, საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე გამოსვლას. ვფიქრობ, ოცნებას ავისრულებ...

ესაუბრა
ვაჟა დანელია.

P.S. **ინტერვიუ მზად მქონდა დასაბეჭდად, რედაქციაში ნინო მაისურაძის მამა — ბატონი ანდრო რომ მესტუმრა. მე და ჩემი მეუღლე პარიზში ვიყავით — მძახლები და მელუების ოჯახი გავიცანითო, მითხრა, კმაყოფილი იყო შვილის ბედნიერებით. ქართველ ემიგრანტთა ჟურნალი, ლუკა მელუასთან და გუიარდებთან გადაღებული სურათი დამიტოვა, რომელსაც აქვე გთავაზობთ.**

სურათებზე: ნინო და რუდოლფი; მარცხნიდან — ცარო მაისურაძე, მიშელ გუიარდი, ლუკა მელუა, პიერ გუიარდი და ანდრო მაისურაძე.

ჭიდაობა

აღდგენილი ტურნირი

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონისა და ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორის, სპორტის დამსახურებული ოსტატის გურამ საღარაძის სახელობის პრიზის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც შეტანილია საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის კალენდარში, უკანასკნელ წლებში სხვადასხვა მიზეზის გამო აღარ იმართებოდა.

სასიხარულოა, რომ ტურნირი წლეულს აღსდგა. იგი ამბროლაურის სპორტულ დარბაზში ჩვენი ქვეყნის 10 ქალაქის 180 კადეტი მოჭიდავის მონაწილეობით ამას წინათ გაიმართა.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს წონითი კატეგორიების მიხედვით: 26 კგ — გიორგი გოცირიძე (ამბროლაური), 29 კგ გიორგი ნოზაძე (ახალციხე), 32 კგ — ოთარ გოგავა (ხონი), 35 კგ — ალეკო ხაჩატურიანი (ყვარელი), 38 კგ — თორნიკე ბურჯალიანი (ცაგერი), 42 კგ — გიორგი ხუციშვილი (საგარეჯო), 47 კგ — გიორგი გაბისიანი (ამბროლაური), 53 კგ — ზურაბ ალადაშვილი (ყვარელი), 59 კგ — დათო გალეგაშვილი (გორი), 66 კგ — ნიკოლოზ რეხვიაშვილი (ონი), 73 კგ — მიხეილ ლეფხორაშვილი (ლევან თედიაშვილის სახელობის სპორტული კლუბი), 85 კგ — თორნიკე ხიდაშელი (ონი), — + 85 კგ — ნოდარ ხელაშვილი (მცხეთა, ლ. თედიაშვილის სახელობის კლუბი).

გურამ საღარაძემ თავისი სახელობის სპეციალური პრიზით 47 კგ წონაში გამარჯვებული გიორგი გაბისიანი დააჯილდოვა.

ფეხბურთი

მხოლოდ შედეგები

უეფას თასის გათამაშების ჯგუფური რაუნდის III ტური

„ა“ ჯგუფი. „შალკე“ — „ფერენცვაროში“ 2:0 (მეორე გოლი **ლევან კობიაშვილმა** გაიტანა), „ბაზელი“ — „ჰართსი“ 1:2. ისვენებდა „ფეიენოორდი“.

„შალკე“ — 7, „ფეიენოორდი“ — 4, „ჰართსი“ — 3, „ბაზელი“, „ფერენცვაროში“ — 1-1 ქულა.

1 დეკემბერს ითამაშებენ: „ფეიენოორდი“ — „შალკე“, „ფერენცვაროში“ — „ბაზელი“.

„ბ“ ჯგუფი: „სტიაუა“ — „ბეშიქთაში“ 2:1, „სტანდარდი“ — „პარმა“ — 2:1. ისვენებდა „ბილბაო“.

„სტიაუა“ — 6, „ბეშიქთაში“, „ბილბაო“, „სტანდარდი“, „პარმა“ — 3-3 ქულა.

1 დეკემბერს ითამაშებენ: „ბილბაო“ — „სტიაუა“, „ბეშიქთაში“ — „სტანდარდი“.

„გ“ ჯგუფი. „დნეპრი“ — „აუსტრია“ 1:0, „ბრიუგე“ — „უტრეხტი“ 1:0. ისვენებდა „სარაგოსა“.

„დნეპრი“ — 9, „სარაგოსა“, „ბრიუგე“, „აუსტრია“ — 3-3, „უტრეხტი“ — 0 ქულა.

1 დეკემბერს ითამაშებენ: „აუსტრია“ — „ბრიუგე“, „სარაგოსა“ — „დნეპრი“.

„დ“ ჯგუფი „დინამო“ (თბილისი) — „სპორტინგი“ 0:4, „სოშო“ — „ნიუკასლი“ 0:4. ისვენებდა „პანიონიოსი“.

„ნიუკასლი“ — 9, „სპორტინგი“ — 6, „სოშო“ — 3, „პანიონიოსი“, „დინამო“ (თბილისი) — 0-0 ქულა.

1 დეკემბერს ითამაშებენ: „სპორტინგი“ — „სოშო“, „პანიონიოსი“ — „დინამო“ (თბილისი).

„ე“ ჯგუფი. „ვილიარეალი“ — „მიდლსბრო“ 2:0, „ლაციო“ — „პარტიზანი“ 2:2. ისვენებდა „ეგალეო“.

„მიდლსბრო“ — 6, „პარტიზანი“, „ვილიარეალი“ — 4-4, „ლაციო“ — 2, „ეგალეო“ — 0 ქულა.

2 დეკემბერს ითამაშებენ: „პარტიზანი“ — „ვილიარეალი“, „ეგალეო“ — „ლაციო“.

„ვ“ ჯგუფი. „რეინჯერსი“ — „გრაცერი“ 3:0 (მეორე გოლი **შოთა არველაძემ** გაიტანა), „ამიცა“ — „ალკმაარი“ 1:3. ისვენებდა „ოსერი“.

„რეინჯერსი“, „ალკმაარი“ — 6-6, „გრაცერი“ — 4, „ოსერი“ — 1, „ამიცა“ — 0 ქულა.

2 დეკემბერს ითამაშებენ: „ალკმაარი“ — „რეინჯერსი“, „ოსერი“ — „ამიცა“.

„ზ“ ჯგუფი. „ბენფიკა“ — „დინამო“ (ზაგრები) 2:0“, „ჰერენვეენი“ — „შტუტგარტი“ 1:0. ისვენებდა „ბევერენი“.

„შტუტგარტი“, „ბენფიკა“ — 6-6, „დინამო“ (ზაგრები), „ჰერენვეენი“ — 3-3, „ბევერენი“ — 0 ქულა.

2 დეკემბერს ითამაშებენ: „დინამო“ (ზაგრები) — „ჰერენვეენი“, „ბევერენი“ — „ბენფიკა“.

„თ“ ჯგუფი. „ზენიტი“ — „სევილია“ 1:1, „აეკი — „ლილი“ 1:2. ისვენებდა „ალემანია“.

„ლილი“ — 6, „ზენიტი“, „სევილია“ 4-4, „ალემანია“ — 3, აეკი — 0 ქულა.

2 დეკემბერს ითამაშებენ: „სევილია“ — აეკი, „ალემანია“ — „ზენიტი“.

ჭრელაჭრულა

10 ათასი დოლარი თვეში

ოკეანესგაღმა დაიწყო სადაზღვევო ფონდიდან გასამრჯელოს გადახდა ჰოკეისტთა პროფკავშირის წევრებისათვის. „730 წევრიდან თითოეული თვეში 10 ათას დოლარს მიიღებს“, — განაცხადა პროფკავშირის სადაზღვევო ფონდის უფროსმა დირექტორმა ტედ სასკინმა. ეს აქცია დაუკავშირდა 30 ნოემბერს — დღეს, როდესაც ჰოკეის ეროვნული ლიგის წესებით, მოთამაშეებს ხელფასს უხდიდნენ. პროფკავშირებს კარგად ესმით, რომ მეოთხე გადაუხდელობა (ჰოკეისტებს არ მიუღიათ ჩეკები 15,30 ოქტომბერსა და 15 ნოემბერს) გამოიწვევდა მასობრივ პროტესტს მისი ლიდერებისადმი, რომლებსაც ახლა ლიგისადმი შეურიგებელი პოზიცია უჭირავთ.

შეგახსენებთ, რომ ჰოკეის სადაზღვევო ფონდი იქნებოდა რამდენიმე წლის განმავლობაში, როცა ჰოკეისტები ყოველთვიურად მას ურიცხავდნენ ხელფასის რამდენიმე პროცენტს. ცნობილია, რომ უფრო ძლიერი სადაზღვევო ფონდი შექმნეს გუნდების მფლობელებმა გაჭიანურებული ლოკაუტის შემთხვევისათვის.

ჩინაყრილი „იუვენტუსი“?

შესაძლებელია, იტალიის საფეხბურთო კლუბს „იუვენტუსს“ ჩამოართვან ის ოთხი საპატიო ტიტული, რაც მან ბოლო წლებში მოიპოვა. ამას დაადგენს ტურინის სასამართლო, რომელიც განიხილავს ამ კლუბის ფეხბურთელების მიერ დოპინგის გამოყენებისა და 90-იან წლებში მისი ხელმძღვანელობის ყალთაბანდობის საქმეს, რაც 1998 წლიდან გრძელდება, როცა „ლეჩეს“ ახლანდელმა დამრიგებელმა ზდენეკ ზემანმა „იუვენტუსის“ მოთამაშეების დაადანაშაულა აკრძალული ნივთიერებების გამოყენებაში.

შესაძლებელია, ტურინელთა კლუბს ჩამოართვან 1994-1998 წლებში მოპოვებული ნადავლი — ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული 1996 წელს და იტალიის ჩემპიონობა 1995, 1997 და 1998 წლებში.

„დოპინგის საქმეში“ ჩათრეულნი არიან ცნობილი ფეხბურთელები — ზინედინ ზიდანი, ჯანლუკა ვიალი და რობერტო ბაჯო, რომლებიც იმ დროს „ბებერი ქალბატონის“ ღირსებას იცავდნენ.

კოლეგამ მიასიკვდილა

ამერიკაში ჯერ კიდევ არ ჩამცხრალა კალათბურთის ეროვნული ასოციაციის კლუბების „დეტროიტ პისტონზისა“ და „ინდიანა პეისერზის“ მატჩის დროს ატეხილი ხელჩართული ჩხუბით გამოწვეული ვნებათაღელვა და უკვე ახალი სკანდალი აგორდა, ამჯერად „თავი გამოიჩინეს“ ამერიკული ფეხბურთის NEL ლიგის მოთამაშეებმა.

80 ათასი გულშემატკივარი იყო მოწმე, თუ კაროლინაში კოლეჯების გუნდების Clemson lf SCU მატჩზე ერთმა მოთამაშემ როგორ სასტიკად სცემა მეტოქეს, რაც კინაღამ მასობრივ ცემა-ტყეპაში გადაიზარდა.

გუნდის Clemson მოთამაშე იუსეფ კელი ფეხით შესდგა მეტოქე გუნდის ფეხბურთელს ჩარლზ სილასს. მოგვიანებით მან ჟურნალისტებს გაუმხილა, რომ სულაც არ ნანობს მომხდარზე, რადგან „ჩვენს გულშემატკივრებს უყვართ ასეთი რამ. მე, უეჭველად, მათ ძალზე ვასიამოვნე“.



რასაკვირველია, ამერიკული ფეხბურთი ძალზე კონტაქტური თამაშია, ხოლო მისი ზოგიერთი მომენტი ჩხუბს მოგვაგონებს. მაგრამ იმას, რაც კაროლინაში მოხდა, ხულიგნობის მეტს ვერაფერს ვუწოდებთ.

როგორც ამბობენ, კელის ხანგრძლივი დისკვალიფიკაციის გარდა, სასამართლოც მოელის.

ლამაზმანი გარეკანიდან

როგორც ამბობენ, სილამაზე — სილამაზისაკენ, ხოლო ფული ფულისაკენ მიისწრაფვის. თუ გსურთ უამრავი ლამაზმანის ხილვა, მაშინ ან ავტოსალონს ანდა რბოლებს უნდა დაესწროთ. ამ იდეას ადასტურებენ მოტორშოუს ორგანიზატორები, რომელიც დეკემბერში იტალიის ბოლონიაში გაიმართება. ლამაზმანები იქ „თავზესაყრელად“ იქნებიან. მათ შორის ყველაზე უფრო გამოირჩევა ჯულია დი კილიო. ამ ქალიშვილის სილამაზემ და ფოტოგენურობამ ის მსოფლიოს ერთობ პოპულარულ მოდელად აქცია. მაგრამ ჯულიას მარტო რეკლამისტისთვის კი არ იღებენ, მის აქტივში უფრო „დიდი“ ჟანრიცაა — მაგალითად, კინოფილმში გადაღება.

მაგრამ აქ ლაპარაკია სულ სხვა რამეზე — დი კილიო მონაწილეობას მიიღებს კალენდრის Elaborare სარეკლამო კამპანიაში. ის კი დეკემბერში გამოვა ჟურნალთან Eurosport ერთად.

ბაზარზე კონკურენცია ძალზე სერიოზულია, მაგრამ, როგორც ჩანს, Elaborare-მ სწორი ნაბიჯი გადადგა.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 275, შაბათი, 27 ნოემბერი, 2004 წელი.

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

ალექსანდრე წუწუნავა (მეორე რიგში თეთრ კოსტიუმში), სტუმრად ჭიათურის დასის წევრებთან. 1939 წელი.

მოგვაწოდეს მიხეილ კუსიანის ოჯახის წევრებმა.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

ფოტოების მომწოდებელთ ვთხოვთ, რომ დაბეჭდვიდან ერთი კვირის ვადაში მოაკითხონ რედაქციას გამოქვეყნებული სურათების წასაღებად.

აჲა

იმედით ცოცხლობს

რედაქციაში ხანშიშესული, შავოსანი მოხუცი ქალი გვესტუმრა. ბარათი დაგვიტოვა და წავიდა. გაცრეცილი წერილი საგულდაგულოდ იყო დაკეცილი, ეტყობოდა, დამწერს დიდი ხნის დაწერილი ჰქონდა. ის მარტოხელა ქალი, გაგრიდან დევნილი, მნათობი ბესელია გამოდგა.

შარშან, როცა საქართველოში რევოლუციის ცეცხლი გიზგიზებდა, ქალბატონი მნათობი სხვათა გვერდით იდგა. ამის დასტურია შარშანვე, 23 ნოემბერს გადაღებული ფოტო მოხუცი ქალი პრეზიდენტის სურათით ხელში (რომელიც გაზეთ „მთელი კვირის“ პირველ გვერდზეა დაბეჭდილი). გაჭირვებამ, იმ იმედმა მიიყვანა, იქ, რომ ბატონი მიხეილ სააკაშვილი უშუქობას, უმუშევრობას... ბოლოს მოუღებდა და საქართველოს დამცველი და აღმშენებელი გახდებოდა.

დღეს მიხეილ სააკაშვილი მართლაც საქართველოს პრეზიდენტია, მისი დაპირებები უკვე მთელი ერთი წელიწადია დროდადრო სრულდება. ხვალ და ზეგ ალბათ კიდევ უფრო მეტი გაკეთდება.

მნათობი ბესელია ახლა დროებით, თბილისში ბაქრაძის №8-ში პირველ სართულზე, საკუჭნაოში ცხოვრობს.

– რამდენჯერმე მივმართე თხოვნით, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მაშინდელ სამინისტროს, დღევანდელ უფროსობასაც განვუცხადე ჩემი გასაჭირი, დავეკმაყოფილებინე, ჩავესახლებინე თუნდაც ლტოლვილთა საერთო საცხოვრებელში, მაგრამ ამაოდ, პენსიაც კი შემიწყვიტეს, სოციალურ დახმარებაზეც უარი მითხრეს. ახალ სიაში არა ხარო რეგისტრირებული. მახლობელი ნათესავებიც არა მყავანან, ერთი და მყავდა – როზა ბესელია, ბათუმში ცხოვრობდა, წლეულს, ზაფხულში ასლან აბაშიძის ძაღლმა ხელები დაუკბინა. ექიმების უმეთვალყურეოდ, არ ვიცი, რა მოხდა, ქალი საავადმყოფოში გარდაიცვალა. იქაც მთავარი ექიმი გვარად აბაშიძე იყო.

სამართლის საძიებლად, სად წავიდე, ვის მივმართო, აღარ ვიცი. საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ბევრს არაფერს ვთხოვ, ცოტა ყურადღება მოგვაქციონ, ჩემსავით მარტოხელა დევნილებს, მოხუცებს ხომ ბევრს ლუკმა-პურიც ენატრება. უკვე მკვდარი ვიქნებოდი, ღვთისნიერი მეზობლები რომ არ მყავდნენ.

რა ვუთხრა ბედ-უკუღმართ ცხოვრებას, დევნილობას, თორემ ჩემს კუთხეში – ბიჭვინთაში დაბადებულ-დაბერებულს, რა გამიჭირდებოდა!

რიტა ჩაკვეტაძე.

კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს

გურამ ქარქაშაძის ხსოვნას

ჭკუისსაკითხავ კაცად გიცნობდა შენი სამეგობრო. ხალხმრავლობა გიყვარდა, ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყავი და ამას ახერხებდი უხმაუროდ, უჩუმრად. გიყვარდა მეგობრები და უყვარდი მათ. უთქმელად გრძნობდი თითოეული მათგანის ლხინსა და ჭირსაც. უპირველესად შენ გამოჩნდებოდი იქ, სადაც კაცს უჭირდა, და ამ სიკეთესაც უჩუმრად აკეთებდი. შენი მეგობრების დაბადების დღეების მემატიანე იყავი, ბევრჯერ სუფრაც გაგიწყვია „გულმავიწყი“ იუბილარისთვის. ასეთი იყავი და სხვანაირად არც შეგეძლო. ორგზის გენერალი იყავი და შენს „სამოქალაქო“ მეგობრებს გენერლის ფორმით არ გვინახიხარ, არ გიყვარდა სხვებისგან გამორჩევა. შენს წარმატებას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდი, სხვისით კი აღტაცებული იყავი, ყოველთვის მეგობრების წარმატების გამზიარებელი. ეს შენი გამორჩეული თვისება იყო.

გიყვარდა შენი პროფესია. შენ ხომ დამნაშავის სიმართლესაც ეძებდი და არაერთხელ გადაგირჩენია მავანთაგან განწირული კაცი. სუფთად იარე შენი პროფესიის რთულ გზაზე და წონასწორობა მაშინაც არ დაგიკარგავს, როცა სისტემის ყველაზე მთავარი გამომძიებელი გახდი. სწორედ შენნაირ კაცს უნდა ებაროს ადამიანების ბედი.

გავვოცდით, როდესაც სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე თეატრალურ ინსტიტუტში მოგვიწვიე. თუმცა, შემდეგ აღტაცებული ვუსმენდით შენს სამეცნიერო მოხსენებას დიდი აკაკი ხორავას შემოქმედებაზე. წიგნიერმა კაცმა იცოდი, რა წაადგებოდა შენს ქვეყანას და იმას აკეთებდი. ამიტომ გამოვედით დაცვის საბჭოს ოთახიდან აღტაცებულები – შენით ვამაყობდით.

ნათელ-მირონის კაცი იყავი და ამ მადლიან საქმესაც დიდი პასუხისმგებლობით აკეთებდი, იცოდი მართლმადიდებლობის ფასი, ღვთისმოშიში იყავი, ბევრჯერ გვინახიხარ ქართული სალოცავებით აღტაცებული.

მთელი საქართველო გულწრფელი სიყვარულით გიყვარდა, მაგრამ მაინც გამორჩეულად შენი თერჯოლა და ღვანკითი. სახე გაგებადრებოდა სოფლის ხსენებაზე. ბევრი რამ გააკეთე შენი კუთხისთვის და ბევრის გაკეთებას აპირებდი. შენი სახელი სიცოცხლეშივე მიანიჭეს იმ სკოლას, სადაც სწავლობდი. არ გაგვკვირვებია, რადგან შენ ყოველთვის გამორჩეული ქველმოქმედი იყავი. გეგმებიც ბევრი გქონდა. არ დაგცალდა, მაშინ წაიქეცი, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდი შენს ქვეყანას. მეხის გავარდნას ჰგავდა შენი სიკვდილი შენი შესანიშნავი ოჯახისთვის, მეგობრებისთვის. შენი საწუთროდან წასვლით ჩვენ მეგობრობის ლედაბოძი წაგვექცა. ვაი რომ, დიდხანს ვერავინ აღადგენს მას.

შენი წასვლით კიდევ ერთი ღირსეული კაცი დააკლდა საჩვენოს.

ეს წერილი შენი მეგობრების გამოსათხოვარია, იმ ხალხის ცრემლიანი მოგონებაა, შენ რომ ძალიან გიყვარდა. ისე კი... სანამ ჩვენი საძმოდან თუნდაც ერთი მაინც დარჩება ამ ქვეყანაზე, შენც ჩვენ გვერდით იქნები, ყოველთვის გვემახსოვრები.

შენი მეგობრები.

გიხაროდენ!

ის ეთი ბიჭი დაბადებულა!...

ძვირფასო რედაქცია, ჩემს რძალს ელიკოს და ვაჟს გიგის 24 ნოემბერს ვაჟი შეეძინათ. ისეთი ბიჭია, ავ თვალს არ დაენახვება. მშობლებმა პატარას ჩემი სახელი ირაკლი დაარქვეს.

ამაღლდა ჭერი, ჩემი სეხნია ჩვენთვისაც პირველი შვილიშვილია და ჩემი მძახლებისთვისაც. ამ ანგელოზმა მართლაც ფრთები შეგვასხა.

პირველ შვილს ვულოცავ ჩემს ელიკოს და გიგის, ბედნიერება, შვილთა სიმრავლე და სიხარული ნუ მოაკლოს ღმერთმა.

ირაკლი დიდიძე.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

ფესტივალი

„თბილისური აისის“ ჰორიზონტები

სამ დღეს გრძელდებოდა საკონკურსო ფილმების ჩვენება მოყვარულთა ფილმების ფესტივალზე „თბილისურ აისზე“, რომელიც სტუდია „პიონერფილმის“ თაოსნობით და საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის თანადგომით მოეწყო. საქართველოს სხვადასხვა ქალაქის, კერძოდ – თბილისელ, ბათუმელ, ქუთაისელ, თელაველ, რუსთაველ, ზუგდიდელ კინომოყვარულთა შემოქმედება 50-ზე მეტი ნამუშევრით იყო წარმოდგენილი.



წლეულს მეორედ „თბილისურ აისში“ მოყვარულებთან ერთად მონაწილეობდნენ ნახევრად პროფესიონალებიც – სასწავლო სტუდიების სტუდენტები: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან, შ. რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტიდან, ტელე-რადიო ინსტიტუტიდან, სამხატვრო აკადემიიდან. ფესტივალზე მოყვარულთა ფილმების საერთაშორისო ფედერაციამ „უნიკამ“ გამოგზავნა ფილმები – ავსტრიელი, ინგლისელი, გერმანელი, დანიელი, პოლონელი, ტუნისელი, ნორვეგიელი, ფინელი, შვედი მოყვარულების ნამუშევრები...

საგულისხმოა, რომ ფესტივალის ყველაზე სტაჟიანი კინომოყვარული გახლდათ აკადემიკოსი ჯუმბერ ლომინაძე, რომელიც ფილმებს 1954 წლიდან იღებს, ყველაზე პატარა კინომოყვარული კი 5 წლის ნიკა ჩიგოგიძე იყო.

ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ კინორეჟისორები: ბიძინა რაჭველიშვილი და ბონდო შოშიტაიშვილი, კინოოპერატორები ირაკლი ონოფრიშვილი და გია ჩაჩუა, საქართველოს დამსახურებული არტისტი ნანული სარაჯიშვილი, მუსიკათმცოდნე ცისანა ბოტკოველი, კინოსცენარისტი ქეთევან პატარაია, კინო-ფოტო-ფონო დოკუმენტების სახელმწიფო არქივის დირექტორი მარლენ კიტია (ჟიურის თავმჯდომარე), მთავარი პრიზი, გრან პრი მიანიჭა ქუთაისელ კინომოყვარულს დავით ნანობაშვილს ფილმისთვის „მირონმდინარე ხატები“, I ადგილით დაჯილდოვდა თელავის სტუდია „ქაღალდის წერო“ წარმოდგენილი პროგრამისთვის. სტუდენტურ ნამუშევართა შორის გამოირჩა ტექნიკური უნივერსიტეტის ფილმი „შავნაბადა“ (ავტორი თეონა სომხიშვილი).

პრიზი საუკეთესო დოკუმენტური და სამეცნიერო ფილმებისთვის მოიპოვეს ლია ჯანელიძემ (კარდიოლოგიის ცენტრი) და ბათუმელმა ზაურ მარგიევმა („ჩინელი ლაოს მეორე სამშობლო“).

– დიდი მადლობა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირს მხარში ამოდგომისთვის და ჟიურის წევრებს ერთგულებისთვის, – აღნიშნა „პიონერფილმის“ დირექტორმა გრიგოლ ჩიგოგიძემ, – მადლობა ყველა კინომოყვარულს, რომლებიც რთული პირობების მიუხედავად, თავიანთ გატაცებას არ ღალატობენ და ჩვენს ფესტივალში მონაწილეობენ, წლეულს ბევრი ახალი კინომოყვარული გავიცანით და გვიხარია, რომ მათი რიცხვი უფრო და უფრო იზრდება.

რუსუდან მუხაძე.

ცოტაც გავიღიმოთ...

– რა არის შენთან ახალი? – ეკითხება ძაკაცი ნიკიტას.

– გუშინ დავქორწინდი. ცოლი ავტოინსპექციაში მუშაობს.

– მერე რატომ ხარ მოწყენილი?

– ცოლმა პირველივე საქორწინო ღამით სიჩქარის გადაჭარბებისა და უადგილო ადგილას შეჩერებისთვის დამაჯარიმა.

* * *

მშობიარობა – პიროვნების გაორების მძიმე შემთხვევა.

* * *

ჩემი ქმარი სუფთა სულელია. ჩემი ბავშვები უბრალოდ მხეცები არიან, დედამთილი კი ისეთი არარაობა მყავს, ლაპარაკიც არ ღირს. ამიტომაც თქვლეფენ ყოველდღე სალაფავს.

* * *

მშობლებო, გახსოვდეთ, რომ უმეთვალყურეოდ დარჩენილი პატარა ბავშვები ძალიან მალე იქცევიან პატარა მშობლებად!

* * *

ვაქცინაციის, შემდეგ ექიმისთვის დასმული ყველაზე პოპულარული კითხვები:

ქალები: ბანაობა შეიძლება?

კაცები: დალევა შეიძლება?

აქედან დასკვნა: ქალისთვის ძირითადი პრობლემა არის ის, რომ იგი ჭუჭყიანია. კაცისთვის მთავარი პრობლემა კი არის სიფხიზლე.

* * *

საყვარელო, არ გეჩვენება, რომ მართლაც მშვენიერი დღე თენდება? – ეკითხება დილით ფანჯარასთან მდგომი ქმარი ცოლს.

– ამით რისი თქმა გსურს, ძვირფასო?

– თქმა კი არა, შეხსენება. ხომ მითხარი, ერთ მშვენიერ დღეს შენგან წავალო!

* * *

რაც უფრო კარგად ხედავ მკერდს, მით უფრო ცუდად გახსომდება სახე.

* * *

– მართლაც იდიოტი ხარ, დებილი, სულელი! ვერ ხედავ, კატაც გავიტანეთ! – ეჩხუბება ქალი კაცს მანქანაში.

– ჰო, ძვირფასო, რა თქმა უნდა, მართალი ხარ, საყვარელო. მაგრამ იქნება მაინც მიმიშვა საჭესთან?

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

ლარის კურსი

27 ნოემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები

ინგლისური გირვ.	1	3.3555	ლარი
აშშ დოლარი	1	1.7800	ლარი
ევრო	1	2.3475	ლარი
რუსული რუბლი	1	0.0629	ლარი.
პოლონ. ზლოტი	1	0.5575	ლარი
უკრ. გრივნა	10	3.3493	ლარი
აზერბ. მანათი	1000	0.3631	ლარი
სომხური დრამი	100	0.3552	ლარი
ისრაელის შეკელი	1	0.4076	ლარი
იაპონური იენი	10	0.1734	ლარი
ესტონური კრონი	10	1.5009	ლარი
ლატვიური ლატი	1	3.3840	ლარი
ლიტვური ლიტი	10	6.7570	ლარი
მოლდავური ლეი	10	1.4366	ლარი.

ნაპოლეონ ქარქაშაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღირსეული მამულიშვილი, გენერალ-ლეიტენანტი
გურამ ქარქაშაძე

თენგიზ ქარქაშაძე ოჯახით გამოთქვამს დიდ წუხილს, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი პიროვნება, გენერალ-ლეიტენანტი
გურამ ქარქაშაძე.

ნუგზარ გაბრიჩიძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება შესანიშნავი პიროვნების, სამართალდამცავი ორგანოების დამსახურებული და ღვაწლმოსილი მუშაკის, ღირსეული მეგობრის
გურამ ქარქაშაძის
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ჯემალ, ციცინო, გიორგი გახოკიძეები, თამთა თამაზაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან
გურამ ქარქაშაძის
ტრაგიკულ დაღუპვას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

კოტე გობეჩია ოჯახით სამძიმარს უცხადებს
გურამ ქარქაშაძის
ოჯახს მისი უდროოდ გარდაცვალების გამო.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ფინანსთა სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიულ ორგანოებში სისხლის სამართლებრივი დევნის კანონიერებაზე ზედამხედველობის სამმართველო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და თანაუგრძნობს ამავე სამმართველოს პროკურორს დავით ქარქაშაძეს, მამის
გურამ ქარქაშაძის
გარდაცვალების გამო.

აპოლონ სულაქველიძე ოჯახით, ჯემალ და დავით სულაქველიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა
გურამ ქარქაშაძე
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

თენგიზ, ქეთინო ქავთარაძეები, ზაურ, ნელი ფხალაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან საყვარელი მეგობრის
გურამ ვალერიანის ძე ქარქაშაძის
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ალექსანდრე მუჯირი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა უაღრესად კეთილშობილი პიროვნება, ჩინებული მამულიშვილი
გურამ ქარქაშაძე
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ირაკლი განუგრავა ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა
გურამ ქარქაშაძე
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დედა ია მეტრეველი, მამა სოსო რობაქიძე, ბაბუა ამირან რობაქიძე, ბებიები აზა ჯანელიძე, მერი ქავთარაძე, მამიდები თამილა, ქეთინო, დეიდები მანანა, მაია, ბიძები ვასიკო რობაქიძე, ზაზა არდიშვილი, გივი ყვარელაშვილი, კახაბერ აბდალაძე, გურამ გურგენიძე, ბიძაშვილები თეა, გიორგი რობაქიძეები, მამიდაშვილები გივი, დათო ყვარელაშვილები, ნოდარ (ბაკო), ლევან არდიშვილები, დეიდაშვილები გიორგი აბდალაძე, მარიამ გურგენიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან
ამირან (ბუტა) რობაქიძის
ტრაგიკულ დაღუპვას.
პანაშვიდი 26, 27 XI, 16 სთ. გამოსვენება 28 XI, ვერის მკურნალ პანტელეიმონის სახელობის ეკლესიიდან 14 სათ. მისამართი, კეკელიძის ქ. №21.

ელგუჯა და ჯემალ ჯანელიძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა 19 წლის პერსპექტიული ახალგაზრდა
ამირან (ბუტა) სილიბისტროს ძე რობაქიძე
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ბელა დურგლიშვილი, ცისანა სიხარულიძე, ჩარიტა მამისეიშვილი ჯგუფელების სახელით სამძიმარს უცხადებენ ნანული უგულავას და შოთა გიგაურს ძმისა და ცოლის ძმის
ბექარ უგულავას
გარდაცვალების გამო.

ნოდარ ხადური ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერ-ეკონომისტი, პროფესორი
გიორგი მშვილდაძე
და სამძიმარს უცხადებს ბატონ ელგუჯა მექვაბიშვილსა და განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო თანაგრძნობას უცხადებს ბატონ ელგუჯა მექვაბიშვილს სიმამრის
გიორგი მშვილდაძის
გარდაცვალების გამო.

დღის კალენდარი 27 ნოემბრისთვის

ამოდის 07.04 ჩადის 16.32
(ამოდის 23.08, ჩადის 14.15

წლის 331-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 35 დღე.

საეკლესიო კალენდარი

ხსენება მოციქულ ფილიპესი (I); წმიდა გრიგოლ პალამასი თესალონიკელ მთავარეპისკოპოსისა (დაახლ. 1360); მართლმორწმუნისა მეფისა იუსტინიანესი (565) და დედოფლისა თეოდორასი (548). აღება შობის მარხვისა.

დაიბადნენ:

1701 – ანდრეს ცელსიუსი, შვედი ასტრონომი და ფიზიკოსი, გარდაიცვალა 1744 წელს.

1728 – ჯეიმს კუკი, ინგლისელი მეზღვაური, გარდაიცვალა 1725 წელს.

1809 – პლატონ იოსელიანი, ისტორიკოსი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, გარდაიცვალა 1875 წელს.

1840 – იოსებ რატილი, პირველი ქართული ფოლკლორული ანსამბლის ლოტბარი. გარდაიცვალა 1912 წელს.

1874 – ხაიმ ვეიცმანი, ისრაელის პირველი პრეზიდენტი, გარდაიცვალა 1952 წელს.

1905 – ვასო გოძიაშვილი, მსახიობი, გარდაიცვალა 1976 წელს.

1921 – ალექსანდრ დუბჩეკი, ჩეხოსლოვაკიის ფედერალური ასამბლეის თავმჯდომარე, 1968 წლის „პრაღის გაზაფხულის“ ინიციატორი და ორგანიზატორი, გარდაიცვალა 1992 წელს.

1940 – ბრუს ლი, ამერიკელი მსახიობი. გარდაიცვალა 1973 წელს.

1957 – მამუკა არეშიძე, ექსპერტი კავკასიის საკითხებში, ჟურნალისტი.

გარდაიცვალნენ:

ჩვ.წ. აღ-მდე 8 წელი – კვინტუს ჰორაციუს ფლაკუსი, რომაელი პოეტი.

1852 წელი – ავგუსტა და ლავლეისი, ინგლისელი მათემატიკოსი, ჯორჯ ბაირონის ქალიშვილი.

1859 წელი – ალექსანდრე დიუმაშვილი, ფრანგი მწერალი.

1916 წელი – ემილ ვერჰარნი, ბელგიელი პოეტი.

1947 წელი – ჟაკ ფილიპ ლეკლერკი, ფრანგი გენერალი, პარიზის განმათავისუფლებელი.

1953 წელი – იუჯინ ო' ნილი, ამერიკელი დრამატურგი.

1955 წელი – არტურ ონეგერი, ფრანგი კომპოზიტორი.

მედია-ნიუსი.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
რუსუდან ლორთქიფანიძე.

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika